

დაკრეფილი დოკუმენტი

კოლონელი ტყვეების გადღი შესვლა
ქუთაისის განაკვი (1945-1947)

დარიუზ როგუტი

**კოლონელი ტყვეების გადისსსკ
ქუთაისის განაკუბი (1945-1947)**



პოლონეთის
რესპუბლიკის საელჩო
თბილისში



გამომცემლობა
„მნიგნობარი“

PLASTICS®
პლასტიკის საქართველო

მეცნიერ-რედაქტორი:
ჰაბილიტირებული დოქტორი მარიუშ მაშკევიჩი

თარგმანი:
მაქსიმ დომუხოვსკი

რედაქტირება:
რუსუდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკა

კორექტირება:
მანანა მიხაილოვა

- © დარიუშ როგუტი, 2019
- © პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში, 2019
- © მნიგნობარი, 2019

ISBN 978-9941-485-02-2

ამ ორენოვანი, პოლონურ-ქართულ ვერსიად წარმოდგენილი, ბროშურის მთავარი მიზანი არის, II მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ქუთაისში, შინსახკომის ფილტრაციულ ბანაკში მოთავსებული პოლონელი პატიმრების ბედის გახსენება. იმერეთის რეგიონის დედაქალაქის, ქუთაისის, ბევრმა თანამედროვე მცხოვრებმა შეიძლება არცკი იცის, რომ დამნაშავე საბჭოთა სისტემა ახორციელებდა პოლონელების არა მხოლოდ გენოციდს (დეპორტაცია, გადასახლება, მასობრივი დევნა და მკვლელობები 1937 – 1938 წლებში და ასევე ხოცვა-ჟლეტა კატინში 1940 წელს), არამედ ცდილობდა, აბუჩად აეგდო და დაემცივებინა ისინი, წაეშალა პოლონელი გმირების ხსოვნა. ქუთაისის ბანაკში პატიმრობაში ჰყავდათ ძირითადად სამხედრო ტყვეები - გერმანელები, ნაცისტები და მათი კოლაბორანტები. მათთან პოლონელების მოთავსება დამცირების კიდევ ერთი დამატებითი ელემენტი იყო. სსრკ მოქალაქეების თვალში მათი, როგორც ფაშისტების წარმოდგენა, მათი ვინც ომში დამარცხებისთვის თანაგრძნობას არ იმსახურებდა. სინამდვილეში კი პოლონელი პატიმრების უმეტესობა ვილნიუსის მხარედან იყვნენ, პატრიოტები და გმირები, რომლებიც 1944 წლის ივლისში იბრძოდნენ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ - უმთავრესად, როგორც იატაკქვეშა სამამულო არმიის ჯარისკაცები. ისინი იყვნენ ე.წ. ოპერაცია „ქარიშხალი“ და „ოსტრა ბრამა“-ს მონაწილენი, ანუ ანტიჰიტლერული აჯანყების, რომლის მიზანი იყო - ისევე, როგორც უფრო გვიანდელი ვარშავის აჯანყების - ქალაქისა და რეგიონის გათავისუფლება ოკუპაციისაგან მანამდე, სანამ იქ წითელი არმია შევიდოდა. სტალინისთვის - როგორც ოპერაცია „ქარიშხალი“, ისევე ვარშავის აჯანყება (1944 წლის ივლისი - აგვისტო) არახელსაყრელი პოლიტიკური ფაქტი იყო. სამამულო არმია, რომლისადმი დამოკიდებულება მანამდე ისეთი იყო, როგორც ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირისადმი, არახელსაყრელ და არასასურველ პარტნიორად იქცა ნამგალი და უროს ნიშნაინი ე.წ. გამათავისუფლებლებისთვის. სტალინი იმ დროს უკვე სხვა გეგმას ახორციელებდა - მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ხელისუფლების არჩევა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი პოლონური არმიის შექმნა.

ამიტომ, ვილნიუსის მხარის პოლონელ გმირებს მოექცნენ, როგორც მტრებს, ისევე, როგორც ჰიტლერელებს. განსაკუთრებით თვალში საცემია ქუთაისის ბანაკში გარდაცვლილი ახალგაზრდა ვილნიუსელი სტუდენტი მედიკოსის, არტურ რიხტერის მაგალითი, რომელმაც 1944 წლის 13 ივლისს ვილნიუსზე გადმომყურე გედიმინასის კოშკის თავზე პოლონეთის ეროვნული დროშა აღმართა და ასე ჩაიწერა პოლონეთის ისტორიაში. სამამულო არმიის ახალგაზრდების მასი-

ური დაპატიმრებების შედეგად რიხტერი ქუთაისის ბანაკში მოხვდა და აქ გარდაიცვალა ავადმყოფობისა და ილაჯგამწყვეტი შრომისაგან. მისი ძვლები ქართულ მიწაში განისვენებს, სადღაც მინდორში, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, ტერიტორიაზე, რომელიც ოდესღაც ოდესღაც სატვირთო მანქანების მშენებელ ქარხანა „კოლხეთს“ ეკუთვნოდა.

წინამდებარე ტექსტის მიზანია, განმარტოს, რატომ არის ეს ყოველივე ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ ღირსეული და თვალსაჩინო ფორმით გამოყარდეს ხსოვნა იმ პოლონელების, რომლებმაც ვერ გაუძლეს ბანაკის კატორღას და სამუდამოდ დარჩნენ ქართულ მიწაში.

ინფორმაციის ასეთი მიწოდება, განსაკუთრებით ქუთაისლებისთვის - შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა დოქტორ დარიუშ როგუტის (ეროვნული მემსიერების ინსტიტუტის ლოდის განყოფილების დირექტორი) ნაშრომი. მან მემსიერების ნაფლეთებიდან და არქივებში აქა-იქ შემორჩენილი ნაკვალევიდან მისხალ- მისხალ შეაგროვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა 1945 – 1947 წლებში, შინსახკომის ქუთაისის ფილტრაციულ ბანაკში. ეს ტექსტი უფრო ფართომშტაბიანი პუბლიკაციის ნაწილია, სათაურით: ვილნიუსის მხარის პოლონელები „სარატოვის ხაზის“ საბჭოთა ბანაკებში 1945 – 1949 (ტორუნი 2003). მსურს, გულითადი მადლობა მოვახსენო დოქ. როგუტს იმ განუული შრომისათვის, რომლის წყალობით, დოკუმენტირებულია ქართულ მიწაზე გაგზავნილი პოლონეთის გმირების ომის შემდგომი ბედი. ვაცნობიერებთ რა, ავტორთან ერთად, რომ ჩვენი ცოდნა მხოლოდ ნაწილობრივი და არასრულია, უაღრესად მადლობელი ვიქნებით თქვენს მიერ ნებისმიერი სხვა ტექსტისა თუ ჩვენების მოწოდებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანია პოლონეთის გმირების ხსოვნის სრულყოფისა და გაღრმავებისათვის.

*ჰაბ.დოქტორი მარიუშ მაშკევიჩი
პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში
თბილისი, თებერვალი 2019 წ.*

საკონტროლო-ფილტრაციული ბანაკი (სფბ) № 0331 ქუთაისში

12 ოქტომბერს 1945 წ. ყველა პოლონელი იელშანკადან გამოიყვანეს და სარატოვის მახლობლად რკინიგზის სადგურზე მიიყვანეს. ისინი საქმაოდ სუფთა სატვირთო ვაგონებში მოათავეს, რომლებშიც სართულიანი სანოლები იყო. ყველა ვაგონში 40 ადამიანი განათავეს. თავიდან ტრანსპორტს ბადრაგირებდა მხოლოდ რამდენიმე შსსკ-ს უმცროსი ოფიცერი. მათი მცირერიცხოვნება ოჯახთან დაბრუნების მოჩვენებით იმედს იძლეოდა.

ტრანსპორტი დაიძრა სამხრეთისკენ და როცა ასტრახანში ჩავიდა, ბადრაგი გააძლიერეს, რის გამოც გათავისუფლების უკვე აღარავის სჯეროდა. აქ პოლონელებს მისცეს წყალი, ორცხობილა, თევზი და თითო-თითო კოვზი შაქარი. შემდგომ მატარებლის მარშრუტი, პატარ-პატარა გაჩერებებით, გამოიყურებოდა ამგვარად: კიზლარი, გუდერმესი, ხასავეურტი, მახაჩკალა, დერბენტი, ბაქო, კიროვაბადი, რუსთავი, თბილისი, გორი, ქუთაისი - რომელიც განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე¹. მგზავრობას ერთ კვირაზე მეტი დრო დაჭირდა. 1945 წ. 20 ოქტომბერს ტრანსპორტი გაჩერდა სარკინიგზო სადგურზე. იქ პატიმრები გაამწყრივეს და ძლიერი გაძლიერებული ბადრაგით გადაიყვანეს გარდამავალ ქვებანაკში, რომელიც კარანტინის ფუნქციას ასრულებდა. ის 1945 წ. 30 ივლისის სსრკ შსსკ № 00911 ბრძანების საფუძველზე შედიოდა ქუთაისის საკონტროლო-ფილტრაციული ბანაკის (სფბ) № 0331 შემადგენლობაში² (იხ. რუქა N3).



რუქა 3. საქართველოს სსრ

1 ქალაქი ქუთაისი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში, მდინარე რიონზე, ე.წ. რიონის ველზე. XIX საუკუნის შუა წლებიდან წარმოადგენს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს.

2 რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივი (შემდეგ: რფსა), ფონდი 9401, ინვენტარი 1 ა, საქალაქი 179, ფურც. 174-175.

ეს ბანაკი შეიქმნა იმ პირებისთვის, ვინც გადიოდა „სპეცმემონებას“ (ფილტრაციას). ამავდროულად პატიმრებს ამუშავებდნენ მშენებლობებზე, რომელსაც აწარმოებდა შსსკ აეროდრომების მშენებლობების მთავარი სამმართველო (აეროდრომების მშენებლობის სამმართველო) ქუთაისში. კონტროლს ამის-ზე, საქართველოს სსრ-ში, 1945 წ. აწარმოებდა პოლკოვნიკი ოდიშარია, ხოლო მისი მოადგილე იყო ინჟინერ-პოლკოვნიკი შუკაკიძე³. სფზ № 0331-ის საბჭოს უფროსად დაინიშნა ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქროპირის-ძე კობეშავიძე, მანამდე აჭარის ასსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე⁴.

პოლონელების გარდა ქუთაისში იმყოფებოდნენ გერმანელების ტყვეობაში ჩავარდნილი რუსები - არც ისე იშვიათად ოფიცრის რანგში. მათ მთავარ და ძირითად „დანაშაულს“ სამშობლოს წინაშე ტყვედ ჩავარდნა წარმოადგენდა. ბევრი მათგანი მძიმედ იყო დაჭრილი მტერთან ბრძოლაში. გადმოცემით ვიცით, რომ ბანაკის ამ ჯგუფში მოხვდა რამდენიმე ვიცე-პოლკოვნიკი და პოლკოვნიკი, რომლებიც ომის დროს დაჯილდოებულები იყვნენ მამაცობისა და გამირობისთვის. ისინი ხშირად ჩამოჰყავდათ დაქანცულები, დახეულ შარველსა და ფეხსაცმელში. გადმოცემით, ზოგიერთი მათგანი ჩამოიყვანეს საფრანგეთიდან, სადაც გამაგრებების მშენებლობაზე ამუშავებდნენ ნორმანდიაში. შემდგომ ხდებოდა მათი ტრანსპორტირება, ხმელთაშუაზღვის გავლით, შავი ზღვის პორტბამდე და იქ:

„ნაპირზე გამოჩნდა საბჭოთა სამხედრო ორკესტრი. პორტში გემის შემოსვლის დროისთვის, ნაპირზე იმყოფება გენერალიტეტის დიდი ნაწილი და მცირეოდენი ჯარი. ორკესტრი უკრავდა საბჭოთა ჰიმნს, შემდგომ კი მხიარულ მელოდიებს. ღამით ვაგონის კარები დახურეს (...) ჩარაზეს ურდულით“⁵.

ამერიკულ ფორმებს, რომელიც გააჩნდათ და სხვა პირად ნივთებს ართმევდნენ მანამდე. 1946 წ პირველ ნახევრამდე უმეტესობამ დატოვა ბანაკი. ბევრმა, რიგითმა ჯარისკაცმა, ბადრაგად დაიწყო მუშაობა და პოლონელი პატიმრების ესკორტირება. მათი დიდი ნაწილი წარმოშობით იყო სამხრეთ კავკასიიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, ტაჯიკეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

საკონტროლო - ფილტრაციული ბანაკის სფზ 0331 დაქვემდებარებაში მყოფ ქვებანაკებში იმყოფებოდნენ ასევე რუსები, გენერალ ანდრეი ვლასოვის, ყოფილი ნაციონალისტური, ფორმირებიდან. დაყოფილები იყვნენ ნაწილებად და ბატალიონებად. პოლონელები დილით და საღამოს მათთან ერთად იდგნენ „შემონებაზე“⁶. პოლონელების გარდა ბანაკში იმყოფებოდნენ ლატვიელები, ეს-

3 იქვე, sygn. 8437-1-211, საქალაქე 218, ფურც. 3.

4 აჭარის ასსრ (დედაქალაქი ბათუმი) შეიქმნა 1921 წ. საქართველოს სსრ სამხრეთ დასავლეთ ნაწილში. 1991 წ. გამოაცხადა სუვერენიტეტი, მაგრამ დარჩა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში.

5 L. Perepeczko. W łagrach..., გვ. 175.

6 როგორც გენ.-მაიორი შინკოვის ინფორმაციიდან ირკვევა, დასავლელი მოკავშირეების მიერ გადაცემული ნით.არმიის ყოფილი ჯარისკაცების ნაწილის, რომლებიც მსახურობდნენ ფაშისტურ ფორმირებებში, გავზავნა, 3000-ის ოდენობით, დაგეგმილი იყო ქუთაისში ქარხნის მშენებლობაზე, გენ.მაიორ შიტკოვის პატაკი 1945 წლის დეკემბერი. „ვლასოველების“, ასევე სფზ მყოფი ნით. არმიის ყოფილი ჯარისკაცების და რეპატრიანტების ბედის პრობლემა ამ ნაშრომის ფარგლებს სცილდება. უფრო ფართოდ იხ.: P. Polan, Żeńły dwch diktatur, Moskwa 1996; I.

ტონელები და ლიტუველები - ყოფილი ჯარისკაცები პროგრესული სამხედრო ფორმირებებიდან. ბევრი მათგანი ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. მათ შორის იყვნენ ასევე ლატვიური წარმოშობის საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში იყვნენ ეჭვმიტანილები. ლატვიელი ექიმი იან შმილგა პატრონობდა პოლონელებს. სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელი ამ ჯგუფში იყო. პოლონელმა მონაწილემ - ექიმმა - სფზ 0331-ში 42 ეროვნება დაითვალა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ინფორმაციას ადასტურებს 1946 წ. ივლისში ჩატარებული პატიმრების აღწერა (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2. სპეცკონტინგენტის ეროვნული შემადგენლობა
სფზ 0331-ში 1946 წ. 1 ივლისის მდგომარეობით**

ეროვნება	რაოდენობა	მთლიანის %
რუსი	1300	22,7
უკრაინელი	629	10,7
ბელორუსი	112	2,0
ქართველი	109	2,0
სომეხი	231	4,0
აზერბაიჯანელი	237	4,0
მოლდაველი	189	3,3
ფინელი და კარელიელი	2	0,0
ლატვიელი	743	12,7
ლიტუველი	135	2,3
ესტონელი	12	0,2
ყაზახი	200	3,4
თურქმენი	23	0,4
უზბეკი	228	3,9
ტაჯიკი	34	0,6
ყირგიზი	20	0,3
თათარი	140	2,4
ბაშკირი	13	0,2
ჩეჩენი	2	0,0

კალმიკი	1	0,0
ებრაელი	6	0,1
სსრკ-ს სხვა ეროვნებები	213	3,6
პოლონელი	1271	21,7
მთლიანად	5 850	100

წყარო: რფსა (რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივი), 9414-1-445 კ. 46

ზემოაღნიშნული ცხრილიდან გამომდინარე 1946 წ. ბანაკში პოლონელები რაოდენობით წარმოადგენდნენ მეორე ეროვნულ ჯგუფს. კავკასიური წარმოშობის ხალხთა საერთო რაოდენობა იყო 1 436 ე.ი 24,5% პატიმრების საერთო რაოდენობის. ჯგუფში „სსრკ-ს სხვა ეროვნებები“ შეყვანილია იმ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებიც პატიმრების ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ. 1945 წ. სფბ 0331-ში თურქმენების, ყირგიზების, კალმიკების, ქართველების და კავკასიური წარმოშობის ხალხის რაოდენობა, ალბათ, ბევრად დიდი იყო.

1946 წ. ბანაკის ერთ-ერთი სექტორი შემოღობეს მავთულხლართით და გარშემო საგუშაგო კოშკები დადგეს. შემდგომ მთელი დღის განმავლობაში ჩამოჰყავდათ კვანტუნის მე-16 არმიის იაპონელი ტყვეები მანჯურიიდან. მათი რაოდენობა 600-მდე აღწევდა. ისინი ძალიან კარგად ჩაცმულები და აღჭურვილები იყვნენ, გააჩნდათ ქურქი, ქუდი და სამხედრო ფეხსაცმელი. მათ ტანსაცმელს არ ეტყობოდა დაზიანების ნიშნები. ისინი იდეალურად დისციპლინირებულები იყვნენ. თავის სექტორში ჰქონდათ საავადმყოფო, რომელიც აღჭურვილი იყო ერთკაციანი საწოლებით, თეთრეულით, ბალიშებით და საბნებით. ერთ-ერთი ნიშანდობლივი საკითხი, გადმოცემის მიხედვით, გახლდათ ფაქტი, რომ მათ აუშენეს ნორმალური საპირფარეო (ტუალეტი). ყველა დანარჩენი იყენებდა ორმოს - ზუსტად ისეთს, როგორც იყო იელშანკაში. 1947 წ. გაზაფხულზე იაპონელები წაიყვანეს უცნობი მიმართულებით⁷.

⁷ იაპონელი ტყვეები, ალბათ, ბანაკიდან გაათავისუფლეს სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 მარტის N 481-1865 დადგენილების „იაპონელი სამხედრო ტყვეების და ინტერნირებული მოქალაქეების სსრკ-დან რეპატრაციის აღდგენის შესახებ“ საფუძველზე. კონკრეტულ პროცედურებს ეხება ბრძანება სსრკ შსს 1947 წლის 19 მარტის - N 003 14. პუნქტი „ხ“, ითვალისწინებდა ივნის-ივლისში ბანაკებიდან, სპეციალური საავადმყოფოებიდან და შრომითი ბატალიონები 111. In საქართველოს სსრ-დან 40 000 ადამიანის გაყვანას. ბრძანება არ ეხებოდა, ზოგადად, ოფიცრებსა და ტყვეებს, რომელთა მიმართ არსებობდა „კომპრომენტაციული მასალები“, „რეაქციულად განწყობილებს“ და ა.შ. ოპერაციის დასრულება დაგეგმილი იყო 1947 წლის ნოემბერში, 161 300 პირის გაათავისუფლებით, რუსული არქივი „M'elikaja Otiemiesmriennaja. ტ. 24 (13), გვ. 392-395.

ზემოხსენებული ბრძანების შინასახკომი სსრკ-ს #00911 საფუძველზე - სვბ #0331 ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო 3 ქვებანაკისგან, თითოეული 2500 პატიმარზე (საერთო ლიმიტი 7500 ადამიანი). კადრების დაკომპლექტება სვბ N 0331-ში და სხვა ქვებანაკებში დაევალა საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გენერალ-ლეიტენანტს კარანაძეს, ფინანსური საკითხები დაევალა, როგორც წინა ბანაკში, გენერალ-მაიორ ლ. ბიეინზონს, ხოლო მომარაგება გენერალ-ლეიტენანტს - ა. ვურგაფტს. შსსკ ამის-ს უფროსის მოადგილეს, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორ კნორს დაევალა სრული დახმარება ბანაკის მოწყობაში, ფართების გამოყოფა და ყველანაირი აღჭურვილობით და ინვენტარით უზრუნველყოფა.

1946 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სვბ N 0331 შედგებოდა 6 ქვებანაკისგან, საერთო რაოდენობით 7553 ადამიანი. ყველაზე დიდში (N 1) მოთავსებული იყო - 4776 ადამიანი. მის უფროსად დანიშნეს კაპიტანი გურგენ სიმონიანი. ეს ქვებანაკი განთავსებული იყო, ქვებანაკ N 3-თან ერთად (კომენდანტი: ლეიტენანტი გიორგი ქაჯაია) - 22 კმ ქუთაისიდან დასავლეთით, მალლაკის რკინიგზის სადგურის მახლობლად. მათი ერთ-ერთი ამოცანა იყო პატიმრების მუშეობად გამოყენება სსრკ შსსკ ამის N 11 სამშენებლო გაერთიანებაში.

სიდიდით მეორე ბანაკს (N 4) კაპიტანი ამბროსი ტაბატაძე მეთაურობდა. იგი შეიქმნა სსსრ შსსკ 1945 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებით და ექვემდებარებოდა წყლის ელექტროსადგურების მშენებლობის საბჭოს. ის მდებარეობდა ბორჯომის რკინიგზის სადგურიდან 13 კმ მოშორებით. იქ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს ასრულებდა 1275 ადამიანი.

უფროსი ლეიტენანტი გერნტ დავიდულიანი იყო ზედამხედველი N 2 ქვებანაკის, რომელიც შეიქმნა სსრკ შსსკ 1945 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით და ექვემდებარებოდა გზების მშენებლობის მთავარ დეპარტამენტს (გლავდროგ-სტროი ნკვდ). განთავსებული იყო 40 კმ-ში სადგურ რიონიდან. იქ ჰყავდათ 317 პატიმარი, რომლებიც მონაწილეობდნენ საგზაო-სამშენებლო სამუშაოებში.

ფუნქციონირების იგივე წესები გააჩნდა ქვებანაკ N 5-ს - ბედიანში, რომელიც თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 85 კმ-ში იყო. მის მეთაურად დაინიშნა მაიორი სერგეი როჟკოვი. აქ მოათავსეს 889 ადამიანი. ბოლო, ცნობილი (კვლევის ამ ეტაპის მდგომარეობით, ქვებანაკი იყო N 6 დაწესებულება, რომელიც განთავსებული იყო სადგურ სალოლლუს მახლობლად (თბილისიდან 20 კმ). მისი კომენდანტი იყო სერჟანტი აკაკი გურგენიძე. აქ იყო 306 პატიმარი, რომლებიც იყო სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდნენ გზატკეცილების სამმართველოს N 724 მონაკვეთზე (უპრავლენიე შოსსეინიხ დაროვ)⁵.

სვბ-ის დეპარტამენტის გაუქმების შედეგად, რაც ზემოთ ვახსენე, 1946 წლის 1 თებერვალს სვბ N 0331 შევიდა სსრკ შსსკ „გულაგ“-ის შემადგენლობა-

ში. მაგრამ, უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, სსრკ შსს-ს 1946 წლის 19 სექტემბრის N 0306 ბრძანებით ბანაკი, მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, გადაეცა საქართველოს სსრ შსს შრომით-გამასწორებელი ბანაკების და კოლონიების სამმართველოს. ყველა ამ ბანაკის კონტროლს რესპუბლიკაში აწარმოებდა მაშინ ვიცე-პოლკოვნიკი ოქროშავიძე. მან მიიღო დავალება, რომ ერთ თვეში მოენესრიგებინა სანიტარულ-საცხოვრებელი პირობები, რეჟიმი და სფბ 0331-ს პატიმრების მუშახელად გამოყენება⁹.

საბჭოთა საბუთების, მეტწილად პერსონალური საქმეების და ბანაკიდან პოლონელების მიმონერის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1946 წლის დასაწყისისთვის პოლონელები მოთავსებული ჰყავდათ ქვებანაკებში N1 და N2. შემდგომ, ალბათ, ბანაკის რეორგანიზაციის შედეგად, 1946 წელს, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ, ეს ქვებანაკები გააერთიანეს ერთ ბანაკად და პოლონელები იქ მოათავსეს.

ამ დროისთვის არ გამაჩნია ამომწურავი საბუთები, ვისაუბრო ამ ორ ქვებანაკზე ცალ-ცალკე. აქედან გამომდინარე იძულებული ვარ, წარმოვადგინო მათი ზოგადი დახასიათება. ვინაიდან მათი მომარაგება და საყოფაცხოვრებო პირობები დიდად არ განსხვავდებოდა.

როგორც ჩანს, გარდამავალ ბანაკად შეარჩიეს ქვებანაკი N1, სადაც განათავსეს იელშანკადან ჩამოყვანილი პოლონელები. როგორც გადმოცემით ვიცით, თვალსაჩინო იყო სიჩქარე მშენებლობის დროს და ქვებანაკის კეთილმოწყობის ნაკლოვანება. მასში მოთავსებული იყო რამდენიმე (2-3) მშენებარე შენობა-ბარაკი და რამდენიმე ათეული მრგვალი ე.წ. ფინური სახლი პლაიფუდისგან (ნახ. N2). მათ არ გააჩნდათ არანაირი აღჭურვილობა. თითოეულში მოათავსეს 20-25 ადამიანი. იქ, გადმოცემის თანახმად, ძალიან ცოტა ადგილი იყო. იმდროინდელ მდგომარეობას ასე იხსენებდა ერთ-ერთი მობინადრე, ედვარდ ბჟოზოვსკი:

„შევედით შიგნით: ტალახი და სიბნელე. ოქტომბრის ბოლოა, პლიუს 5 გრადუსი, ჩვენ კი სველები ვართ. ახლომახლო მიმოფანტული იყო პლაიფუდის ნატეხები. მოვავროვეთ, შემოვიტანეთ და დავალაგეთ ტალახზე. ასე ვიჯექით (!) ერთი თუ ორი კვირა, სანამ ცეხში, ჩვენს მომავალ მშენებლობაზე, ნარებს დაგვიმზადებდნენ“¹⁰.

როგორც ჩანს, თავიდან ნარები მარტო ზოგიერთ საცხოვრებელში იყო. განლაგებულები წრიულად, ერთი გასასვლელით, სადაც იყო ჩამოფარებული ფარდა. შემდგომ ეს საწოლები იყო ერთადერთი აღჭურვილობა, რომელიც გააჩნდა ბარაკებს. არც იატაკი, არც მაგიდეები და არც თეთრეული.

⁹ 1947 წ. დოკუმენტიდან გამომდინარეობს, რომ სფბ N0331 გადაკეთებული იქნა საქართველოს სსრ შსს შგბკს N 2 ქვებანაკად, Centur chranienija istorikodokumentalnych kolekcij (შემდეგ: CCHIDK). ფონდი 1/p, ინვენტარი 07e, საქალაქე 140, ფურც. 263.

¹⁰ E. Brzozowski, Z Wileńszczyzny za druty kolczaste. (w:) J. Surwiłło, Rachunki..., გვ. 75.

ქალებიც, 20-მდე, ცხოვრობდნენ მსგავს პირობებში ერთ ბარაკში. მათ საცხოვრებელში იყო პატარა გამათბობლები. ქალების ზონა მავთულხლართით გამოყვეს კაცების ზონისგან. საკუთარი მდგომარეობა ასე აღწერა ერთ-ერთმა, რეგინა პაშინსკამ:

„კედლები, სახურავი და პატარა ფანჯარა შიგნიდან სულ ნესტიანი იყო. ღამით ისე ციოდა, რომ დაძინება შეუძლებელი იყო. ვიძინებდით წყვილ-წყვილად და ფეხებზე და ზურგზე ვიფარებდით პალტოს. როცა გვერდზე ვტრიალდებოდით, მაშინ - აუცილებლად ორივე ერთად“¹¹.

პოლონელები ამ ბარაკებს „სოკოებს“ ეძახდნენ. აშენებულ შენობებში იყო: საავადმყოფო და „საყოფაცხოვრებო ზონა“ (სამზარეულო, აბანო). კარანტინი გრძელდებოდა დაახლოებით ორი-ოთხი კვირა. ამ დროს მუშაობას არავის აიძულებდნენ. ყველა რამდენჯერმე მიჰყავდათ აბანოში, ტანსაცმელს კი აბარებდნენ ტილების დასამუშავებლად. იქ ურიგებდნენ შაქრის ნატეხისხელა საპონს და მწვანე ფხვნილს, რომელიც გამოიყენებოდა ტანიდან თმის მოსაშორებლად.

საბჭოთა კომენდატურასთან ერთად არსებობდა ასევე ადმინისტრაციულ-მომწესრიგებელი ხელმძღვანელობა, დაკომპლექტებული პატიმრებისგან. შემადგენლობაში შედიოდნენ: კომბატი, ანუ „ვითომბატალიონის“ კომენდანტი, მისი მოადგილე და ასეულის მეთაურები, რომლებზეც დაყვეს პატიმრები და მორიგე პასუხისმგებლები წესრიგისათვის ბარაკებში. შეიქმნა ასევე ზონების უფროსების შტატები. „კომენდანტის“ ფუნქციებს, გარკვეული დროით ახორციელებდნენ მიხალ შიუტა და იუზეფ ხონძინსკი¹². ბრიგადებს ასევე ხელმძღვანელობდა ანტონ ნარუშევიჩი, ქალების წარმომადგენელი კი გახდა ადელა კონაჟევსკა. იელშანკიდან ჩამოსულ ლიუტუველებზე, რომლებიც მოათავსეს ერთ ბარაკში, კონტროლს ახორციელებდა ვაცლავ პომორნაცკასი, ასეულის მეთაურის მოვალეობებს კი - პოლონელი რიშარდ გულბინოვიჩი. ჩემი აზრით, პოლონელების დაყოფა ორ ჯგუფად და გაგზავნა ორ ბანაკში განხორციელდა 1946 წლის პირველ თვეებში (თებერვალი) და გამოწვეული იყო სამშენებლო სამუშაოებით. პოლონელების მიმონერის საფუძველზე შეგვიძლია, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ისინი, ვინც განაწესეს მანქანათმშენებელ სანარმოში, გადაიყვანეს ქვებანაკ N3-ში. დანარჩენები მუშაობდნენ „სამშენებლო ეზოში“ და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში. იმ დროს იმყოფებოდნენ ქვებანაკ N1-ში¹³. მასში ასევე ცხოვრობდნენ, აშენებულ და განათებულ ბარაკებში, ლატვიელი ტყვეები. 1946 წლის დასაწყისში, როცა ლატვიელები გადაიყვანეს სხვა ქვებანაკში, მათი ადგილი, თებერვლიდან, დაიკავეს პოლონელებმა. 1946 წლის ადრეულ გაზაფხულზე გადაიყვანეს ისინი ქვებანაკ N3-ს მახლობლად და მაშინ ორ პოლონურ ჯგუფს ჰყოფდა მხოლოდ მავთულხლართი. (იხილეთ ნახ. 2).

11 R. Kuligowska (z d. Pasińska), Wspomnienia..., გვ. 6.

12 R. Gułbinowicz, Żołnierz VI brygady AK w sowieckich łagrach, გვ. 6-7 (მონათხრობი ავტორის არქივიდან).

13 ძმები გერეცკების კორესპონდენცია ქუთაისიდან ვილნიუსში 28 თებერვალი, 7 და 20 მაისი, 9 ივნისი და 17 ივლისი 1946 წ. (ქსეროასლები ავტორის არქივიდან).

თავიდან ბარაკებში იმყოფებოდნენ მარტო პოლონელები. შემდგომ დაინ-
ყეს მათი გადაყვანა სხვა ბარაკებშიც, მაგალითად, „ჩარნოჟოპეტან“ - აზიური
საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეებთან.

ბანაკის კომენდანტი და მორიგე ოფიცრები არ ერეოდნენ შიდა სამზარეუ-
ლოში და პატიმრების ურთიერთობებში. ზრუნავდნენ მარტო დისციპლინაზე და
დღიური სამუშაო ნორმის შესრულებაზე. პატიმრების დაუმორჩილებლობაზეც
ზედმეტია საუბარი. მცირე დარღვევისთვისაც კი ემუქრებოდათ ე.წ. „შტრაფ-
ნაია როტა“ (საჯარიმო ასეული), რომელშიც მძიმე სამშენებლო სამუშაოებს
ასრულებდნენ, მაგალითად, ქვის მომპოვებელ მალაროებში. გაქცევის ან სხვა
„დანაშაულის“ გამო ემუქრებოდათ კარცერი, სადაც მარტო პურს და წყალს
აძლევდნენ. ის განლაგებული იყო აშენებულ შენობაში. შედგებოდა საკნები-
სგან (2x3 მეტრზე) პატარა ფანჯრებით. მათ ინტერიერს ასე აღწერს ერთერთი
პატიმარი, ა. პუზევიჩი:

„იატაკზე წყალია, კუთხეში „პარაშა“, შუაში კი რამდენიმე ცარიელი ფიცარი
დასაძინებლად“¹⁶.

ბანაკის კომენდანტის გადანყვეტილებით კარცერში შვიდი დღე-ღამით
მოათავსეს იუზეფ პოპლავსკი. განაჩენი გამოუტანეს არა ჩადენილი დანაშაულის
გამო, არამედ იმის გამო, რომ საავადმყოფოში ყოფნის დროს მას მოპარეს ფეხ-
საცმელი. სისუსტე და გონების დაკარგვა, კომენდანტის შეფასებით, არანაირად
ამსუბუქებდა მის „დანაშაულს“.

პატიმრებისთვის საკვების საკითხს ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა.
მაგრამ საკვების რაციონის საკითხთან დაკავშირებით წყაროებში დიდი განსხ-
ვავებაა. რა თქმა უნდა, საკითხს ნათელს მოჰყენდა საბჭოთა დოკუმენტაცია,
რომელიც დღესდღეისობით არ გაგვაჩნია. სავარაუდოდ, ოფიციალური ნორმები
არ შეცვლილა, იმასთან შედარებით, რაც იყო წინა ბანაკში, მაგრამ იძულებული
ვართ, დავეყრდნოთ მხოლოდ გადმოცემებს. ბანაკის ექიმის მონაცემის მიხედ-
ვით, ყოველ პატიმარს ეძლეოდა დღეში 1700 კალორია¹⁷. ამ საკითხში ძალიან
მნიშვნელოვანია რომუალდ და იულიუმ გეჩევესკების მიმოწერა ვილნიუსში. მა-
გრამ, ზოგადად, ყველა წყარო ადასტურებს საკვების დიდ ნაკლებობას. ერთი
პოლონელის, ჰენრიკ კუიშჩაკის, გადმოცემით თეორიულად საკვების დღიური
რაციონი შედგებოდა:

„600 გრ. პური, 14 გრ. შაქარი, 75 გრ. თევზი, 400 გრ. ნედლი ბოსტნეული, 10
გრ. ფქვილი, 35 გრ. ბურღული, 10 გრ. ცხიმი, 15 გრ. ძვლიანი ხორცი (?), შაქარი 5
დღეში ერთხელ - 70 გრ. ნორმის 100% შესრულებისას პურს გასცემდნენ მთლი-

ბარაკებში, A. Pozewicz, Wspomnienia.... გვ. 56; L. Perepczko, Wspomnienia.... გვ. 133.

16 A. Pozewicz, Wspomnienia.... გვ. 70.

17 L. Perepczko, W iagrach.... გვ. 182. ამ მოგონებების ავტორი შესრულებული ამოცანების გამო,
ყველაზე უკეთ უნდა ერკვეოდეს პოლონელების ჯანმრთელობისა და კვების საკითხებში. სამ-
წუხაროდ, თავის ნიგამში ზემონახსენები საკითხები წარმოდგენილი აქვს ძალიან ზოგადად

ანად. როცა ნორმა არ სრულდებოდა, რაციონი მცირდებოდა დაახლოებით 400 გრ. და ასევე ბანაკში დარჩენის დროს, მაგ.: ავადმყოფობის გამო რაციონს ამცირებდნენ¹⁸.

შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ მართლაც ასეთი რაციონი უნდა მიეღოთ პატიმრებს, მაგრამ მათი მოგონებებიდან ცნობილია, რომ სულ სხვანაირად იყო საქმე. ყოველი მათგანი ლებულობდა 650 გ. პურს (300 გ. საუზმისთვის და 350 გ. ვახშმისთვის), ორჯერ $\frac{3}{4}$ ლ. წვნიანი, სალამოს კი „კიპიატოკ“ - მდულარე წყალს. ყოველდღიური რეალობა ძალიან განსხვავდებოდა განსაზღვრული ნორმისგან¹⁹. სიტუაციაში, როცა სამუშაო ნორმის შესრულების მაჩვენებელი იყო 101% და მეტი, განკუთვნილი იყო ე.წ. სტახანოვური ნორმა. პატიმარი მაშინ იღებდა დამეტებით 300 გ. პურს და ხანდახან წვნიანსაც კი²⁰.

გადმოცემის თანახმად, პოლონელების ქუთაისში ყოფნის პირველ თვეებში საკვების „ღირებულება“ უკეთესი იყო. პური უკეთესი ხარისხის იყო, წვნიანი კი სქელი - ხახვით, ხანდახან ხორციით²¹. მცირე პერიოდის მერე, ყველაფერი გახდა ერთგვაროვანი ე.ი. სამი-ოთხი თვის განმავლობაში აჭმევდნენ მაგ.: წვრილი ქერისგან დამზადებულ ჭვნიანს, და შემდეგი რამდენიმე თვე - განწყალბულ მანის ფაფას, ან წყალში მოხარშულ ფქვილს. სადილის წვნიანი, დილისგან განსხვავდებოდა მხოლოდ (მაგრამ არა ყოველთვის) მეტი სისქით. პატიმრების საკვებს „ამიდრებდნენ“ გამხმარი ვაშლის „წვნიანით“, მუჯავ ფოთლებით და პატარა, გამხმარი თევზით - ქარხალით. ამ წვნიანის გემო იყო მუჯავე-ტკბილი-მლაშე და მოგონებების თანახმად, განსაკუთრებით ცუდი, საქმილად უვარგისი. იშვიათად ურიგებდნენ „სუპს“, რომელიც შედგებოდა კომბოსტოს ფოთლებისგან და გამხმარი კარტოფილისგან. პატიმრებს ასევე აძლევდნენ მლაშე ნაფოტა თევზს და „კომპოტს“ ხილის ჩირისგან, რომელიც მოხარშული იყო ამ თევზთან ერთად²². კვების ასეთი რაციონისგან შეუძლებელი იყო ადამიანი არ დასუსტებულიყო და არ დაავადებულიყო კუჭის დისფუნქციით.

ქუთაისში ყოფნის პირველ პერიოდში ხშირი იყო პატიმრების ორგანიზებული ჯგუფების თავდასხმა მორიგეებზე, რომლებსაც მიჰქონდათ პური და „სუპი“ ბარაკებში. ამას აკეთებდნენ, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა. პურს თავდასხმის და გაქცევისთანავე ჭამდნენ. „სუპი“ გადაქონდათ კასრით და მაშინვე ცდილობდნენ, კარდალები ჩაეგდოთ კასრში და ამოეღოთ წვნიანი. ე.წ. „მოპიკირების“

18 H. Krzyszcak, Wspomnienia..., გვ. 31.

19 დასაშვებია, რომ N 3 ქვებანაკში კვების ნორმები ცოტა უფრო მაღალი ყოფილიყო, თუმცა ეს ნაკლებად დასაშვებია, რადგან: „(...) გვაძლევენ ორჯერ წვნიანს, რომელიც არის სქელი. მაგრამ ცხიმის გარეშე და ძალიან იშვიათად ხორციანი, დილით და სადილზე 750 გრ პურს, ახლა ვახშამზე რეგულარულად გვაძლევენ 50გრ ქაშაყს და 14 გრ შაქარს, ასევე 750 გრ მდულარე წყალს; ზოგჯერ ჩაით ან კომპოტი., გეჩვენესკის ნერილი, 1946 წლის 20 მაისი. (ქსეროასლი ავტორის არქივიდან).

20 ძმები გეჩვენესკების კორესპონდენცია ვილნიუსში, 20 მაისი, 17 ივლისი, 2 აგვისტო, 21 აგვისტო. 7 ნოემბერი 1946 წ. (ქსეროასლები ავტორის არქივიდან).

21 St. Lisiecki, Byłem..., გვ. 57.

22 M. Nowicki, Moja wielka..., გვ. 65-66.

თავდასხმები, როგორც წესი, ხორციელდებოდა ბარაკებს შუა, რაც აძლევდა მათ სწრაფი დამალვის საშუალებას. ადამიანებს, რომლებსაც ასე მოპარავდნენ საქმელს, ემუქრებოდათ ბრიგადის მეგობრების რისხვა, და, რაც მთავარია, მათი პორციის დაკარგვა რეკომპენსაციის სახით. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად - მორიგეებს დაყვებოდნენ დამატებით დანიშნული პატიმრები, რომლებიც ცდილობდნენ მოეგერიებინათ თავდამსხმელები. ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან საქმლის მხოლოდ განსაზღვრულ რაციონს არიგებდნენ. მოგვიანებით, იმისთვის, რომ საქმლით არ ევლოთ, ბანაკის მთელ ტერიტორიაზე, მთელი ბრიგადებით დადიოდნენ სამზარეულოში²³.

პატიმრებისთვის პრობლემას არა მარტო წვნიანის მიღება წარმოადგენდა, არამედ უფრო მნიშვნელოვანიც კი იყო მზარეულების მიერ წვნიანის გაცემის პროცესი. საკითხი ვითომ არც ისე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ სინამდვილეში ძალზედ სერიოზული საკითხი გახლდათ. აუცილებელი იყო კარგად გარკვევა მათ სახეობებში, ვინაიდან:

„თუ ლობიოს წვნიანი იყო, მაშინ უნდა დამდგარიყავი ბოლოში (რიგის), იმიტომ რომ ლობიო ფსკერზე იყო და მაშინ უკანასკნელები ღებულობნენ სქელ, ანუ ყველაზე ღირებულ საქმელს. მაგრამ, როცა კომბოსტოს წვნიანი იყო, მაშინ ჩემი მეგობრები, როგორც კი გაიგებდნენ სადილის სიგნალს, უკვე პირველები იდგნენ რიგში ქვაბთან, იმიტომ რომ კომბოსტო „დაცურავს“ და მაშინ პირველები ღებულობდნენ ყველაზე ღირებულ საქმელს. ყველასთვის მიუღწეველი ოცნება იყო წვნიანი რომელშიც „კოვზი დგას“²⁴.

ყოველდღიურ პრობლემას წარმოადგენდა პურის განაწილება. სამართლიანი განაწილებისთვის პატიმრები ცდილობდნენ, გაეკეთებინათ კუსტარული სასწორი, რომლებზეც შემდეგ მას წონიდნენ.

1945 წლის დეკემბერში კვების საკითხი ბანაკში იყო ძალიან რთული. ერთ-ერთი პოლონელი მას ასე აღწერს:

„დეკემბრის ბოლო დღეებში არა აქვთ, რითი დაგვაპურონ. ორი ჯგუფი მიემგზავრება ბადრაგით. აგროვებენ ნაცარქათამას და მისგან ამზადებენ სუპს. შობის ბრწყინვალე დღესასწაული გადის შიმშილში. ვილაცამ სანყობში სუნით მიაგნო შებოლილ თხის თავებს. მეც შემხვდა თავის პატარა ნაწილი გასაძიძვანად. 1945 წლის ბოლო ორი დღე უპუროდ“²⁵.

რა თქმა უნდა, ასეთ რთულ ვითარებაში, ისევ იგივე პრობლემა გაჩნდა, როგორც წინა ბანაკში ე.ი. „შენარცხეობა“. მაგრამ ქუთაისში ამ საქმოსნობამ ბევრად მაღალ დონეს მიაღწია. საკვების ნაკლებობა იყო პრობლემის მიზეზი. შიმშილი იმდენად დიდი იყო, რომ, როგორც ი. შმიფუხალსკი იხსენებს, მისი კუზენი ჩვეულებრივ თიხას ჭამდა²⁶. ასეთ ვითარებაში ქცევის ყოველგვარი ნორმა და ადამიანური ურთიერთთანაცხოვრების წესები ნადგურდებოდა და:

23 A. Puzewicz, Wspomnienia..., გვ. 67.

24 L. Perepeczko, W łagrach..., გვ. 155.

25 H. Krzyszcak, Wspomnienia..., გვ. 28.

26 J. Smierchalski, Wspomnienia..., გვ. 19.

„შიშშილისგან და სიბინძურისგან, გაუბედურებისგან და ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის გამო განათლებული ხალხი - მოსამართლეები, პროკურორები, ინჟინრები ზოგჯერ გარდაიქმნებოდნენ ხოლმე ადამიან-აფთრებად, რომლებიც არც კი ფიქრობდნენ, მოპარონ თუ არა მეგობარს რამდენიმე გრამი პური, ამოუღონ წვნიანიდან კარტოფილის ნაჭერი ან ერთი კოვზი ფაფა. ხალხი ჭამდა ნახევრად დამპალი კარტოფილის ნათალს და ფოთლებს. იქამდეც კი მიდიოდა საქმე, რომ ზოგიერთები ადამიანის განავლიდან არჩევდნენ ბარდის მოუნელებელ მარცვლებს, წყალს ავლებდნენ და ჭამდნენ“²⁷.

რა თქმა უნდა ყველა არ მიდიოდა ამაზე, მაგრამ გადარჩენის სურვილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე წესები და მცნებები, რომლებსაც აღიარებდნენ. მაშინ განათლებას და მატერიალურ პოზიციას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ბანაკის პირობებს იქამდე მიჰყავდა საქმე, რომ თანაცხოვრების ყველანაირი საზღვრები და წესები კარგავდა მნიშვნელობას. მაგრამ ბევრი ადამიანი ეჩვენებოდა ამას და აგრძელებდა სიცოცხლისთვის ბრძოლას. მაშინ მულავენდებოდა მათი უნარები და მოხერხებულობა. მათი მთავარი ამოცანა საკვების მოპოვება იყო. ბევრი ხერხი არასტანდარტული იყო, მაგ.: ბაყაყების დაჭერა. მათი ბარკლების მოხარშვის შემდეგ, თურმე ღებულობდნენ საკმაოდ კარგ ბულიონს და ასევე გემრიელ ხორცს. მაგრამ ბაყაყი ძალიან მალე გაქრა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიიდან.

იპარავდნენ კარტოფლს, რკინიგზის გვერდითა ხაზზე მდგარი ვაგონებიდან და კომბოსტოს და შაქრის ჭარხალს მანქანებიდან, რომლებსაც ის ბანაკში მოჰქონდა. საჭმლის მოპოვების ერთ-ერთი ხერხი იყო ვირთხების დაჭერა (ამას არა მარტო პოლონელები აკეთებდნენ). ვირთხები ნამდვილი უბედურება იყო ბანაკში, ხალხი კი ცდილობდა მათგან „გემრიელი კერძები“ დაემზადებინათ. ხანდახან გაცვლით საქონლადაც იყენებდნენ. ეს იმდენად იყო გაადვილებული, რამდენადაც, ბანაკის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში, მათი პოპულაცია ერთ დონეზე იყო. ადმინისტრაცია არაფერს აკეთებდა მათი რაოდენობის შესამცირებლად, რაც ნარმოადგენდა ეპიდემიის დიდ საფრთხეს. ბანაკი საკმაოდ დიდი იყო რამდენიმე პრიმიტიული საპირფარეშოთი, იქ კი ამ ცხოველების უამრავი საბუდარი იყო. მათ დაჭერაში ყველაზე დიდი მოხერხებით და გამოცდილებით ხასიათდებოდა ერთი კაცი ბანაკის ზედმეტსახელით „ვარ-შავიაკ“. მან მიაღწია სპეციფიურ ოსტატობას და სავარაუდოდ ამ კაცზე ჰყვება ერთ-ერთი მოწმე:

„შეეძლო დღეში ოცამდე ვირთხა დაეჭირა. აძრობდა კანს, აჭრიდა თავს, ფატრავდა, დანარჩენს კი ხარშავდა. თვითონ არ ჭამდა, ყიდდა. ერთი ვირთხა - ერთი ულუფა პური ან ფული. ასეთი გარიგების ბევრი მსურველი მოიძებნა რადგან, ხვდებოდნენ, რომ ეს მაინც ხორცია, რასაც სრულიად მოკლებულები ვიყავით. საშინელებაა, მაგრამ ერთი უკრაინელი ექიმიც კი ჭამდა ამას. როცა ერთ-ერთმა ჩვენმა ექიმმა შეშინებულმა ჰკითხა - „იცით კი რას აკეთებთ?“, მან წყნარად უპა-

27 W. Piworowicz, Trudno uwierzyć w to, co się przeżyło, (w:) J. Surwiłło, Rachunki..., გვ. 7.

სუხა: „დიახ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ეს მაინც ცილაა“²⁸.

ხშირად, სამზარეულოსთან, ხალხის დიდი ჯგუფი ელოდებოდა კარტოფილის ნათლის და დამპალი თევზის გადაყრას. დამატებითი საკვების მიღების ყველა-ნაირ გამოსავალს ეძებდნენ და ერთი მათგანი:

„ფრანეკი, ზედმეტსახელად „ბანაკის მშარდავი“, იქექებოდა სანაგვეში და ნაპოვნ კარტოფილს, ბარდას და ძვლებს წყალს ავლებდა და ჭამდა. მენარცხეების რაოდენობა იზრდებოდა და არ ამინებდა მათ არც დამპალი ნარჩენების სიმყრალე და არც ბუზები, რომლებიც გროვებოდნენ სიდამპლის ბუდესთან. მენარცხეებს შორის გავრცელებულმა კუჭის ეპიდემიამაც კი ვერ მოახდინა მათზე გავლენა“²⁹.

გადმოცემით ვიცით, რომ ხალხს, რომლებიც მუშაობდნენ სამზარეულოში, ან სხვა თანამდებობებზე, გააჩნდათ დამატებითი საკვების შოვნის დიდი შესაძლებლობა. ეს გამომდინარეობდა განსაკუთრებული „შეთანხმებებიდან“ და კავშირიდან. ზოგიერთს ძალიან კარგი პოზიცია ეკავა ბანაკში და ბევრი საქმის მოგვარება შეეძლო საბჭოთა ბაღრაგთან. რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში ეს არ შემოიფარგლებოდა მარტო საკვების საკითხით, რასთანაც შეხება ჰქონდათ, არამედ ყველაზე მეტად „მაღალი“ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი სიტუაცია წარმოგვიდგინა ბანაკში მომუშავე ექიმმა:

„ეს იყვნენ ბანაკში მყოფნი (მზარეულები), რომლებიც დროდადრო მოდიოდნენ ჩვენს ამბულატორიაში, მეტწილად დენატურატისთვის. ყოველთვიურად ვღებულობდით გამოყოფილ რაოდენობას დენატურატისთვის. მათ კი ის სჭირდებოდათ სხვა მიზნებისთვის. სიამოვნებით ქეიფობდნენ დენატურატით. ბუნებრივია, რომ გარიგება არ ხდებოდა უფასოდ. მზარეულებისგან ვღებულობდი სხვადასხვა სურსართს: ზეთს, ისპანახს, ბურღულს და ა.შ. და ვინაიდან საღამოობით ხშირად გვაძლევდნენ ქარხალას, ერთად ვამზადებდით გემრიელ ვახშამს“³⁰.

უნდა ავხსნათ, რომ მზარეულები, უმეტეს ნილად, იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები, დაკავებულები და განთავსებულნი ამ ბანაკში. სარატოვის ჯგუფიდან ასეთ თანამდებობას ასრულებდა მარტო ბ. ი.

რა თქმა უნდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი საქციელის (დათრობის) „ნებართვა“ გააჩნდა მარტო ზოგიერთ პატიმარს, რომლებიც შედიოდნენ ბანაკის ელიტაში, რაზეც უკვე ვისაუბრე წინა თავში.

სამზარეულოში და საკვების სანყობებში ყველა დანაკლისს დიდი ძალისხმევით მალავდნენ. ამას ადასტურებს თუნდაც ის, თუ როგორ მოიქცა პუზევიჩი, რომელიც განაწესეს სამზარეულოში დამხმარედ. მორიგეობდა ღამე, როცა

28 S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 106-107. აქ საუბარია უკრაინელი ექიმის კუხარენკოს შესახებ, L. Perepczko, W łagrach..., გვ. 137.

29 St. Lisiecki, W więzieniu i sowieckim obozie koncentracyjnym . Wilno - Saratów - Kutaisi (1945-1946). Wspomnienia byłego studenta Uniwersytetu Batorego w Wilnie, Zakład im. Ossolińskich, sygn. 16783/II, გვ. 227.

30 L. Perepczko, W łagrach..., გვ. 147.

საბჭოთა მზარეულებს ეძინათ. კაუჩიმიეუ იაგლინსკისთან ერთად უნდა მიეხედათ „სუპისთვის,“ რომელიც იხარშებოდა. ისარგებლეს სიტუაციით და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ შეჭამეს 20 ულუფა თითომ, კიდევ მეგობრებს წაუღეს 30 ლიტრი. დილით მზარეულებმა ეს დანაკლისი შეავსეს წყლით³¹. ალბათ სხვა ყველა დანაკლისსაც ასე „არეგულირებდნენ“. რა თქმა უნდა, ბანაკის ადმინისტრაციამ იცოდა „ელიტის“ მიერ ჩადენილი სხვადასხვა დარღვევის შესახებ, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო ყურადღებას არ აქცევდნენ, ვინაიდან, როგორც იხსენებს ლ. პერეპეჩკო:

„არა მარტო ისინი (ოფიცრები - დ. რ.) ჩადიდნენ ამ ამაზრუნე საქმიანობას. ამბულატორიის ფანჯარა გაჭყურებდა სამზარეულოს შესასვლელს და ხშირად ვხედავდი უცხო ხალხს, რომლებიც შიგნით შედიოდნენ და გამოჰქონდათ საექვო ამანათები“³².

ბანაკის ზოგიერთ ოფიცერს ფართო კავშირები ჰქონდა. აქედან გამომდინარე ლებულობდნენ სარგებელს, საკვების ან მატერიალური სახით. ამავდროულად, თავისი თანამდებობის გამოყენებით, შეეძლოთ მაგ.: ქალაქში დიდი ოდენობით საკვების ან ტანსაცმლის გაყიდვით კიდევ უფრო დიდი სარგებლი ენახათ.

კარანტინის პერიოდის დამთავრების შემდეგ, პატიმრები წაიყვანეს სამუშაოდ ქუთაისის ავტოქარხანა „კოლხიდა“-ს (ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა) და მისი დამხმარე სანარმოების, რაც ამ უზარმაზარი ქარხნის ნაწილი იყო, მშენებლობაზე. აქ იძულებით ჩართეს არა მარტო პოლონელები, არამედ ყველა სხვა ეროვნების პატიმრები, რომლებიც იმყოფებოდნენ სვბ N0331. დანადგარები გერმანიაში, ოპელის ფაბრიკიდან, იყო მოხსნილი და ჩამოტანილი. მათი უმრავლესობა ღია ცის ქვეშ ეყარა, მატარებლიდან ჩამოგდების შემდეგ, შეფუთვის გარეშე. ფაბრიკა საკმაოდ დიდ ტერიტორიას იკავებდა (დაახლოებით 900 x 1200 მ) ორი შესასვლელი ჭიშკრით. მოიცავდა რიგ კონსტრუქციებს და საწყობებს, რომლებშიც იყო ბევრი სამშენებლო მასალა. სამშენებლო მოედანს რამდენიმე ადგილას ჭრიდა სარკინიგზო ლიანდაგი. ტერიტორიაზე მოწყობილი იყო სასადილო „თავისუფლად დასაქმებული“ პერსონალისთვის. ეს ყველაფერი შემოღობილი იყო მავრთულხლართით და საგუშაგო კოშკებით.

პატიმრები დაყვეს სამუშაო ბრიგადებად, რომელიც ითვლიდა დაახლოებით 30 ადამიანს. ყოველივეს მართავდა სამოქალაქო ბრიგადირი - „თავისუფლად დასაქმებული“, ან პატიმარი ბრიგადირი. მის მოვალეობაში შედიოდა დისციპლინის შენარჩუნება და ზრუნვა განსაზღვრული ნორმების (სასურველად გადაჭარბებით) შესრულებაზე. ამ ნიადაგზე, პატიმრებს შორის, ზოგჯერ ხდებოდა გაუგებრობა და მცირე კონფლიქტები. ფაბრიკის ტერიტორიაზე მუშაობდნენ

31 A. Puzewicz, Wspomnienia..., გვ. 68-69.

32 L. Perepczko, W łagrach..., გვ. 149

ასევე იაპონელი ტყვეები. მათაც პოლონელების მსგავსი მოვალეობები დააკისრეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო იაპონელები ცდილობდნენ კეთილსინდისიერად და სწრაფად შეესრულებინათ დაკისრებული საქმე. ყოველდღიურად, გაღვიძების („პადიომ“) შემდეგ, საღდაც 5:00 – 5:30, ბრიგადები იკრიბებოდნენ მოედანზე და მიდიოდნენ სამზარეულოში „სუპისთვის“. ამ დროს განსაზღვრული ადამიანები იღებდნენ პურს და შემდეგ ბარაკში ანაწილებდნენ კუსტარული სასწორების მეშვეობით.

„კერძის“ ჭამის შემდეგ, 6:00-ზე, ითვლიდნენ მთელ კონტინგენტს და თუ ოპერატიულად ხდებოდა, მაშინ 6:30 მიდიოდნენ სამუშაოდ. პოლონელები ბევრჯერ „გამოყავდა“ ინჟ. პორიეტისს, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ძალიან დაინტერესებული იყო მუშების მაქსიმალური რაოდენობით.

გასვლის სიგნალს უკრავდა ბანაკის მესაყვირე კაჟიმეჟ ჟენკიევიჩი. პოლონელები სამარშო მწყობრით მიდიოდნენ ფაბრიკაში, რომელიც, მეორე ქვებანაკის შემთხვევაში, იყო დაახლოებით 200-300 მ ბანაკიდან. მარშრუტი ასეთ შემთხვევაში დაცული იყო ჯარისკაცების კორდონით, რომლებიც გზის ორივე მხარეს იდგნენ.

სამშენებლო ობიექტზე მუშაობისას დანესებული იყო შესვენება სადილისთვის. შუადღით ყველა ღებულობდა „სუპს“ ფაბრიკის სამზარეულოდან. ხშირად ეს იყო ბოსტნეულის წვნიანი, ძალიან ცხარე. სამუშაო სრულდებოდა 17:00, როცა იკრიბებოდნენ ფაბრიკის ჭიშკართან. გასვლისას, ყოველ ჯერზე, ყველას ჩხრეკდნენ ბადრაგები.

პოლონელები მონაწილეობდნენ ქარხნის და ადმინისტრაციული შენობების და გზების მშენებლობაში. მუშაობდნენ, როგორც მლესავები, ელექტრიკოსები, სანტექნიკოსები, დურგლები და მექანიკოსები; ასრულებდნენ ყველანაირ სამუშაოს. ბევრს გააჩნდა შესაბამისი უნარები. დღეში საშუალოდ მუშაობდნენ 8 – 10 საათი. 1946 წლის ივლისიდან, ორ თვეზე მეტი, სამუშაოს წელავდნენ 10 საათამდე, რის გამოც ბანაკში ბრუნდებოდნენ 19:00 შემდეგ.

გამომდინარე სამშენებლო ბრიგადის სახეობიდან, სამუშაო შეიძლება ყოფილიყო მსუბუქი ან მძიმე. ყველაზე მძიმე სამუშაოდ ითვლევოდა ის, რაც ხორციელდებოდა ქვიან ნიადაგზე, სხვადასხვა სახის გათხრების (მაგ. საძირკვლის), ვინაიდან არ გააჩნდათ სათანადო აღჭურვილობა. სამუშაოს ასრულებდნენ ხელით, წერაქვის და რკინის ლომების გამოყენებით. მსგავსად ფასდებოდა გზის მშენებლობის სამუშაოები. ბრიგადაში, რომელიც დაკავებული იყო გზის ახლოს კლდის ბლოკების დამტვრევით, მუშაობდა მათ შორის ექიმი ს. ვიტეკი. იმის გამო, რომ მუშაობდნენ დამცავი ხელთათმანების გარეშე, ხშირად იღებდნენ ხელის ტრამვეზს, განსაკუთრებით კი ხელის გულების და თითების. ფრანჩიშეკ ბარტაშევიჩი ბეტონის დამზადებაზე განაწესეს. მუშაობის ტემპმა მოიმატა იაპონელი ტყვეების ჩამოსვლის შემდეგ. ისინი დავალების მიმართ მკაცრი მიდგომით ხასიათდებოდნენ. არაერთხელ მაგ. ყრიდნენ სატრანსპორტო ბეტონს ყუთების გვერდზე, რომლებიც პოლონელებს ჯერ გამზადებული არ ჰქონდათ.

სირთულის იგივე დონეზე უნდა განვიხილოთ ავურის დასამზადებელი სამუშაოები, სადაც მოხვდა ანტონი პუზევიჩი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე მძიმედ მუშაობდნენ კალციუმის დასამზადებლად. ეს ძალიან მანებელი იყო და შეეძლო გამოენვია სხვადასხვა ტრამვა მაგ.: მხედველობის. ამავდროულად, ძალიან მალე აფუჭებდა ტანსაცმელს და განსაკუთრებით ფეხსაცმელს, რასაც დიდი ხნის განმავლობაში არავის უცვლიდა. მშენებლობაზე ძალიან ბევრი უბედური შემთხვევა ხდებოდა. როგორც გადმოცემით ვიცით, ფაბრიკის ადმინისტრაციას არ აინტერესებდა სამუშაო უსაფრთხოება და შესაბამისი ნორმების დაცვა. არ არსებობდა არანაირი უსაფრთხოება სიმაღლეზე მომუშავეებისთვის (სახურაგების მშენებლობა). ტერიტორიაზე არსებობდა ამბულატორია, რომელშიც მორიგეობდა პოლონელი ექიმი (პერეპეჩკო), მაგრამ მას მხოლოდ სასწრაფო დახმარების განევა შეეძლო, მაგ.: ქრილობების ან მცირე დაზიანების მკურნალობა. მის მოვალეობებში ასევე შედიოდა სამზარეულოში სისუფთავის და დამზადებული „სუპის“ კონტროლი. საკუთარ შეხედულებებს და შეფასებებს წერდა ამისთვის განკუთვნილ წიგნში, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება, შეეტანა იქ ნეგატიური შეფასებები³³.

ზოგიერთს, მუშაობისას, გადახდა სეიოზული უბედური შემთხვევა, მაგ.: სტანისლავ სტრუნსკი და იეჟი შმეჟხალსკი გადმოვარდნენ ხარაჩოდან. ერთი მოტეხილი ხელებით, მეორე კი დაზიანებული ხერხემლით მოხვდნენ საავადმყოფოში. არასრული სამი თვის შემდეგ (?) შმეჟხალსკი თვითონ გაიქცა იქიდან. გადმოცემის თანახმად, თუ ვინმე იქ მოხვდებოდა, წამლების უკმარისობის გამო განწირული იყო სიკვდილისთვის. პატიმრები, რომლებსაც კიდევ გააჩნდათ ძალები, რამდენადაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ დასუსტებულებს, რომ შეენარჩუნებინათ ადგილი ბრიგადაში:

„მყავდა მეგობარი (...) - იან რინკიევიჩი. წარმოშობით ვილნიუსიდან იყო. ძალიან ავადმყოფობდა და სიარული აღარ შეეძლო. მიგვყავდა სამუშაოდ და ვტოვებდით ფიცრების საშრობში, იქ რომ წამონოლილიყო. ამის გამო ლეზულობდა საჭმლის „ჩვეულებრივ“ ულუფას. აუცილებელი იყო ხალხის გადარჩენა. ვუთხარი ბიჭებს: ის არ უნდა მოკვდეს, ის ჩვენი მეგობარია. უნდა გადავრჩენილიყავით“³⁴.

მამაკაცების ერთ-ერთი ბრიგადა, რომელშიც მოხვდნენ ლუდვიკ იანკოვსკი და ვაცლავ დრაგუნი, გაამწესეს მექანიზაციის სახელოსნოში, სადაც მოძრავ ტექნიკას შეაკეთებდნენ. მათ გააჩნდათ საჭირო პროფესიული განათლება ამ დარგში. ძრავების და მანქანების „ზილ“ და „გაზ“-ის შეკეთებით იყვნენ დაკავებული. საბჭოთა უფროსი ბევრჯერ უხდიდა მადლობას პროფესიულად შესრულებული სამუშაოს გამო.

33 იქვე, W łagrach..., გვ. 157-158. იხსენებს, რომ მისი მოვალეობა იყო შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა. თუმცა არ განმარტავს, ამ დიდ ფართობზე, როგორ ახერხებდა ამას და რა შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. ასევე არ ვიცით შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა სამშენებლო უბანზე და კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობდა მათი შეფასებისას.

34 J. Śmierzchański, Wspomnienia. ... გვ. 15-16.

ფაბრიკის ტერიტორიაზე ხის სახერხიცი იყო. იქ შესრულებულ სამუშაოსაც პატიმრები აფასებდნენ როგორც მძიმეს. მაგ.: საჭირო იყო ხის დიდი მორების (სიგრძით 8-10მ და რადიუსით 1.5მ) გადაგორება 100 მეტრის მანძილზე, სარკინიგზო გვერდითა ხაზიდან ხის სახერხამდე. განსაზღვრული ნორმის (ერთ პატიმარზე დღეში 8 ცალი) შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და მთელი ბრიგადა (რომელშიც მოხვდა სტანისლავ ტიშკიევიჩი) აგორებდა დღეში მხოლოდ 5 მორს. ხის საჭრელ საამქროდან არცთუ ისე მოშორებით იყო სადურგლო, სადაც მუშაობდა ხუთი პოლონელი, ქართველი იანვარაშვილის მეთაურობით.

ელექტრომონტიორების ბრიგადაში (სადაც წამყვანი იყო იულიუშ გერჩევსკი) ირიცხებოდა ანტონი იურგელევიჩი. მათი მთავარი ამოცანა იყო გამანაწილებელი კარადების დამზადება, რაც აუცილებელი იყო ფაბრიკის სხვადასხვა დანადგარის ასამუშავებლად. საბჭოთა ზედამხედველი არ უნდებდა ნორმებს, მაგრამ აფასებდა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს. ასეთი სისტემის დამსახურებით ბრიგადას უწერდა სამუშაოს 143% შესრულებას. ასეთ შემთხვევაში ყველანი ღებულობდნენ საკვების დამატებით ულუფებს. მოგვიანებით ი. გერჩევსკი და სტანისლავ ბელაჩიცი გადაიყვანეს ზეინკალების ჯგუფში³⁵.

ფაბრიკაში, ე.წ. მეორე ობიექტზე, ელექტრიკოსად მუშაობდა ანტონი ბარტაშევიჩი. შემდგომ ის გადაიყვანეს ე.წ. ელექტროცენტში, სადაც ისევე, როგორც ელექტრიკოსი, აკონტროლებდა არხების დაშრობას³⁶. ბრიგადაში, რომელსაც დაევალა საკანალიზაციო სისტემის შექმნა, მოხვდა ალფრედ ბილევიჩი. ამ ბრიგადის მოვალეობაში შედიოდა არხების გათხრა, მიწის დაშრობა და საკანალიზაციო მილების მონტაჟი.

ერთ-ერთმა ბრიგადამ, რომელშიც იმყოფებოდნენ სტანისლავ ზავისტოვსკი და იან ბაჟიუკი, მიიღო დავალება დიდი შენობის ინტერიერის მოწყობის, რომელიც განკუთვნილი იყო მუშებისთვის. პატიმრებს უწევდათ მაგ.: იატაკის გასწორება, რომელიც არასათანადოდ გამოშრობილი ფიცრების და დაჭედილი ლურსმნების არასაკმარისი რაოდენობის გამო მთლიანად განადგურებული იყო. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გამოცვლილიყო, მაგრამ სურსათის ნაკლებობა იყო. ამიტომ გაკეთდა ყველაზე მარტივი რამ - გაასწორეს ყველა ამოზნექილი სივრცე (!). ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ახასიათებს სისტემას და შესრულებული სამუშაოების ხარისხს.

1946 წ. პოლონელების ჯგუფი, 60-მდე ადამიანი, გაამწესეს ქვებანაკში, რომელიც ქუთაისის ცენტრში მდებარეობდა. იქ უკვე იმყოფებოდა დაახლოებით 60 ლატვიელი. ქვებანაკი შემოღობილი იყო მავთულხლართით და ყველა მხრიდან განათებული. საგუშაგო პოსტები განლაგებული ბანაკის საპირისპირო კუთხ-

35 1946 წლის ნოემბრიდან ი.გერჩევსკი გახდა ელექტრომონტიორებისა და ზეინკლების 13 კაციანი ჯგუფის ბრიგადირი. მათი უმეტესობა რუსები იყვნენ.

36 ე.წ. მეორე ობიექტის უფროსი გახდა ქართველი - ბიბიჩევილი, A. Bartaszewicz. Wspomnienia dwóch braci, გვ. 2 (მონათხრობი ავტორის არქივიდან).

ევბში. ტერიტორიის შუაგულში იდგა დიდი შენობა, რომელშიც ცხოვრობდნენ პატიმრები. გვერდით იყო საპირფარეო და საშხაპეი. ბადრაგების და სამუშაოთა მწარმოებლის ბარაკი იდგა მავთულხლართების გარეთ, დაახლოებით 20 მეტრში. პოლონელები (ლატვიელებთან ერთად) დასაქმებული იყვნენ დიდი შენობის მშენებლობაზე. ნორმის შესრულებისას ღებულობდნენ დამატებით 200გ ფაფას. აქ მუშაობდნენ კაჟიმიეჟ და იან იაგლინსკები, სტანისლავ გოდლეცკი, ვიტოლდ ბორუსევიჩი და პუზევიჩი³⁷.

პატიმართა რიგებიდან ბანაკის ხელმძღვანელობამ შექმნა სპეციალური საჯარიმო ბრიგადა. მასში ხალხი მოათავსეს რალაც „დანაშაულის“ გამო. მონმის გადმოცემით ვიცით, რომ ერთ-ერთი ასეთი ბრიგადა შეიქმნა 1946 წლის მარტში. მაშინ დილის ამოძახებაზე ამოიკითხეს პატიმრების გვარები, მიზეზის და მათ მიმართ რაიმე ბრალდების დასახელების გარეშე. სიაში მოხვდა სხვადასხვა ასაკის 32 ადამიანი. მათ ნაწილს, მათ შორის სტანისლავ და იან ზავისტოვსკებს, იან სტანიულს და მიეჩისლავ რუჯინსკის გააჩნდათ კონსპირაციული წარსული. ცალკე შენობაში განთავსების შემდგომ დაიწყო დაკითხვები. გარკვეული დროის შემდეგ ისინი გაამწესეს დამკრძალავ ჯგუფში. თეორიულად ეს კარგი სამუშაო იყო, რაც უკვე ვახსენე, მაგრამ ძლიერი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. ხოლო 1946 წლის მაისში (იმ დროისთვის ბრიგადირად დანიშნეს რუჯინსკი) პოლონელები გაამწესეს ქვის სამხვრევში. ძლიერი ბადრაგის ქვეშ, აიძულებდნენ დაეტვირთათ ლოდები სატვირთო მანქანებზე. დღიური ნორმა ერთ ადამიანზე იყო ერთი სატვირთო, რისი შესრულებაც, დასუსტებული პატიმრებისთვის, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. პოლონელების პროდუქტიულობა დაბალი იყო, ბადრაგებს კი მარტო ის აინტერესებდათ, რომ არ გაქცეულიყვნენ. მხოლოდ ქართველ ზედამხედველთან საუბრებმა გამოიღო შედეგი და დღიური ნორმა შეიცვალა 3 სატვირთოთი, ოღონდ მთელი ბრიგადისთვის. ამავდროულად პოლონელები დაპირდნენ, რომ არ შეეცდებოდნენ გაიქცევას. საბოლოოდ ბრიგადას უწერდნენ ნორმის 101%. სამსახურის განმავლობაში ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა. კერძოდ, ქვის სამხვრევში შემთხვევით აღმოჩნდა ახალგაზრდა თხა. სასწრაფოდ დაკლეს ბადრაგის თვალ წინ, რომელმაც თხის საძებნელად მოსული მწყემსიცი კი გააგდო. რა თქმა უნდა, ამ ხორციტ ბადრაგმაც ისარგებლა³⁸.

ფიზიკური სამუშაოს გარდა პატიმრებს ოფისშიც ასაქმებდნენ, როგორც „ნორმიროვშიჩებს“ (ნორმების განმსაზღვრელი სპეციალისტები). მათი გაკეთებული საქმიანობის სანაცვლოდ ბანაკი იღება ფულს, მაგრამ მარტო მცირე ნაწილს უხდიდნენ. ერთ-ერთ ასეთ ფუნქციას ასრულებდა ხის საწყობში („ლესოსკლადში“) სტეფან ბორტკევიჩი. არა მარტო თავის მოვალეობას ასრულებდა, არამედ მიიღო დავალება, რომ „შეექმნა თავისთვის სამუშაო“, რაშიც ბანაკი კიდევ უფრო მეტ ფულს მიიღებდა.

37 A. Puzewicz, Wspomnienia..., გვ. 59-60.

38 S. Zawistowski, Wspomnienia ..., გვ. 84-89.

პოლონელების მოგონებებიდან ჩანს, რომ ქარხნის ტერიტორიაზე ბევრი პროექტის ზედამხედველის ფუნქციას ასრულებდა ზჯისლავე კამინსკი³⁹. მსგავსი თანამდებობა ეკავა ინჟ. ზიგმუნტ შეჰენს.

პატიმრის ჩარიცხვა ტექნიკურ პერსონალში (ე.წ. ტექპერსონალში) ნიშნავდა პატიმრის საარსებო პირობების და საკვების საკითხის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასეთ გუნდში, მძიმე მუშაობის პერიოდის შემდეგ, მოხვედრა შეძლო მიხალ ნოვიციმ. რალაც მომენტში ის დაასაქმეს ბულალტრის დამხმარედ. მის მოვალეობაში შედიოდა სიების, აღწერების, ცხრილების მომზადება და ა.შ. შემდეგ აღმოჩნდა დაბალი დენის ტექნიკურ სანარმოში, სადაც ტელეფონებს და რადიოებს აკეთებდნენ. მასთან ერთად აქ მუშაობდნენ „თავისუფლად დასაქმებული“ ქართველები: ინჟ. ახტაზოვი, ტექნიკოსები - გეორხიძე და გეორხელიძე, ებრაელი ლეოვიდან - სტრუგი და მ., ტექნიკოსი - პოლონელი, რომელმაც მიიღო საბჭოთა მოქალაქეობა. ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებდა კაპიტანი სტეფან კონოპლევი.

პატიმრების ჯგუფი, რომელიც შედიოდა ტექნიკური პერსონალის რიგებში, შედგებოდა 20-მდე პოლონელისა (მათ შორის გონებრივი მუშაკები) და სხვა ეროვნების წარმომადგენლებისგან, დაახინავეს ცალკე მდგომ ერთსართულიან შენობაში ბანაკის ტერიტორიაზე. აქ იყო მონყობილი სამზარეულო და საცხოვრებელი ფართი 6 x 8მ., ორსართულიანი სანოლებით 38 ადამიანისთვის. ოთახში გრძელი მაგიდა და ელექტრო განათება იყო. ყველა ადამიანმა მიიღო ტანსაცმელი (შორტები, პერანგი) და ბამბის საბანი. „ტექპერსონალს“ გააჩნდა ოდნავ სხვა სტატუსი, ვიდრე სხვა პატიმრებს. არ იცავდნენ დისციპლინას გაღვიძებისას, საბჭოთა ოფიცრები კი არ აგინებდნენ ამ ადამიანებს. მათგან ითხოვდნენ მხოლოდ პროფესულ მუშაობას. მთავარი საკითხი, რითაც ეს ჯგუფი განსხვავდებოდა „ჩვეულებრივი“ პატიმრებისგან, იყო საკვებით მომარაგება. ვინაიდან ყველა „ტექპერსონალიდან“ იღება, სტანდარტული ულუფის გარდა, დამატებით 200გ პურს, ყოველ მეორე დღეს 50-100გ წვრილ თევზს და 28გ შაქარს⁴⁰. გონებრივი სამუშაოს შესრულების დროს, საცხოვრებელი პირობების და კვების გაუმჯობესების გამო, ბანაკში გადარჩენის და შინ დაბრუნების შანსები იზრდებოდა. მაგრამ ეს სტატუსი ადამიანების ძალიან ვიწრო ჯგუფს ეხებოდა.

1946 წლის დასაწყისში, ქუთაისში, დაიწყეს ახალი ქარხნის აღჭურვილობის ჩამოტანა სარკინიგზო ტრანსპორტით. უმეტესწილად ეს იყო დანადგარები გერმანიიდან, მაგდებურგის ოპელის ქარხნიდან. ვაგონებიდან მთლიან ყუთებს ექაჩებოდნენ მაგ.: ტრაქტორებით, ამას აკეთებდნენ მიუხედავად იმისა, რომ ფაქიზად მოპყრობის გაფრთხილება ყუთებზე გარკვევით ეწერა. ვაგონებიდან

³⁹ ვ. კოზაკევიჩი-რომანოვსკას წერილი ავტორისადმი, 2000 წ. 19 ოქტომბერი.
⁴⁰ M. Nowicki, Moja wielka..., გვ. 83-84, 93.

ყუთების ჩამოღების ასეთი მეთოდი, რასაკვირველია, მომენტალურად აზიანებდა დანადგარების დიდ რაოდენობას. აქ იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ძვირი და ზუსტი დანადგარები. ამ ყველაფერს ალაგებდნენ ღია ცის ქვეშ და არანაირად არ ფუთავდნენ. ძალიან მალე, დანადგარები, ამინდის პირობების გამო ფუჭდებოდა. ზოგჯერ ვაგონებში „პოულობდნენ“ გარკვეული რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნივთებს: ჭურჭელს, სადილის სერვისს, ავეჯს. ასევე პოულობდნენ საკერავ მანქანებს და ტანსაცმელს. ეს ნივთები იყო კარგად შეფუთული და კარგად დავასოებული. ჩემი აზრით, ეს ნივთები „მოროდორობიდან“ იყო ტრანსპორტის ჯარისკაცების პირად მიზნებისთვის განკუთვნილი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო სხვაგან აღმოჩენილი.

დანადგარების შეუფუთავი ნაწილები, თავისუფლად ჩალაგებული ყუთებში და ადვილად ასაღები, ბევრი პატიმრისთვის ძალიან ძვირფასი იყო. ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ყველა ხელმისაწვდომი დეტალი. თავიდან ყუთებს შლიდნენ და ჩუმად, ფიცრებად, მიჰქონდათ ბანაკში. ძალიან მოკლე დროში ფიცრებისგან დაამზადეს მოსახერხებელი ინდივიდუალური ჩემოდნები, რომლებსაც ყიდდნენ სხვა პატიმრებზე. ბრიგადები, რომლებიც მუშაობდნენ ქალაქში, ყიდდნენ ამ ჩემოდნებს ბაზრობაზე. საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრებიც სიამოვნებით ყიდულობდნენ. თავისუფლად დასაქმებულებზე ჩემოდნების გაყიდვამ დიდ რაოდენობას მიაღწია, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა პატიმრების კვების საკითხს.

ფაბრიკის ტერიტორია, მავთულბლართით შემოღობილი და მარტო გარეთ მდგომი „ბარაბოსებით“ (ბადრაგები), აძლევდა თავისუფალი სიარულის და კავშირების გაბმის საშუალებას. თავისუფლად დასაქმებულები - ქართველები, სომხები და სხვები - ყიდულობდნენ პოლონელი პატიმრების მიერ მოპარულ უამრავ მასალას და ნივთს. ამ ყველაფერს იყენებდნენ საკუთარი სახლების ასაშენებლად და შესაკეთებლად. ვინაიდან მაშინ ყველა მასალა დეფიციტი იყო, პატიმრების საქმიანობას დიდი მატერიალური სარგებელი მოჰქონდა. „საქონელს“ ყიდდნენ პურზე, მჭადის ფქვილზე, ხახვზე, ნიორზე, პომიდორზე, ვაშლზე, სიგარეტზე, რუბლებზე, ლობიანზე, ჭაჭაზეც კი და არაყზე. ამ ვაჭრობას ასე იხსენებს ერთ-ერთი მუშა:

„მშენებლობაზე დიდი არეულობა იყო. გამოჩნდა ლაქის მყიდველი, რითაც ვზეთავდით თუნუქს და კაუჭებს. ლაქი იყიდა ბერძენმა, რომელიც თავისუფლად დასაქმებული იყო. თუნუქს კი სამანქანო ზეთით ვზეთავდით“⁴¹.

დურგლების ბრიგადებში, სადაც მუშაობდნენ, მათ შორის, სტანისლავ ლაპინსკი და კაჟიმიეჟ ბოლინსკი, ბევრი რამის „გაცვლა“ შეიძლებოდა. ქართველებზე ყიდდნენ დიდი რაოდენობით ლურსმანს. პირველი გარიგების დროს, რამდენიმე კილოგრამის სანაცვლოდ, პოლონელებმა მიიღეს ფქვილის ტომარა. ვინაიდან ქართველები მოდიოდნენ ლოკომოტივით, ტვირთთან ერთად, შესაძლებელი იყო

41 L. Jankowski, Wspomnienia..., გვ. 18-49.

ყველაფრის უსაფრთხოდ გატანა. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ერთი პოლონელი, ზედმეტსახელად „პუნზა“, რომელიც მალულად გაყავდათ ფაბრიკიდან გარეთ აგრძელებდა სავაჭრო გაცვლებს. იმისთვის, რომ ბრიგადას არ დატყობოდა კაცის ნაკლებობა, რჩებოდა ერთ-ერთი ქართველი. ასეთ ქცევას, გრძელვადიან პერიოდში, შეეძლო დიდი პრობლემები შეექმნა, ვინაიდან:

„სადურგლომ დახარჯა იმდენი ლურსმანი, რომ ჩამოვიდა კომისია. ყველაფერმა გადაიარა ჩვენს უფროსზე - „პარაბზე“, რომელიც აქ იხილდა თავის სასჯელს, როგორც სხვები 10 წელს. (...) ცრემლიანი თვალებით გვეკედრებოდა, რომ აღარ მოგვეპარა ლურსმანი, თორემ საბოტაჟს დააბრალებდნენ“⁴².

ამის გარდა, სავაჭრო მიზნებისთვის მზადდებოდა მრავალი ნივთი ხისგან, მათ შორის კოვზები და ხიშტის ქარქაშები.

სხვა საქმიანობას, სამსახურში ლობიანების გამოცხობას, ასრულებდა სამი კაცი რიშარდ გულბანოვიჩის ბრიგადიდან. მათი ბრიგადა გაამწესეს ქვის სამსხვრევში. როცა შემთხვევით იპოვეს ლუმელის ფოლადის ფურცელი, დაინყეს ლობიანების გამოცხობა. მეთაური, მოსყიდული ბრეზენტის ფეხსაცმლით, ჯარისკაცი კი - რუბლებით და ლობიანებით, ყურადღებას არ აქცევდნენ დაბალ პროდუქტიულობას.

განსაკუთრებულ პროდუქციას აწარმოებდნენ ჩესლაჟ ალენოვიჩი და კ. ბოლინსკი. ძელებისგან (სამზერეულოდან გადაყრილი) და კალსტიკური სოდისგან, რომელიც იპოვეს ვაგონში, დაინყეს ფაბრიკაში საპნის წარმოება. საპონი გაჩნდა („წარმოებულია აშშ“) ქუთაისის ბაზრობებზე. ეს საქმიანობა არ გამოიჩინა ბანაკის მეთაურის ყურადღებას, რომელმაც დაიბარა პოლონელები და უბრძანა, რომ წარმოების ნახევარი ყოველთვის ჩაებარებინათ ბანაკის სამრეცხაოში, რასაც ყოველთვის არ აკეთებდნენ⁴³.

პოლონელები ასევე მუშაობდნენ სამჭედლოში, სადაც ბრიგადირი იყო იან ოშინსკი. სამჭედლო წარმოადგენდა „სახელოსნო წარმოების“ საუკეთესო ადგილს. როგორც უკვე ვახსენე, ნედლეულის მოპოვების საუკეთესო წყარო ფაბრიკის ტერიტორიაზე დასაწყობებული დანადგარები იყო. იქ, პირველ რიგში, ეძებდნენ ალუმინს, რომელიც საუკეთესო იყო აუცილებელი ნივთების დასამზადებლად. მაშინ შეიქმნა ბანაკის პატარა „სანარმო“. სამუშაო როლები გადაინაწილეს. ზოგი ამზადებდა ჩამოსასხმელ ფორმებს, სხვები ასხამდნენ მდნარ ალუმინიუმს, სხვები აპრიალდებდნენ დამზადებულ პროდუქტს. ასე მზადდებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ნივთი მაგ.: ქვაბები, ჯამები, კოვზები, ალუმინის ქვაბები. პატიმრები ასევე ამზადებდნენ კუსტარულ დანებს და ნემსებს.

ბანაკში ძალიან კარგ სიტუაციაში იყვნენ ხელოსნები: მკერავები და მენაღებები. აქ მუშაობდნენ მეჩისლაჟ პრეცკალო და ალექსანდერ ვრუბლევესკი. მათ შეეძლოთ ნივთების შეკეთება, ან კონკრეტული შეკვეთის შეკერვა. ამ სამუშაოს აკეთებდნენ როგორც პატიმრებისთვის, ასევე ბანაკის კომენდატურისთვის.

42 K. Baliński, Pod słońcem Gruzji, „Prawo i Życie” 1989, N 4, გვ. 10.

43 იქვე, გვ. 10 - 11.

ამისთვის იყენებდნენ ნახმარ ტანსაცმელს სანყობიდან. ამ საქმიანობის წყალობით შოულობდნენ საკვების დამატებით ულუფას ან ფულს.

დიდი საზრიანობით და სამენარმო ნიჭით გამოირჩეოდა სტანისლავე ლაპინსკი, მენაღების ჯგუფის „უფროსი“. ბრეზენცის ფეხსაცმლის გაკეთებისას ყველას აძლევდა კონკრეტულ ამოცანებს. მასალას შოულობდნენ პატიმრები, იპარავდნენ მანქანების გადასაფარებელს, რომლითაც შემოჰქონდათ ბანაკში საქონელი. ყველაზე რთული იყო მასალის პოვნა, რითაც უნდა გაკეთებულიყო ფეხსაცმლის ძირი, მაგრამ ეს პრობლემაც მალევე გადალახეს. მშენებლობაზე მუშაობდა კონვეიერი, საიდანაც მოიპარეს საჭირო მასალა. კონვეიერის ლენტი დაჭრეს ნაჭრებად და დამალეს ტბორში, ვინაიდან, ამის გამო, ძალიან დიდი ამბავი ატყდა ფაბრიკაში. რამდენიმე დღეში ნელ-ნელა ყველაფერი გადაიტანეს „სამუშაო ადგილზე“. გადმოცემის თანახმად, დამზადებული ფეხსაცმელისგან აღფრთოვანებულები იყვნენ საბჭოთა ოფიცრები, რომლებიც ცვლიდნენ არაყში, ან იხდიდნენ 800 მანეთს წყვილში.

ვაჭრობაში შუამავლობით და მყიდველების პოვნით დაკავებული იყო პოლონელებში ცნობილი და რუსებთან ძალიან კარგი კავშირების მქონე, ადრე უკვე ნახსენები - ქურდი ანტონი დ. საკუთარი ინიციატივით, რაც პოლონელებისთვის თავიდან გასაკვირი იყო, მოაწყო „დახმარება“ დამშეულებისთვის. საკუთარი ხარჯით ამზადებდა წვნიანს და ურიგებდა. ამავდროულად, როგორც მათი ერთადერთი მკვებავი, იღებდა მათ ამანათებს, რომლებიც მოდიოდა ბანაკის მისამართზე. გადმოცემის თანახმად, ასე იმიტომ აკეთებდა „რომ არავინ გამხდარიყო ავად“ და თვითონ ანაწილებდა. მისი ფინანსური სიტუაცია იყო ერთ-ერთი საუკეთესო და საკმაოდ ხშირად „ელიტასთან“ ერთად აწყობდა ალკოჰოლურ ღრეობებს. ასევე ქალებთან ურთიერთობებზეც არ ამბობდა უარს⁴⁴.

ყველა პოლონელს არ შეეძლო საკვების (მოპარვით ან „წარმოების“ მეშვეობით) შოვნა. გათხრითი სამუშაოები ასეთ საშუალებას არ იძლეოდა, რასაც იხსენებს ერთ-ერთი ექიმი, რომელიც დისციპლინალურად, ხანმოკლე დროით აღმოჩნდა ასეთ ბრიგადაში. იმ დროისთვის თხრიდნენ ორმოებს წყლის გამანაწილებელის ქვეშ, რომლითაც მიენოდებოდა წყალი ბანაკს. ასე აღწერს საკუთარ მდგომარეობას:

„ასეთი დამქანცველი სამუშაო დღის მერე, საღამოს უკვე არაფრის კეთების თავი არ მქონდა, მარტო ძილის. მომავალი კარგს არაფერ მპირდებოდა. (...) ამ პერიოდში ძალიან გავხდი, დაეკარგე იუმორის გრძნობა, გართობის სურვილი და ჰიგიენის მოთხოვნილება. ხშირად გავდიოდი სამუშაოდ დაუბანელი, ძონძებში ჩაცმული, დაგლეჯილი საბჭოთა ფარაჯით“⁴⁵.

ბანაკის ტერიტორიაზე სავაჭრო გაცვლა ხდებოდა „ჩარნოჟოპების“ ბარაკის მახლობლად. იქ შეიქმნა არაფორმალური ბაზარი, სადაც შეიძლებოდა ყიდვა სხვადასხვა ხილის, მჭადის ან სოიოს კვერების, „სანარმო პროდუქტის“.

44 S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 95-98.

45 Ł. Perepeczko, W łagmch..., გვ. 155.

აქ ასევე მუშაობდნენ პარიკმახერები (პრიმიტიული მაკრატლებით ან მსგავსი ხარისხის დანებით). ერთ-ერთი პარიკმახერი გახდა ჰენრიკ ვერტინსკი. საკუთარ ნამუშევარს აფასებდა რამდენიმე რუბლის ან პურის ულუფის ფასად.

ვაჭრობა ყვაოდა ასევე ჩამოყვანილ იაპონელ ტყვეებთან. მათ გააჩნდათ ბევრი სამხედრო აღჭურვილობა, მაგ.: კარდალები და ტანსაცმელი. სიამოვნებით ცვლიდნენ პურზე, თუთუნზე და სიგარეტზე. საწყის პერიოდში სისტემატურად აძლევდნენ ბრინჯს, მაგრამ, ალბათ, მომარაგების პრობლემების გამო, შეუწყვიტეს. ქალები, პირველ რიგში, ცდილობდნენ იაპონელებისგან მიეღოთ ტანსაცმელი და ბამბის საცვლები. შემდგომ გადააკეთებდნენ სვიტრებად, რომლებსაც ხალხით ყიდულობდნენ „თავისუფლად დასაქმებული“ რუსი და ქართველი ქალები⁴⁶. პატიმრების ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო გაცვლით მოპოვებული ნიორი და ხახვი, რასაც იყენებდნენ ავიტამინოზის წინააღმდეგ.

ქარხნის და ბანაკის ტერიტორიაზე ოფიციალურად ფუნქციონირებდა მენაღის სახელოსნო და სამკერვალო. აქ ხდებოდა ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ნებისმიერი სახის შეკეთება. ერთ-ერთი პოლონელი, მ. პრეცკალო, საბჭოთა პერსონალისთვის კერავდა ჯარისკაცების და ოფიცრების ფორმებსაც კი. სამკერვალოში გაამწესეს ა. ვრუბლევსკი.

საბჭოთა ადმინისტრაცია ხელმარჯვე პატიმრებისთვისაც კი პოულობდა სამუშაოს. 1946 წლის ნახევრიდან იან ზაისტოვსკი, სამხატვრო განათლებით, მთავარი მხატვარის ფუნქციას ასრულებდა. მას დაავალეს სხვადასხვა ბანერების, წარწერების და ნახატების დამზადება ბანაკისთვის. ოფიცრებიც კი უკვეთავდნენ საკუთარ პორტრეტებს.

ქალები დასაქმებული იყვნენ დამლაგებლებად და სხვადასხვა წვრილმან სამუშაოზე. პოლონელი ქალები განსხვავებული ასაკის იყვნენ - 17 წლიდან 50-მდე. ზოგიერთ სიტუაციებში აიძულებდნენ, შეესრულებინათ მძიმე სამუშაო, როგორც იყო სამშენებლო მასალის გადაზიდვა (აგური, ნანგრევები) და სარკინიგზო, მათ შორის, რელსების.

რამდენიმე ბრიგადა, სხვადასხვა პერიოდში, გაამწესეს ქალაქ ქუთაისში, სადაც იყო კონსერვების და ხილ-ბოსტნეულის ქარხანა. აქ მუშაობდნენ რეგინა პაშინსკა და იანინა ხელსტოვსკა (ბოსტნეულის და ხილის გასუფთავება, დახარისხება და დაჭრა). სხვა ქალები ეხმარებოდნენ ბანაკის სამზარეულოში (მაგ. მარია პუხალსკა) და ქარხნის სამზარეულოში (მაგ. ტერესა კულეშა, ირენა ტიტოვ (ბიტოვ). უბრძანებდნენ მაგ. ხახვის ან სხვა ბოსტნეულის გათლას პატიმრების სრული კონტინენტისთვის. ასევე ავზავნიდნენ ჯარისკაცების ბარაკების დასალაგებლად და მათი ფორმების გასარეცხად. ზოგიერთი მუშაობდა ტანსაცმლის

46 F Guilbinowicz (z d. Chelstowska), ვილნიუსის გიმნაზიის 17 წლის მოსწავლის ნამაბობი, გვ. 9 (ავტორის არქივი).

საწყობში - ახარისხებდნენ ფრონტიდან და გერმანიიდან ჩამოტანილ სამხედრო ტანსაცმელს და საცვლებს⁴⁷.

მცირერიცხოვან ბრიგადებს აგზავნიდნენ სიმინდის, ჩაის და ბოსტნეულის საკრეფად. რამოდენიმე ქალი მუშაობდა ბანაკის ადმინისტრაციაში, მათ შორის ბულალტერიაში. ხანდახან თარგმნიდნენ რუსულ ენაზე პატიმრებთან მოსულ წერილებს. მათ შეეძლოთ, თავისუფლად ემოძრავათ ბანაკის გარე პერიმეტრზე, ქუთაისშიც კი დადიოდნენ და ასევე შეეძლოთ, საჭმელი აეღოთ პერსონალის სამზარეულოში. სხვები მაგ.: ვაცლავა რომანოვსკა გაამწესეს ბანაკის საავადმყოფოში. მათ მოვალეობებში შედიოდა სისუფთავის შენარჩუნება კორიდორში, ამბულატორიაში, ექიმის კაბინეტში და აფთიაქში. ამის გარდა, ურიგებდნენ ავადმყოფებს ნამლებს და რეცხავდნენ ჭურჭელს საავადმყოფოს სამზარეულოში.

ბადრაგები, ზოგადად, უფრო „მსუბუქად“ უყურებდნენ, ქალების მიერ, ბანაკის ტერიტორიაზე დამატებითი საჭმლის შეტანას. ამისთვის, იმ ქალებს, რომლებიც სამკერვალოში მუშაობდნენ, შეეძლოთ ტანსაცმლის გადაკეთება. ქალები კაცებთანაც ახერხებდნენ გაცვლით ვაჭრობას. ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს სამზარეულოსთან, ან ბანაკის საერთო ოთახთან. ქალები არ ავადმყოფობდნენ ისე ხშირად, როგორც კაცები. ცნობილია, გარდაცვალების ერთი შემთხვევა. 1946 წელს გარდაიცვალა ირენა პოჟნიაკუენა.

სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებული იყვნენ ასევე ადამიანების კატეგორია, რომლებსაც ბანაკში ეძახდნენ „ტიტვლები და ფეხშიშვლები“. რა თქმა უნდა, საუბარი იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ გააჩნდათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ამის მიზეზი იყო ორი რამ. პირველი მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთები ყიდდნენ საკუთარ ტანსაცმელს საკვებისთვის. ძალიან ხშირად, უკიდურეს მდგომარეობაში მყოფნი, „იშორებდნენ“ პრაქტიკულად ყველაფერს. ასეთ სიტუაციაზე ყველა ერთ-ერთი პატიმარი:

„საცოდავი სურათი, ერთ-ერთ ზამთრის შეკრებაზე, როცა არც ისე ძლიერი ყინვის დროს, მაგრამ წვიმიან-თოვლიან ჭყაპში გამოჩნდა 20-მდე უბედური, ფაქტიურად, ტრუსებში. (...) ადმინისტრაციამ, სხვა რა გზა ჰქონდა, ასეთ სიტუაციაში გამოუცდელბემა, ჩააცვა ამ ხალხს ძველი სამხედრო ტანსაცმელი, მგონი გარდაცვლილების“⁴⁸.

ტანსაცმელს ძალიან ხშირად ჰყიდდნენ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობა იშორებდა ტანსაცმლის თითო ელემენტს.

მეორე მიზეზი „ტიტვლების და ფეხშიშვლების“ არსებობის არის ძალიან განსხვავებული. უბრალოდ, ზოგიერთების ტანსაცმელი ნადგურდებოდა სამუშაო ვითარებაში, ან უბრალოდ პარავდნენ, რის გამოც პრაქტიკულად არ შეეძლოთ სამუშაოდ გასვლა. რა თქმა უნდა, ბანაკი ამით ზარალდებოდა ვინაიდან ნაკლებ ადამიანს უშვებდა სამუშაოდ. ამის თავიდან ასაცილებლად, გარკვეული დროის შემდეგ, ჩამოიტანეს საბჭოთა ფორმები (გაფუჭებული და ბინძური) და ყველას

47 T. Nowiak (z d. Kulesza), Wspomnienia..., გვ. 34-35; R. Kuligowska (z d. Pasińska), Wspomnienia..., გვ. 7.

48 K. Baliński, Pod..., გვ. 10

ჩააცვეს. გადმოცემით ვიცით, რომ ეს ტანსაცმელიც მალე გაიყიდა და „ჩაცმის“ პროცესი მეორედებოდა რამდენიმე დღე. მაგრამ ამ ჯგუფის უმრავლესობა მაინც გაიგზავნა სამუშაოდ. მარტო ერთი პოლონელი არ დანებდა, რასაც ასე იხსენებს ერთი პატიმარი:

„კაცს სახელად კაჟიმიეჟი (გვარი არ მახსოვს) გააჩნდა მანევრირების განსაკუთრებული ნიჭი. უკვე დიდი ხანია იყო „ტიტველი და ფეხშიშველი“. მანამდე დაჟინებით იშორებდა ტანსაცმელს. სამუშაოდან ბრუნდებოდა სრულიად ტიტველი, მავთულით შეკრული ტოლით შემოხვეული. ფეხზეც ტოლის ჩუსტები ეცვა. გამოიყუებოდა, როგორც მთვარის მანქანა. 3 დღე კარცერი მიუსაჯეს, რის მერეც ისევ ჩააცვეს და გაუშვეს სამუშაოდ, მაგრამ ვერ დაამარცხეს, გაყიდა. საბოლოოდ შეეშვნენ. თუმცა ვახშამს ჩამოაშორეს. ძალიან მშვიერი იყო, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა“⁴⁹.

ასეთი მაგალითები, როგორც ზემოთ მოვიყვანე, იშვიათად ხდებოდა. უმეტესობას მართლაც გაფუჭებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ეცვა. მათი შესახედაობა იყო ისეთი, როგორც იხსენებს ერთ-ერთი ქალბატონი:

„დახეული პერანგი (ნაგლეჯები) ზოგიერთებს მარტო საყელოს დამსახურებით უჩერდებოდა ტანზე. როცა მზე ძალიან აცხუნებდა, ან წვიმა მოდიოდა იკეთებდნენ (კაცები) ზურგზე ტოლს ან ფანერას“⁵⁰.

სავარაუდოდ, 1946 წლის მეორე ნახევრიდან, იშვიათად (მაგრამ მაინც) ადმინისტრაცია ურიგებდა პატიმრებს ტანსაცმელს. ყველაზე მეტად ეს ეხებოდა საცვლებს.

ჩემი მოსაზრებით, 1947 წლის დასაწყისიდან ბანაკში ფუნქციონირებდა მაღაზია, სადაც შეიძლებოდა ტანსაცმლის ყიდვა. თებერვალში ფასები იყო შემდეგი: დაბამული ქურთუკი - 65 მანეთი, ბამბის სქელი წინდები - 35 მანეთი, ხელთათმანები - 15 მანეთი, ბრეზენტის პიჯაკი - 35 მანეთი, შარვალი და ბლუზა - 150 მანეთი⁵¹. ამ ტანსაცმლის ყიდვა მარტო ზოგიერთს შეეძლო, ვისაც ფინანსურად ეხმარებოდა ოჯახი. იმიტომ რომ ფასები მაღალი იყო და ვინმეს თუ გააჩნდა ნაღდი ფული, ის, პირველ რიგში, ყიდულობდა საკვებს, რაც მის ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა.

ცუდი საკვების გარდა, პატიმრების მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებდა ქუთაისის დაბლობის კლიმატი: ნესტიანი, ხშირი წვიმები, ძლიერი ქარი, და სწრაფი მოყინვები. სიცივემ, ნესტიანმა მიწამ, მუშაობამ და საშიშროლო ულუფებმა ორგანიზმის გამოფიტვა გამოიწვია - დისტროფია. ეს კი იყო, პა-

49 S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 94-95.

50 T. Nowiak (z d. Kulesza), Wspomnienia..., გვ. 38.

51 ბანაკიდან პოლონელების გამგზავრებამდე, 1947 წ. მაისში, ფასები შეიცვალა, მაგ.: პირადი თეთრულის წყვილი ლირდა - 60 მანეთი, და ფეხსაცმელი 60 მანეთი ან უფრო იაფიც, ი. გენევის 1947 წლის 2 თებერვლის და 9 მაისის ნერილები (ქსეროასლი ავტორის არქივი).

ტიმრებს შორის, მასიური ავადმყოფობის მიზეზი. ზოგადად იგივე დაავადებები იყო რაც წინა ბანაკში (ავიტამინოზი, კანის დაავადებები). მალარიის უფრო მეტი შემთხვევა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი იყო, რა თქმა უნდა, „სისხლიანი ფალარათი“ (დეზინტერია), გამონეული კუჭნაწლავის მონამვლით. ეს ემართებოდათ ასევე იმ ადამიანებს ვინც ეძებდა საკვების დამატებით წყაროს ადგილებში, როგორც ქვემოთ აღწერილ შემთხვევაში:

„ვილაცა მიცოცავს საპირფარეშოსთან. იქ კიდევ ვილაცა, ალბათ სამუშაოზე შეჭამა თეთრი ბარდა, მაგრამ, სავარაუდოდ, ზედმეტი მოუვიდა. მირობდა საპირფარეშოში, მაგრამ გზაზე გული აერია.

და ეს ადამიანი - ვ. ს. - აგროვებდა ამას და ჭამდა“⁵².

„მენარცხეების“ რიგებში დეზინტერია ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. მაგრამ ბევრი სხვაც, „ნორმალური“ ადამიანი, დაავადებული იყო. ისინი სხვებსაც „ნამლავდნენ“. ასეთი მდგომარეობა, პრაქტიკულად, მთელ 1946 წელს გრძელდებოდა.

მონამლული საქმლის ჭამას უკავშირდებოდა ასევე მუცლის ტიფის შემთხვევები. ის ვლინდებოდა ეტაპობრივად გაზრდილი სიცხით - 40-მდე C°, გაბრუებით, გამონაყარით, კუჭის შეკვრით ან ფალარათით.

სავარაუდოდ, ამ მდგომარეობის მიზეზი იყო ბანაკის ადმინისტრაციის მიერ დირექტივის, N50 შინსახკომი სსრკ 1945 წ. 1 მარტი, არ შესრულება. ის ეხებოდა „პროფილაქტიკურ საქმიანობას, ინფექციური კუჭ-ნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგოდ შინსახკომის ბანაკებში სამხედრო ტყვეების და ინტერნირებულებს შორის“⁵³. ნაბრძანები იყო დამცავი აცრების ჩატარება 1946 წლის 15 მაისამდე. ამავდროულად, ბანაკის ტერიტორიის გასუფთავებას, მათ შორის სანაგვეების, ტუალეტების და მათი სანიტარული მდგომარეობის იდეალურად შენარჩუნებას. ხაზს უსვამდა წყლის წყაროების სწორად გამართვას ბანაკში და მისი კარგი ხარისხის უზრუნველყოფას. მეოთხე პუნქტი აიძულებდა საკვების ობიექტების განსაკუთრებულ მოვლას, წესების დაცვას საკვების გადაზიდვის, შენახვის და გაცემის დროს. შემდეგი პუნქტი ეხებოდა ბუზებთან ბრძოლას (!) და ამ მიზნით დეზინფექციური საშუალებების მოხმარებას. მეექვსე პუნქტი ურჩევდა, რომ ყველა „ფალარათით“ დაავადებული პირი იზოლაციაში მოექციათ სპეციალურ შენობებში და მეშვიდე - ყურადღების მიქცევას, პატიმრებს შორის, ჰიგიენის დაცვის საკითხისთვის: ხელის დაბანა და კარდალას გარეცხვა საქმლის მიღებამდე.

არასათანადო სანიტარული პირობების გამო ვრცელდებოდა ასევე, როგორც წინა ბანაკში, ტილიანობა, რომელმაც გამოიწვია პარტახიანი ტიფი. რა თქმა უნდა, პატიმრებს არ აძლევდნენ არანაირ ანტიბიოტიკებს და არც აცრებს

52 St. Tyszkiewicz, Wspomnienia... გვ. 5.

53 ვეარაუდოდ, რომ მსგავსი ბრძანებები ეხებოდა ყველა კატეგორიის ბანაკებს, მათ შორის სფბ-ს

უკეთებდნენ, ვინაიდან ნამღებების დეფიციტი იყო⁵⁴. ზამთრის პერიოდში ძალიან მძლავრდებოდა დაავადებები, როგორცაა ფილტვების ანთება, ანგინა და გრიპი. ჩნდებოდა ასევე ქლეფი, რაც უკვე ხშირად სიკვდილით მთავრდებოდა.

როცა სვბ N0331-ს სანიტარულ პირობებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება მის ქვებანაკებში N1-ში და N3-ში. სანიტარული პირობების აღწერის მთავარი წყაროა დოქტორ პერეპეჩკოს მოგონებები. ის ხაზს უსვამს, რომ პირველ ბანაკში, რომელშიც იმყოფებოდა (ავტორის აზრით N1), პირობები არასათანადო იყო.

პაციენტებს ღებულობდნენ ამბულატორიაში, საიდანაც მძიმედ დაავადებულები გადაჰყავდავთ ბანაკის პრიმიტიულ საავადმყოფოში. იქ ძირითადი აღჭურვილობის ნაკლებობა იყო, თუნდაც სანოლის, სხვა ინვენტარზე ხომ ზედმეტია საუბარი. ავადმყოფები იწვნენ იატაკზე კედლებთან. ნამღებების და საბჭოთა პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის გამო, პატიმრებს შორის სიკვდილიანობა, გადმოცემის თანახმად, დიდი იყო. ასეთი მდგომარეობა ბანაკის სანიტარული და საცხოვრებელი პირობების ძალიან დაბალი დონით იყო გამოწვეული. პერეპეჩკომ აღწერა ტიპიური მაგალითი, თუ როგორ ატარებდა შემოვლას ექიმი:

„დილით შემოვლისას, შტატიანი საბჭოთა ექიმი არ სინჯავდა პაციენტებს, არამედ უსმენდა, თუ რას მოუყვებოდა ექთანნი. მიდიოდნენ პირველ ავადმყოფთან:

- აქ მალალი ტემპერატურა და ფილტვების ანთებაა - ამბობდა ექთანნი.
 - „მარგანცოვკა“, თითო კოვზი დღეში 3-ჯერ - პასუხობდა ექიმი.
 - აქ დიზენტერია - აგრძელებდა მოყოლას ექთანნი.
 - „მარგანცოვკა - ოყნა“, დღეში 2-ჯერ - ავალებდა ექიმი.
 - აქ მძიმე შემთხვევაა, დისტროფია, სიცხე და მე მგონი გრიპი.
 - ამ ავადმყოფს უნდა ვუმკურნალოთ ძლიან ინტენსურად - ამბობდა ექიმი
- ამისთვის :მარგანცოვკა კუდში და ქეჩოში“, ანუ მარგანცოვკა დასალევადა და ოყნით. და ასე ყველა პაციენტს (მარგანცოვკა ეს არის კალიუმის პერმანგანატი)⁵⁵.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითი აჩვენებს, პაციენტის მდგომარეობის მიუხედავად, მათ „მკურნალობდნენ“ ერთნაირად. ყველა დაავადებას ერთი და იმავე წამლით. ეს წარმოუდგენილი გვეგონია და აბსურდულიც კი, მაგრამ მკურნალობის იმავე სქემას აღწერს მეორე პოლონელი ექიმი, დოქტორი ვიტეკი. იმ დროისთვის ის მუშაობდა ებრაული წარმოშობის საბჭოთა ექიმთან (ქალთან) და ახალგაზრდა ქართველ ექიმთან ერთად. ასე დაიმახსოვრა ის დრო:

„ჩემი მეგობარი, მკერავი, იწვა საავადმყოფოში, კეროვანი ფილტვების ანთების სიმპტომებით. საბჭოთა ექიმმა დაუნიშნა „იპეკაკუანუ“ (ამოსახველებელი

54 მიმანჩია, რომ ეს დანაკლისი გამონეული იყო ასევე სამედიცინო საშუალებების ქურდობით საბჭოთა პერსონალის მიერ. რა თქმა უნდა, ეს ქმედებები იყო ძალიან გავრცელებული. ამ მოვლენის უდიდესი მაშტაბის გამო, 1946 წ. გამოიცა სპეციალური დირექტივა. ის მიმართული იყო, მათ შორის, სანიტარული განყოფილების უფროსებისადმი, მედიკამენტების კონტროლის და დაცვის გაძლიერების მიზნით.

55 „მარგანოცკის“ ამონურის შემდეგ ყველას აძლევდნენ ჰემატოგენს და შემდეგ თეზიის ქონს, L. Perepeczko, W Iagrach..., გვ. 130.

წამალი). კატეგორიულად შეეწინააღმდეგე, ვინაიდან ავამდყოფობის საწყის პერიოდში არანაირი ამოსახველებელი წამალი არ შეიძლება და უნდა დაინიშნოს: სულფამიდი, გულის წამლები და, რაც მთავარია, ვიტამინი C და სითხე. ამ გამოხატობის გამო ბადრამა 46 საათით კარცერში ჩამსვა. ახალგაზრდა ქართველმა იჩივლა, ჩემ გამო, კომენდანტთან - არანაირი შედეგი არ გამოიღო. მხოლოდ ბანაკის მთავარ ექიმთან ჩივილის შემდეგ დაეუბრუნდი მუშაობას და ექიმი ქალიც მკაცრად დასაჯეს⁵⁶.

ავადმყოფების დახმარების ასეთი სისტემის შედეგები ძალიან დაბალი იყო და ბევრი ადამიანისთვის საავადმყოფოში ყოფნა ტრაგიკულად მთავრდებოდა. პაციენტების აზრით, ეს იყო „ამოსაწყვეტი“ და თავისი ნებით აქ არავინ მოდიოდა⁵⁷. რა თქმა უნდა, მიტოვებული ადამიანი აქ მალე კვდებოდა, მაგრამ მეგობრების დახმარებით გადარჩენა შესაძლო იყო. თუ ავადმყოფი ღებულობდა „გარედან“ დამატებით საკვებს, მაშინ საავადმყოფოში გატარებული დრო აძლევდა ძალების აღდგენის და ორგანიზმის გაძლიერების საშუალებას. ასევე იქ ყოფნა დროებით ათავისუფლებდა მუშაობისგან, რაც ზოგიერთებისთვის აუცილებელი იყო. ერთი იმდროინდელი პაციენტი იყო მარიან დერლატკო, რომელიც დისტროფიით დაავადებული იწონიდა 38 კგ. მხოლოდ მეგობრების, მათ შორის რიშარდ უეპკოს, დახმარებით გადარჩა.

მეტწილად სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა უწევდათ პოლონელ ექიმებს (მათ შორის ფლეშერი, ვიტეკი). რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ ავადმყოფებს, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეეძლოთ გარდაცვალების ბევრი შემთხვევის თავიდან აცილება. ბანაკის მთავარმა ექიმმა, ნიორაძემ, განუცხადა, რომ მათ მოეთხოვებათ პასუხი, თუ ვერ შეაჩერებენ სიკვდილიანობას. მისთვის მთავარი იყო, რომ არავინ მომკვდარიყო ბარაკში. ყველა ავადმყოფი უნდა მოეთავსებინათ საავადმყოფოში. ყველა ექიმი მეთვალყურეობდა 3 ბარაკს, ზოგადად 300 კამაცდე. საავადმყოფოში მუშაობდა ასევე ერთი „თავისუფლად დასაქმებული“ - ვერა ბესარიონის ასული კუგუცა. მისი საქმიანობა, რაც საბჭოთა პერსონალისთვის დამახასიათებელი იყო, დაწვრილებით აღწერა ერთ-ერთმა ექიმმა:

„ნაბრძანები იყო მუცლის ტიფის სანინალმდეგო მასიური აცრების ჩატარება. ვერა ცრიდა დაცვის ყველა სამხედროს. ეს ქალბატონი იმსუბუქებდა საქმეს და მედიკამენტს გაამზადებდა 5 გრამიან შრიპცში, რიგში დააყენებდა ხალხს და ნემსის გამოცვლის გარეშე, ერთი და იმავე ნემსით ატარებდა აცრებს. შემდეგ შემოდოდა შემდეგი ათეული და იგივე მეორდებოდა“⁵⁸.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერსონალზე ვრცელდებოდა სსრკ შსს-ის 1945 წ. 1 სექტემბერის ბრძანება N 0226/093, რომელიც ეხებოდა პარტახტიანი ტიფით დაავადების თავიდან აცილებას. გენერალ-მაიორმა

56 S. Witek, Wspomnienia..., გვ. 487-468.

57 L. Perepeczko, W łagrach..., გვ. 136.

58 იქვე, გვ. 131.

შიტიკოვმა და სვბ-ს სანიტარული განყოფილების უფროსმა, სამედიცინო სამსახურის ვიცე პოლკოვნიკმა დიემბურგმა, 1945 წლის სექტემბერში, გასცეს სპეციალური განკარგულება N 53/8233. ის ითვალისწინებდა „პარტახტიანი ტიფის სანიტარულმდევოდ, შსსკ სვბ-ს სპეცკონტინგენტისთვის და თანამშრომლებისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარებას. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, აცრა უნდა ჩატარებინათ ბანაკის ხელმძღვანელობისთვის, სამედიცინო პერსონალისთვის, დაცვისთვის და ა.შ. აცრების ჩატარება უნდა დამთავრებულიყო 1945 წლის 10 ნოემბრამდე. რასაკვირველია, პატიმრებისთვის უკვე არანაირი აცრები არ ჩატარებიათ⁵⁹.

განსხვავებული მდგომარეობა დახვდათ პოლონელებს ქეებანაკ N3-ში, სადაც მთავარი ექიმი იყო იაკობაშვილი⁶⁰. საავადმყოფოს აფთიაქს ამუშავებდა მაგისტრი ელიავა. აქ ავადმყოფებისთვის განკუთვნილ საავადმყოფოს გააჩნდა ერთკაციანი საწოლები ლეიბებით, თეთრეულით, საბნით და ბალიშებით. ძალიან განსხვავდებოდა წინა ბანაკისგან, რომელიც დაშორებული იყო რამდენიმე ასეული მეტრით. მის მახლობლად მოაწყვეს ამბულატორია და აბანო. სანიტრებად, ბანაკის საავადმყოფოში, მუშაობდნენ პოლონელი ქალები - ყოფილი სტუდენტები, მაგ.: ჰელენა სავიცკა (მედიცინის მე-4 კურსის სტუდენტი), მეტსახელად „ლუშია“ და ირენა ოშიტი. ხანდახან ხდებოდა პერსონალის ცვლა და საავადმყოფოში მუშაობდნენ ასევე მაგ.: საბჭოთა პატიმრები, სანიტრები და ფერმალი - ქართველი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი ფაქტი, რომელმაც თავი იჩინა პატიმრების უმრავლესის გულგრილობის და აპათიურობის ფონზე. მონმეების თანახმად, პოლონელების გადარჩენაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლატვიელმა ექიმმა - იან სმილგამ. ის ხასიათდებოდა უდიდესი თავგანწირვით და თავდადებით ჰიპოკრატეს ფიცისადმი. მარტო მისთვის ცნობილი ხერხებით შოულობდა პაციენტებისთვის აუცილებელ მედიკამენტებს. ბევრ შემთხვევაში, მაგ.: ჰელენა ჰაიდუკევიჩმა, შეძლო საავადმყოფოში დიდი ხნით პაციენტის გაჩერება. ასევე - საბჭოთა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე, ატარებდა (პერეპეჩკოსთან ერთად) დისტროფიით გარდაცვლილი პატიმრების გაკვეთს. ამით ცდილობდა ებოვა პასუხები მათი გარდაცვალების მიზეზების საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებზე. დაადგინა, რომ მთავარი მიზეზი იყო შინაგანი ორგანოების ატროფია ა ხალხი კვდებოდა ტკივილის სიმპტომების და კვენსის გარეშე. ერთ-ერთ გაკვეთაში მონაწილეობას იღებდა, როგორც ასისტენტი, ირენა ოშიტი.

გადმოცემით ვიცით, რომ ყველაზე დიდი სიკვდილიანობა იყო ლატვიელებს შორის, რომლებიც ბანაკის პირობებს ყველაზე მძიმედ იტანდნენ. მათ ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „ცოცხალ ცხედრებს“, მათი სხეულის მასის განსაკუთრებული დანაკარგების გამო.

⁵⁹ აცრები უნდა ჩატარებულიყო 1944 წ. 1 დეკემბრის სვბ შინსახკომის N 53/1438 განკარგულების მიხედვით

⁶⁰ მონმე ამბობს, რომ ბანაკის საავადმყოფოს პირველი უფროსი იყო სამედიცინო სამსახურის კაპიტანი მარდალიშვილი, შემდეგ სონია იაკუბაშვილი, L. Perepeczko, W Iagrach გვ. 145.

ბანაკში სისტემატურად (სავარაუდოდ, ყოველ ორ თვეში) ტარდებოდა სამედიცინო დათვალეობები. რამდენჯერმე მათში მონაწილეობდა, როგორც კლერკი, ოშიტუენა.

დოკუმენტები, რომლებიც აღმოვაჩინე ლსა-ში (ლიეტუვას სახელმწიფო არქივი), დაკავშირებულია ქვებანაკების N1 და N3 სამედიცინო კომისიების საქმიანობასთან. პირველი დოკუმენტები 1945 წ. დეკემბრიდანაა. ეს არის კომისიის მიერ გაცემული ე.წ. „ვიპისკი იზ აკტა“ (ამონაწერი საბუთებიდან). ეს საბუთები ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა იმის დასადგენად, თუ როგორი იყო პოლონელების ჯანმრთელობის მდგომარეობა და რა დაავადებებით ავადმყოფობდნენ ქუთაისში. პირველი საბუთი - 1945 წ. 6 დეკემბერი - ეხება სტანისლავ ლიშიეცკის (დაბ. 1914 წ.). კომისიამ შეაფასა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გადანიშნა გათავისუფლება, ამ შემთხვევაში III კატეგორიის დისტროფიის გამო⁶¹. ეს მაინც არ ნიშნავდა ლიშიეცკის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. მისი თქმით, მხოლოდ 1946 წ. თებერვალში დატოვა ქუთაისი⁶².

შემდეგი ორი საბუთი ეხება - სტანისლავ არტიშევსკის (დაბ. 1918 წ.) და ჰენრიკ დროზდოვსკის (დაბ. 1911 წ.). დათარიღებულია 8 და 9 დეკემბრით. ამ შემთხვევაშიც სამედიცინო კომისიამ: თავჯდომარე - ქვებანაკის უფროსი, კაპიტანი სიმონიანი, წევრები: სანიტარული სამსახურის უფროსი, სფზ N0331 საბჭოს წევრი, ექიმი გელოვანი, ცენტრალური ამბულატორიის უფროსი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ნიორაძე, „ოკრ“-ს (კონტრდაზვერვის განყოფილება), „სმიერშ“-ის უფროსი, კაპიტანი დოლგი, სფზ N0331 საბჭოს (ოჩგ-ს) ოპერატიული უფროსი რწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი სკვირა, უფროსი ინსპექტორი, კარმანოვი - შეაფასეს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც გასათავისუფლებელი. სამწუხაროდ, დროზდოვსკი, როგორც 1946 წ. 18 ივლისის პატაკიდან ჩანს, ვილნიუსში ჩასვლიდან 2 თვეში გარდაიცვალა⁶³.

შემდეგი საბუთები თარიღდება 1946 წ. თებერვლით და, სავარაუდოდ, იმიტომ რომ ამ პერიოდში ჩატარდა პატიმრების შემდეგი სამედიცინო აღწერა/გამოკვლევა. რამდენიმე აქტი 12 თებერვლის თარიღითაა და ეხება მათ შორის ი.კელჩევსკა-მიხეიდას (დაბ. 1923 წ.), ანტონი ბარტოშკის (დაბ. 1917 წ.) და ალექსანდრე კარკანს (დაბ. 1909 წ.). ყველა ამ აქტში გათავისუფლების მიზეზია „ზოგადი ჯანმრთელობის ღრმა მოშლა“, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევებში არ არის მითითებული კატეგორია⁶⁴. მსგავს შინაარს მოიცავს დოკუმენტი ქვებანაკიდან N3, რომელიც ეხება ჩესლავ ვრუბლევსკის (დაბ. 1919 წ.). ის გაცემულია 1946 წ. 6 თებერვალს კომისიის მიერ: თავჯდომარე - ქვებანაკის N3 უფროსი, კაპიტანი

61 ლიეტუვის სახელმწიფო არქივი (შემდგომ: ლსა), პირადი საქაღალდე (შემდგომ: პს) 14667 ფურც. 12.

62 S. Lisiecki, W więzieniu i sowieckim obozie..., გვ. 263.

63 ლსა, პს. 23845, ფურც. 7; პს. 13011, ფურც. 5, 7

64 ლსა, პს. 14678, ფურც. 10; პს. 14488, ფურც. 2; პს. 11463, ფურც. 7. კიელჩევსკა-მიხეიდის გადმოცემით ვგეზულობთ, რომ დაბრუნებისას, ცხრაკაციანი ჯგუფიდან, ორი მათგანი გარდაიცვალა, J. Kielczewska-Michejda, Było nas..., (w:) J. Surwiłło, Rachunki... გვ. 32;

ქაჯაია, ნევრები - სვბ N0331-ს (ოჩგ-ს) ოპერატიული რწმუნებული, უმცროსი ლეიტენანტი თვალჭრელიძე; უფროსი (საალრიცხვო) ინსპექტორი შაპოშნიკოვი და ბანაკის საავადმყოფოს უფროსი იაკობაშვილი⁶⁵. ასევე ამ დროისთვის გაათავისუფლეს 25 წლის ორსული პოლონელი⁶⁶.

პატიმრების შემდეგი სამედიცინო აღწერა/გამოკვლევა ჩატარდა აპრილში. მაშინ უკვე ძალაში იყო შესული სვბ N0331 საბჭოს ახალი ბრძანება (1946 წლის 25 მარტის N3). დოკუმენტაციიდან ვგებულობთ, რომ ამ საფუძველზე ათავისუფლებდნენ ქალებს 1 აპრილს, პირველ რიგში, ქალური დაავადებების გამო. მათი ჯამრთელობის მდგომარეობა აღწერილია, როგორც მაგ.: „საშეილოსნოს ძლიერი შეშუპება“, „შეშუპება სისხლდენით“ ან „ქრონიკული ქალური დაავადება“. ამ კონკრეტულ შემთხვევებში ეს ეხება ქალებს 29-34 წ. მხოლოდ ემილია იაცევიჩის (დაბ. 1914 წ.) შემთხვევაში დაავადება განსაზღვრულია, როგორც „მხედველობის დაქვეითება 05-ის დაბლა“⁶⁷.

სამედიცინო კომისიის დოკუმენტაციის მცირე ნაწილი ეხება 1946 წლის მაისი - ივნისის პერიოდს და რთულია, დავადგინოთ, თუ რა კატეგორიის ხალხს ათავისუფლებდნენ მაშინ. ცნობილია, რომ კომისიის 10 ივნისის დადგენილებას ექვემდებარებოდა 26 წლის პოლონელი ქალი, რომელიც ექვსი თვის ორსული იყო⁶⁸. ხოლო 22 მაისამდე ბანაკში იმყოფებოდა პელენა შიტელი (დაბ. 1910 წ.).

შემდგომ ინფორმაციას, ქუთაისის ბანაკში, ქალების ჯამრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით იძლევა 1946 წ. სექტემბერი - 1947 წ. თებერვალის მცირეოდენი საბუთები. ერთ-ერთი პირველი (5 სექტემბრიდან) ეხება პელენა ვენდორფს (დაბ. 1913 წ.). მაშინ კომისიამ: კაპიტანი სიმონიანი - თავჯდომარე - და ნევრები: უმცროსი ლეიტენანტი თვალჭრელიძე, დაგვემარების განყოფილების უფროსი ლეიტენანტი ფერაძე, უფროსი (საალრიცხვო) ინსპექტორი საპრიკინა და N1 ბანაკის საავადმყოფოს უფროსი - ჟორჟოლიანი, აღწერა მისი ჯამრთელობის მდგომარეობა, როგორც „ზოგადი ჯამრთელობის ღრმა მოშლა“. მსგავსად ამისა 1946 წ. 11 ნოემბერს შეფასდა იზაბელა პიერულის (დაბ. 1914 წ.) ჯანმრთელობის მდგომარეობა და 1947 წ. 10 თებერვალს მარია იუშეკევიჩის. ამ ბოლო შემთხვევაში გაათავისუფლების დადგენილება გასცა სხვა კომისიამ (კაპიტანი ქაჯაია, უფროსი ოპერატიული რწმუნებული - „ოჩგ“ - უფროსი ლეიტენანტი სკვირა, უფროსი ინსპექტორი შაპოშნიკოვი და ბანაკის საავადმყოფოს უფროსი იაკობაშვილი)⁶⁹.

65 ლსა, პს. 9363, ფურც. 7.

66 პირადი საქალაქო ლსა-ში (არ ვამჟღავნებ ხელმოწერას).

67 იქვე, პს. 10019, ფურც. 15; პს. 10015, ფურც. 13; პს. 17817, ფურც. 10; პს. 17743, ფურც. 7.

68 პერსონალური საქალაქო ლსა-ში (არ ვამჟღავნებ სიგნატურას). საყურადღებოა, რომ მასში ვიპოვე საბუთი, გაგზავნილი ვილნიუსში მაიორ მენტეშაშვილის მიერ 1946 წ. 17 აპრილს, რომელიც ადასტურებს გათავისუფლებას მაგრამ მიზნში იყო - ავადმყოფობა (!). საბუთის ნომერია 457 და დაკავშირებულია ვილნიუსში პერსონალური საქალაქის გადაგზავნასთან. მიმართა, რომ ამის საფუძველზე არ შეიძლება, შევფასოთ ბანაკიდან გათავისუფლებული პატიმრების რაოდენობა.

69 ლსა, 11127361, ფურც. 10; პს. 30317, ფურც. 10; პს. 32105, ფურც. 10. ასევე 1947 წ. თებერვალში გაათავისუფლეს კიდევ ერთი 28 წლის ორსული ქალი.

ფაქტიურად სამედიცინო კომისიის იმავე შეფასებებით (ანალოგიურ პერიოდში) ხასიათდებიან მამაკაცებიც. მათი გათავისუფლების მთავარი მიზეზი, როგორც ზემოთ ვახსენე, იყო „ზოგადი ჯამრთელობის ღრმა მოშლა“. ამას ამტკიცებს გადანყვეტილებები, რომლებიც ეხება, მათ შორის 1956 წ. 12 აპრილის გადანყვეტილება, სტანისლავ მიკოლაევიჩის (დაბ. 1920 წ.), 12 ივლისის - იგნაცი შვეტლოვიჩის (დაბ. 1915 წ.), 29 აგვისტოს - სტანისლავ შინკოვსკის (დაბ. 1918 წ.)⁷⁰. ანალოგიური გათავისუფლების შინაარსი გვხვდება საბუთებში 5, 9, 17, და 28 სექტემბრიდან ედვარდ ლაბინიჩის (დაბ. 1918 წ.), ვაცლავ სუხოდოლსკის (დაბ. 1919 წ.), იან ჰერბაჩევსკის (დაბ. 1920 წ.), მიხალ დოვჩერის (დაბ. 1912 წ.), ბრონისლავ გურსკის (დაბ. 1911 წ.), ასევე 1947 წ. 7 და 14 თებერვლის გადანყვეტილებები სტანისლავ ხმილევესკის (დაბ. 1911 წ.) და იან ჰონკესის (დაბ. 1929 წ.)⁷¹.

ზემოთ აღნიშნული მაგალითების ანალიზიდან შეგვიძლია რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ. პირველ რიგში, სამედიცინო კომისიები პატიმრების სამედიცინო აღწერა/გამოკვლევებს ატარებდნენ საშუალოდ 2 თვიანი ინტერვალით. სავარაუდოდ, ეს ეხებოდა მარტო იმ ადამიანებს, რომლებიც საავადმყოფოში იმყოფებოდნენ. გადმოცემით ვიცით, რომ ბანაკს ტოვებდნენ ფიზიკურად დასუსტებული ადამიანები, გამოკვეთილი ე.წ. კურდღლის უკანალით. ექიმი ყველა პატიმარს უმონმებდა კანის ელასტიურობას. თუ კანი განელვის შემდეგ არ ბრუნდებოდა თავის ადგილას და „ინეპებოდა“, მაშინ ასეთი პატიმარი კვალიფიცირდებოდა „დისტროფიების“ ჯგუფში. ექიმების ანგარიშებში ეს შეფასებულია, როგორც ე.წ. ჯამრთელობის III კატეგორია (ბევრი მონმე აფასებს, ამ მდგომარებას, როგორც IV). გათავისუფლებულების გარკვეულმა ნაწილმა ვერასოდეს მიაღწია სახლამდე, ვინაიდან გზაში გარდაიცვალა, ან ძალიან მალე, სახლში ჩასვლის შემდეგ⁷². როგორც ჩანს, ზემოთ ნახსენები საბუთებიდან, პოლონელი ქალებიც ავადმყოფობდნენ. დისტროფია და ტიპური ქალური დაავადებები იშვიათი არ იყო. ბანაკში განვითარებულ სიტუაციაში ისინი ფაქტიურად მოურჩენელი დაავადებები იყო.

კვლევის ამ ეტაპზე, იმის გამო, რომ არ გვაქვს წვდომა შესაბამის საბჭოთა წყაროებზე, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენი პატიმარი გარდაიცვალა ქუთაისში. ამ ჯგუფის მხოლოდ მცირე ნაწილის გვარებია ცნობილი.

70 იქვე, პს. 11855, ფურც. 6; პს. 13770, ფურც. 4. ს. შინკოვსკის საბუთის ასლი, გადმოცემული რ. გიჩევსკის მიერ ავტორის ფონდში.

71 ლსა, პს. 33361, ფურც. 13; პს. 31456, ფურც. 4; პს. 29120, ფურც. 5; პს. 40110, ფურც. 5; პს. 43410, ფურც. 9; პს. 11461, ფურც. 5; პს. 17707, 5. 9. სხვა განსხვავება - „ზოგადი ჯამრთელობის მოულოდნელი დაქვეითება“- 1946 წ. 12 სექტემბრის საბუთში აღმოჩნდა მხოლოდ იან ჟიტკიევიჩთან (დაბ. 1899 წ.).

72 მაგ. 9-კაციანი ჯგუფიდან, რომლებიც ერთად მიემგზავრებოდნენ 1946 წ. მარტში, ვილნიუსში, ორი მამაკაცი გარდაიცვალა. J. Kiełczewska-Michejda, Był to nas..., (w:) J. Surwiłło, Rachunki..., გვ. 32. შეიძლება ეს მძევი იუნჯილუეების ამბავია: იპოლიტესი (დაბ. 1897 წ.) და სტანისლავის (დაბ. 1902 წ.), რომლთა ტრაგიკულ დაბრუნებას იხსენებს ასევე Antonina Szejnicka, იქვე, გვ. 131.

წყაროებში, რომლებიც შევისწავლე ლსა-ში, ნავაწყდი რამდენიმე პირად საქალაქდეს, რომელიც გარდაცვალების შემთხვევებს ეხებოდა. პირველი საბუთი, ჩემ მიერ ნაპოვნი, რომელიც ადასტურებს სიკვდილს ბანაკში, იყო გარდაცვალების მონმობა, რომელიც ეხება სტანისლავ ვიდეიკოს (დაბ. 1924 წ.), რომელიც 1945 წ. 25 დეკემბერს გარდაიცვალა⁷³. ხოლო რაიმუნდ ალექსანდროვიჩი (დაბ. 1919 წ.) გარდაიცვალა 1946 წ. 14 იანვარს, ალბერტ ჟილინსკი (დაბ. 1920 წ.) 21 იანვარს და ვლადისლავ კვაცი (დაბ. 1910 წ.) – 28 იანვარს⁷⁴. სამედიცინო კომისიის მიერ გაცემულ გარდაცვალების მონმობებიდან ვგებულობთ, რომ გარდაცვალების მიზეზი იყო დისტროფია, ალექსანდროვიჩის კი - გულის პარალიჩი, კვაციის - გულის შეტევა⁷⁵. ასევე მსგავსი მონმობიდან ვიცით, რომ საავადმყოფოში მარტო 3 დღე იცოცხლა ანტონი ტულეკევიჩმა (დაბ. 1914 წ.), გარდაცვლილი 1946 წ. 9 მარტს, ასევე გულის პარალიჩით⁷⁶.

ლიეტუელების შემთხვევაში ვიპოვე მარტო 2 დოკუმენტი, რომლიც ადასტურებს გარდაცვალებას: ალექსანდრე მარკუნასის (დაბ. 1923 წ.), გარდაცვლილი 1946 წ. 10 იანვარს და მიხალ მისიუნასის (დაბ. 1923 წ.), გარდაცვლილი 1946 წ. 15 ივნისს. მისიუნასი 5 დღე იმყოფებოდა საავადმყოფოში. მას დაუდგინეს ფილტვების კეროვანი ანთება და გარდაიცვალა „გულის კუნთის გაჩერებით“⁷⁷.

1946 წ. დისტროფიით გარდაიცვალნენ, „სამამულო არმიის“ წევრები: კაბრალი არტურ რიხტერი „ზან“, ვლადისლავ სტანკევიჩი „ჰუკ“ (დაბ. 1920 წ.), ზბიგნევ სელენსი (დაბ. 1927 წ.) და ფრანჩიშეკ კუხარი (დაბ. 1900 წ.)⁷⁸.

როგორც უკვე ვახსენე, ბანაკში გარდაიცვალა ერთი პოლონელი ქალი, მხოლოდ 20 წლის ირენა პოჟნიაკუნა. გარდაცვალების მონმობიდან, ხელმოწერილი ქვებანაკ N1 ექიმ ჟორჟოლიანის მიერ, ვგებულობთ, რომ ის მიიღეს საავადმყოფოში 1946 წ. 22 აგვისტოს. მას დაუდგინეს ღრმად განვითარებული დისტრო-

73 ლსა, პს. 11786, ფურც. 5

74 იქვე, პს. 47704, ფურც. 11; პს. 17955, ფურც. 2-6; პს. 26 251, ფურც. 5.

75 ვ. კვაცა, პროფესიით მეტყვევ, დააობლა 3 ბავშვი 4-9 წლამდე.

76 ლსა, პს. 47 697, ფურც. 5ა. სამწუხაროდ, შედგენილი გარდაცვალების ცნობები რთული გასამართლა და განსხვავებული ღირებულების წყაროს წარმოადგენს. ზოგიერთი პიროვნების, მაგ.: ალბერტ ზილინსკის გარდაცვალების ცნობა საერთოდ არ არსებობს. რამდენიმე პოლონელის შემთხვევაში, მათ შორის, ვიტოლდ ჩუიკის (დაბ. 1912 წ.), გარდაცვალების შესახებ ვიცით მონმობების გადმოცემით. სამწუხაროდ, პერსონალურ საქალაქდესში მასზე მცირე ინფორმაცია და ქუთაისიდან საერთოდ არაფერი არ არის, ლსა, პს. 31413, ფურც. 1-3.

77 იქვე, პს. 25716, ფურც. 5; პს. 47706, ფურც. 15.

78 მონმის ჩვენებიდან გამომდინარეობს, რომ არტურ რიხტერის (დაბ. 1918 წ.) სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც ბანაკში იმალებოდა ყალბი გვარით (სტანისლავ არტიშევსკი), მობილიზებული იყო ბევრი პოლონელი. ცდილობდნენ დახმარებოდნენ გამოჯამრთელებაში. პატიმრებს შორის ჭორები დადიოდა მის კავშირებზე იატაკქვეშეთთან (მის პიროვნებას წარმოვადგენ ქვევით), R. Kizewska, Łagrowe..., გვ. 9.

რიხტერი ირიცხებოდა სამამულო არმიის ვილნიუსის D უბნის დანაყოფებში. კადეტ იეჟი იენშემთან ერთად, მეტსახელი „კრეუდემონ“, 1944 წლის 13 ივლისს ორჯერ აღმართეს პოლონური დროშა ვილნიუსში სასახლის მთის კოშკზე. E. Banasikowski, Na zaw..., გვ. 25-4. სელენსის ნაშრომში Uwizeieni w Donbasie ...შეცდომას მის გვარსა და დაბადების თარიღთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ, მამამისი სტანისლავი, განათლებით იურისტი, მოკლეს კატინში.

ფია, რამაც 1946 წ. 4 სექტემბერს გამოიწვია სიკვდილი⁷⁹. რამდენიმე მისი მეგობარი, მათ შორის ვერა უენკევიჩი, ცდილობდა მის გადარჩენას. ყიდულობდნენ ბრინჯს, ნყალნყალა ფაფის დასამზადებლად, მაგრამ ამან მისი ჯამრთელობის მდგომარეობა ვერ გამოასწორა. მის ბოლო წუთებს ასე იხსენებს მეგობარი:

„მასთან ერთად ვიყავი საავადმყოფოში. უფროსმა დამრთო მისი მონახულების ნება. უკვე ძალიან ცუდად იყო. ჩემს ხელში გარდაიცვალა. მისი ხელი მეჭირა, როცა მან ამოიხენება სამჯერ. ვიცოდი, რომ უკვე კვდებოდა. დავუწყე ნჯლრევა და ყვირილი: ირენკა, ირენკა, არ დამტოვო, არ დამტოვო. მის სხეულს ვანჯლრევედი, მაგრამ ვილაცა მოვიდა და მომაშორა იქაურობას“⁸⁰.

მონმეთა ყველა ნაამზობიდან ჩანს, რომ სიკვდილიანობა ქუთაისის ბანაკში იყო უფრო მაღალი, ვიდრე სარატოვში. ამას ინვევდა უფრო ცუდი პირობები, კვების, საყოფაცხოვრებო (განსაკუთრებით სანყის პერიოდში), სანიტარული და მძიმე სამუშაო. ზოგადად გარდაცვლილთა რაოდენობას აფასებენ, როგორც „20-მდე ადამიანი დღეში“ (პირველ თვეებში), რაც, ჩემი აზრით, ნაკლებად შესაძლებელია. შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ამდენი ადამიანი კვდებოდა. მაგრამ ეს ეხებოდა ყველა პატიმარს და არა მარტო პოლონელებს. ბანაკის ექიმი საკუთარ მოგონებებში იხსენებს, რომ სიკვდილიანობა შეგვიძლია, შევაფასოთ, როგორც 25% მთლიანი პოლონელების რაოდენობიდან სფზ N0321-ში და N0331-ში⁸¹. რთულია მისი ინფორმაციის შეფასება. სანიტარულ-სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ვიპოვე საბჭოთა არქივში, ეხება მოკლე პერიოდს (1945 წ. სექტემბერი-დეკემბერი) და გარკვეულად ნაკლოვანია (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი 3. დაავადებული პატიმრების რაოდენობა სფზ 0331-ში

	I დეკადა სექტემბერი 1945 წ.	I დეკადა ოქტომბერი 1945 წ.	II დეკადა ოქტომბერი 1945 წ.	III დეკადა დეკემბერი 1945 წ.
პატიმრების საერთო რაოდენობა	2989	3116	3109	4732
ავადმყოფების რაოდ-ბა	166	91	128	240
მატება დეკადაში	124	139	103	181
დეკადაში გამოწერილი	149	82	100	7
გარდაიცვალა დეკადაში	3	4	5	5
გარდაცვალების მიზეზები:				

79 ლსა, იქვე, პს. 28205, 3. 18.

80 T. Nowiak (ქალოვილოპის გვარი - კულუმა), Pobył w sowieckich łagrach, გვ. 7 (მოსხენება ავტორის ფონდში).

81 I. Perepeczko, Na saratowskim g. 170.

	I დეკადა სექტემბერი 1945 წ.	I დეკადა ოქტომბერი 1945 წ.	II დეკადა ოქტომბერი 1945 წ.	III დეკადა დეკემბერი 1945 წ.
დისტროფია	2	1		
მუცლის ტიფი			1	
პარტახტიანი ტიფი				
დეზინტერია				
სხვა	1	3	4	2
ავადმყოფების რაოდენობა დეკადის ბოლოს	144	166	126	223
დისტროფიკები	16	16	18	93
პარტახტიანი ტიფით დაავადებულები				
მუცლის ტიფით დაავადებულები		3		2
დეზინტერიით დაავადებულები	3			
დანარჩენი ავადმყოფები	122	147	108	128

წყარო: რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივი

მონაცემებიდან ვგებულობთ, რომ ამ კონკრეტულ პერიოდში (არ არის ნოემბრის და დეკემბრის ნახევრის მონაცემები), გარდაიცვალა მხოლოდ 17 პაციმარი. კიდე რომც დავუმატოთ 20-მდე ადამიანი, მივიღებთ 40-50 ადამიანს. ეს მონაცემები სრულიად ეწინააღმდეგება მონშეების მოგონებებს. საარქივო საბუთიდან ვგებულობთ, რომ სიტუაცია ბანაკში სრულიად განსხვავდებოდა პოლონელების მოგონებებისგან. შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ მათი მოგონებები გაზვიადებულია, ვინაიდან სფზ-ს ხელმძღვანელობა უზრუნველყოფდა სწორ მზრუნველობას, რისი დამადასტურებელი ფაქტია სიკვდილიანობის შედარებით მცირე რაოდენობა.

თუმცა მიმაჩნია, რომ საბჭოთა წყაროების უტყუარობა უნდა დავაყენოთ ეჭვქვეშ. თუ პოლონურ წყაროებს, ნაწილობრივ მაინც, მივიღებთ, როგორც ქუთაისში ფაქტიური სიტუაციის შეფასებას, მაშინ შეუძლებელია, რომ ბანაკში ყოფილიყო ასეთი მცირე სიკვდილიანობა. იბადება კითხვა, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი საბჭოთა მონაცემები სიმართლეს?

ერთ-ერთი ნაპოვნი საბჭოთა საბუთი კითხვის ქვეშ აყენებს ზემოთ ნაჩვენებ მონაცემებს. მის საფუძველზე მინდა ეჭვქვეშ დავყენო წარმოდგენილი ბანაკის მონაცემები. ჩემი ეჭვები ეყრდნობა შსს სსრკ ბრძანების პროექტს 1946 წ. აპრილი, რომელიც ეხება ინსპექციის შედეგებს ჩატარებული სსრკ შსს -ს გულაგ-ის მიერ სამ ბანაკში, საკონტროლო-ფილტრაციულ ბანაკებში, მათ შორის N0331⁸².

ბრძანების პროექტი ადასტურებს, რომ ინსპექციების შედეგად დადგინდა მძიმე დარღვევების ფაქტები; საყოფაცხოვრებო პირობების, რეჟიმის და ქუთაისის „სპეცკონტინგენტის“ ფიზიკური ძალის გამოყენებაში. პატიმრები დიდ ჭყლეტაში ცხოვრობდნენ, მათ არ ჰქონდათ ინდივიდუალური დასაძინებელი ადგილი და თეთრული. ქვებანაკებს არ ჰქონდა აბანოები, სამრეცხაოები, საშრობები და დეზინფექციის კამერა. ქვებანაკების უმრავლესობა არ მოუშზადებიათ 1945-1946 წ. ზამთრის პერიოდისთვის. არ ჩატარებულა რემონტი და დათბუნება საცხოვრებელი და სამეურნეო-კომუნალური შენობების. საჭმელი არ მზადდებოდა სათანადოდ და ბარაკებს ათბობდნენ არარეგულარულად. გაკონტროლებული ქვებანაკების უმრავლესობაში სანიტარული პირობები შეფასდა, როგორც არაღამაკმაყოფილებელი.

ინსპექციამ დაადგინა, რომ პატიმრებს შორის სუფევდა საყოველთაო ტილიანობა, შენობები კი სავსე იყო ბალღინჯოებით. სამედიცინო სამუშალებებს, რომლებსაც იყენებდნენ პატიმრების ჯამრთელობის გასაუმჯობესებლად, მოიხმარდნენ არასათანადოდ და არაეფექტურად. ორგანიზებული იყო ძალიან დაბალი ხარისხის სამედიცინო დახმარება.

კონტროლის დროს დადგინდა, რომ ჯარისკაცებს (დაცვა) შორის არ არსებობდა სამხედრო დისციპლინა. იყო საგუშაგოზე ძილის შემთხვევები, მისი თვითნებური დატოვება, ლოთობის და „სპეცკონტინგენტის“-გან ტანსაცმლის ყიდვის ფაქტები. წესების და ბრძანებების არშესრულების გამო 1945 წ. ბანაკში ბევრი იყო გაქცევის ფაქტი და მათი უმრავლესობა ვერ დაიჭირეს. ამის გარდა დადგინდა, რომ ბანაკის ხელმძღვანელობა სამუშაოდ არასწორად იყენებდა სპეცკონტინგენტს და პატიმრების დიდი ნაწილი არ ასრულებდა პროდუქტიულობის ნორმებს.

გამოვლენილი შეცდომების და არასათანადო მუშაობის გამო ბანაკის უფროსებს დაევაღათ: დაუყოვნებლივ გამოესწორებინათ პატიმრების საცხოვრებელი პირობები, უზრუნველყოთ ყველა ადამიანისთვის 2 მ² პირადი დასაძინებელი ადგილი და სათანადო კომუნალური ობიექტების (სასადილოები, აბანოები, საშრობები და დეზინფექციის საქანები) რაოდენობა და ასევე ბანაკის ტერიტორიაზე ტრანსპორტი და სათბობი.

დაავალეს, სათანადოდ დროს გადაედგათ ნაბიჯები ბანაკის მოსამზადებლად გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდისთვის - 1946 წ. 6 თებერვლის სსრკ შსსკ გულა-

⁸² 1946 წლის თებერვალში მოსკოვიდან ჩამოსულ განსაკუთრებულ კომისიას იხსენებენ ასევე მონაწილეები. მისი მიზანი იყო „ბანაკის გათავისუფლება სამუშაოდ გამოუსადეგარი პირებისგან“, J. Kietczewska-Michejda, Było nas..., (w:) I. Surwiłło, Rachunki..., გვ. 32.

გ-ის დირექტივის თანახმად. ბანაკების უფროსებს დაავალეს, შეექმნათ სამედიცინო პუნქტების სათანადო რაოდენობა, მათში სათანადო ნესრიგის უზრუნველყოფა, სამედიცინო მკურნალობის ხარისხის ამაღლება და სამედიცინო საშუალებების გამოყენების გაზრდა.

ბანაკიდან ხშირი გაქცევების გამო ნაბრძანები იყო პატიმრების კონტროლის გამკაცრება, 1946 წ. შინსახკომის სსრკ N149 ბრძანების თანახმად. ბანაკის ხელმძღვანელობის მთავარ ამოცანად დასახული იყო პატიმრების სათანადო იზოლირება. ბანაკიდან და „წარმოებიდან“ გაქცევა უნდა განეხილათ, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა.

ამის გარდა, პროექტში ნაბრძანები იყო სამხედრო დისციპლინის გაზრდა და ბანაკის დაცვის იმ ჯარისკაცების პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც დამნაშავეები იქნებოდნენ პატიმრების გაქცევაში. ასევე ბანაკის უფროსებს დაეკისრათ 1945-1946 წლის გაქცეულების ძებნის გააქტიურება. მოეთხოვებოდათ, ამიერიდან პატიმრის გაქცევის ყოველ შემთხვევაში, 5 დღეში ჩაეტარებინათ დეტალური გამოძიება. გამოძიების მასალები, დასკვნებით დამნაშავეებზე და გატარებულ ღონისძიებებზე, მიზეზების დადგენის შემდეგ, გაეგზავნათ სსრკ შსკ გულაგ-ში. ურჩევდნენ ასევე, რომ კონტრდაზვერვის ჯგუფთან „სმიერშ“ ერთად ბანაკის ხელმძღვანელობამ დააჩქაროს „სპეცკონტინგენტის“ ფილტრაციის დასრულება და ფილტრაციის პროცესში რეაბილიტირებულები, წითელი არმიის ყოფილი ჯარისკაცები, სამხედრო სამსახურისთვის გამოსადეგი, გაემზადებინათ შსკ გულაგის სამხედრო დაცვის სამსახურის შესავსებად.

პროექტი მთავრდებოდა წინადადებით, რომ ამიერიდან, „სპეცკონტინგენტის“ საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფაში დაშვებული შეცდომების გამო, ბანაკის დამნაშავე უფროსები მკაცრად დაისჯებიან⁸³.

როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს სფზ N0331-ში ნაკლოვანებები იყო სერიოზული, რასაც ადასტურებს ბრძანების ტონი. რა თქმა უნდა, ის არ ამჟღავნებს სიკვდილიანობის მაჩვენებელს, მაგრამ გვეკარნახობს რამდენიმე მოსაზრებას.

პირველ რიგში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბანაკის სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობების ძალიან ზოგადად წარდგენის ფონზე, საეჭვოა გარდაცვალების მცირე რაოდენობა ქუთაისში 1945 წ. დასუსტებული და დაავადებული პატიმრებისთვის, რომლებიც დაბალკალორიულ საკვებს ღებულობდნენ და იძულებულები იყვნენ მძიმე სამუშაო შეესრულებინათ. ყველაზე რთულად გადასატანი იყო ზამთრის პერიოდი. როგორც ვიცით, ბანაკი არ იყო სათანადოდ მომზადებული. ჩემი აზრით, მიუხედავად საქართველოში მსუბუქი ზამთრისა, ამ პერიოდში ყველაზე დიდი სიკვდილიანობა იყო.

ამავდროულად მსგავსი მოსაზრებები ეხება დისტროფიით და დეზინტერიით დაავადებულების რაოდენობას, რაზეც პოლონური წყაროებიდან ვგებულობთ.

83 მაგრამ ეს საბუთი არ არის ხელმოწერილი გენერალ კრუგლოვს მიერ, თუმცა მასზე არის მისი ვაგარი. რა თქმა უნდა, არ ვიცით, თუ რა მოჰყვა ბოლომდე ბანაკის ინსპექტირებას, რფსა sygn. 9414 -1-1226, ფურც. 39-40; იქვე, sygn. 9414-1-445, ფურც. 46.

რომ ეს იყო პატიმრების ძირითადი დაავადებები. ასევე ძალიან გამოუცნობი და უცნაურია ჩემთვის წინადადება „სხვა ავადმყოფები“, რაც წერია წარმოდგენილ ცხრილში. ნუთუ ქუთაისში იყო გავრცელებადი დაავადებები, რასაც არ ახსენებენ პოლონური წყაროები? რა თქმა უნდა, პატიმრები იტანჯებოდნენ რიგი დაავადებებით: გრიპი, ფილტვების ანთება, კანის დაავადებები და ა.შ. ჩემი აზრით, ეს არ ხსნის ცხრილში მოყვანილ რიცხვებს. მოიცავს ხალხის დიდ ჯგუფს და ყველა შემთხვევაში ეხება 100-ზე მეტ ადამიანს. მიმაჩნია, რომ ამ მონაცემებში, გარკვეულ წილად, შეყვანილია დეზინტერით და დისტროფიით დაავადებულები. ჩემი აზრით, ბანაკში ხდებოდა ავადმყოფების რეესტრში რაოდენობის დანევა და ავადმყოფობის კვალიფიკაციის შეცვლა. ამას გვისდასტურებს თუნდაც დოქტორ პერეპეჩკოს მოგონებები. სამედიცინო მონაცემების მანიპულაციით ცდილობდნენ სამედიცინო ნაკლოვანებების შენიღბვას. ამავდროულად, გარკვეულ წილად, იცავდა შედეგებისა და პასუხისმგებლობისგან, რომელიც ეკისრებოდა ბანაკის უფროსს და სამედიცინო პერსონალს. ხელმოწერაც კი არ ვიცით, ვინ მოამზადა ეს განზოგადებული სტატისტიკა (მოყვანილი ცხრილში N3), და მით უფრო არ არსებობს საბუთები, რის საფუძველზეც შეადგინეს ასეთი სტატისტიკა. ასევე მონშეები, პირველ რიგში, პოლონელი ექიმები, არ იძლევიან სიკვდილიანობის მიახლოებულ რაოდენობასაც კი.

პოლონეთის მოქალაქეების სიკვდილიანობის კონკრეტული რაოდენობის დადგენა კვლევების ამ ეტაპზე შეუძლებელია. შემძლია, ანალოგიურად, როგორც წინა ბანაკში, შემოგთავაზოთ მხოლოდ სავარაუდო ციფრები. ვეყრდნობი 4 წყაროს, ქვევით მოყვანილი, რაც კონკრეტულად პოლონელებს ეხებოდა.

საბჭოთა დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ სარატოვის ბანაკიდან 1945 წ. ქუთაისში ჩამოიყვანეს 1 693 პატიმარი. მათი უმრავლესობა - 1 666 ადამიანი - იყო ე.წ. საალრიცხოვო მეორე ჯგუფის წევრები (სამოქალაქო პირები, ვისაც არ ედავებოდნენ გერმანელებთან თანამშრომლობას). დიდი შეცდომის რისკის გარეშე შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ეს იყო ვილნიუსის ჯგუფი („გარუჰა ვილენსკა“).

ამ ნამუშევრისთვის მნიშვნელოვანი ე.წ. „ყოველთვიური მოხსენება სვბ N0331-ს „სპეცკონტინგენტის“ შემადგენლობს შესახებ 1946 წლის 1 ივნისის მდგომარეობით“, აჩვენებს, რომ იმ დროისთვის 1 271 პოლონელი იყო დააკავებული.

მესამე საბუთი (1947 წ. 28 თებერვლის) გვანჯდის ინფორმაციას 1 თებერვლისთვის ბანაკში მყოფ 1 073 პოლონელზე, საბჭოთა მოქალაქეებზე⁸⁴. მეოთხე მოხსენება, 1947 წ. მაისის, ეხება 1 067 ადამიანს, რომლებიც გააგზავნეს სხვა ბანაკებში⁸⁵. 1945 წ. ჩამოსულების რაოდენობასა და 1947 წ. ბანაკიდან „გასულე-

84 დამატებით ჩამოვიდნენ ე.წ. პირველი საალრიცხოვო ჯგუფიდან (სავარაუდოდ წითელი არმიის ყოფილი ჯარისკაცები - გერმანელი ტყვეები) 91 ადამიანი: 26 სერჟანტი და 65 რიგითი, რეზა აყვი. 9408-1-18, ფურც. 96-97; ცენტრალური სამხედრო არქივი, აქტების კრებული: მასალები სკოლეცკია, რუსული არქივიდან. პოლონელების ბედის შესახებ, ტყვეების და ინტერნირებულების სსრკ-ს ტერიტორიაზე 1939 - 1956 წლებში (შემდგომ: ცსა), ს. 689, ფურც. 1-2; საბჭოთა არქივებიდან, T. V: Powroty ..., გვ. 33; F. Gryciuk, P. Matusiek, Represje NKWD... ტ. 11, Siedlce 1995, გვ. 214-215.

85 Uwięzieni w Donbasie..., გვ. 28-29.

ბის“ რაოდენობაში განსხვავებაა 599 ადამიანი. რამდენი მათგანი გარდაიცვალა ქუთაისში და რა ნაწილი გაათავისუფლეს 1946-1947 წ. - ძნელი სათქმელია. ჩემი აზრით, გარდაიცვალა მინიმუმ პოლონეთის 150 მოქალაქე.

დამკრძალავ ბრიგადას, რომელიც შედგებოდა რამდენიმე პატიმრისგან (მათ შორის ჩესლავ იელენსკი), თითქმის ყოველ ღამე გაჰქონდა მიცვალებულები ბანაკის ტერიტორიის გარეთ. გადაჰქონდათ ისინი დროებითი ყუთებით - კუბოებით. მიუხედავად დამატებითი პორცია პურის და „სუბის“ მიმზიდველობისა - ამ სამუშაოზე ბევრი მსურველი არ იყო, ხოლო ჯგუფის რიცხოვნება ცვალებადი იყო. საშინელი სცენები, რომელიც თამაშდებოდა „სასაფლაოზე“, ფსიქიურ აშლილობებს იწვევდა ყველაზე გამძლე მესაფლავეებშიც კი, რადგან ნიადაგი იყო მაგარი და თიხა, ხოლო მესაფლავეებს დიდი ღონე არ ჰქონდათ, საფლავეები ღრმა არ იყო. მიცვალებულებს მარხავდნენ შიშველს (იშვიათად დროებით კუბოში).

ხშირად კი, საფლავების ნაცვლად, მესაფლავეები ხედავდნენ გამოთხრილ საფლავეებს და ტურების მიერ წაბილწულ ადამიანების გვამებს. ეს კიდევ უფრო დიდ შოკს იწვევდა ადამიანებში, რომლებიც იცნობდნენ მიცვალებულებს, ვისთანაც ურთიერთობაში იყვნენ ჯერ კიდევ ვილნიუსიდან, ან ბარაკში საერთო ნარზე ეძინათ. ტურებს ადამიანების არ ეშინოდათ და ღამე ბანაკთან ახლოს მოდიოდნენ. როგორც პოლონელები ყვებოდნენ, ღამე „კონცერტებს“ აწყობდნენ, ბავშვის ტირილს ჰგავდა. ზოგიერთ პატიმარს ეს ნერვულ დეპრესიაში აგდებდა. ტურები საჭმელს ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევაც ახლომდებარე „სასაფლაოზე“. დაკრძალვის ერთ „ცერემონიაში“ ვიტოლდ სტრებეიკო იღებდა მონაწილეობას, რომელსაც იგი მეხსიერებაში სამუდამოდ აღებუქდა:

„ადგილზე მისვლისას (კუბო მხრებზე შედებული მიგვექონდა), გადავწყვიტეთ, რომ საფლავი იყო მოკლე, და გვინდოდა მისი გადიდება, მაგრამ ჩვენმა ბადრაგმა, ახალგაზრდა ყმანვილმა, გადანიყვიტა, რომ დრო არ გვექონდა, რადგან ჰაემანი ჰქონდა დათქმული გოგონასთან. გვიბრძანა, ჩაგვედგა კუბო. ირიბად იდგა. დაახტა ფეხსაცმელებით და მელოდის „აყვავებულა ვაშლები, მსხლები“ ტაქტზე, იქამდე ხტოდა მასზე, სანამ იგი არ დაინია სადღაც ნახევარ მეტრზე და შესაძლებელი გახდა, ასე თუ ისე, მინით დაფარვა“⁸⁶.

ძველი წისქვილის სიახლოვეს განთავსებული ბანაკის სასაფლაო, არ იქნა შემოდობილი, ან რაიმე სხვა სახით დაცული. არ იყო იქ ჯვრები, ხოლო საფლავების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. ამ ადგილთან დაკავშირებული კიდევ ერთი მომენტი შემორჩა ადამიანების მახსოვრობას. კეროდ, რაღაც დროის შემდეგ ამ საფლავეებზე ბულდოზერით გადაიარეს და სრულიად მოასწორეს იქაურობა. შემდეგ იქ ბარაკები ააშენეს⁸⁷.

86 W. Strebejko, Kartki გვ. 6.

87 იქვე, გვ. 6; Cz. Jeliński, Łagry w Saratowie, Kutaisi i Stalingradzie, AW, sygn. II/2812, გვ. 13; S. Bortkiewicz, Wspomnienia..., გვ. 6; H. Krzyszczak, Wspomnienia żołnierza..., გვ. 29.

ბანაკის ხელმძღვანელობის ზემოხსენებული ქმედებები ეწინააღმდეგებოდა გარდაცვლილთა დაკრძალვის საფლავებულ ნეკროსს. პროცედურა, მეთოდი და საფლავების დაცვა გარკვევით არის განერილი სსრკს შინსახკომის გულაგების უფროსის გენ.ლიტ. ვიქტორ ნასედკინის 1946 წლის 21 სექტემბრის განკარგულებაში. საიდანაც გამომდინარეობს, რომ გარდაცვლილი უნდა დასაფლავდეს თეთრეულში, ცალკე კუბოში (არაუადრეს 24 და არაუგვიანეს 36 საათისა გარდაცვალების მომენტისგან), ბანაკის ან საერთო სასაფლაოზე გამოყოფილ სპეციალურად შემოღობილ ადგილებში. საფლავის სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ 1,5 მ, სიგანე 1მ, ხოლო სიგრძე 2 მ. ყოველ გარდაცვლილზე უნდა შედგეს აქტი დასაფლავების თარიღით, სასაფლაოს და საფლავის ნომრით. განკარგულების თანახმად სიკვდილის ყველა შემთხვევა უნდა ჩაინეროს სპეციალურ ნიგნში, ქრონოლოგიური რიგით გარდაცვლილის ძირითადი მონაცემებით, სიკვდილის მიზეზისა და დროის ასევე საფლავისა და სასაფლაოს მითითებით⁸⁸. თუმცა არცერთი ზემოაღნიშნული პუნქტი არ სრულდებოდა ბანაკი N 0331-ის უფროსების მიერ.

მონათხრობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, საფიქრებელია, რომ N1 ქვებანაკის ტერიტორიაზე ერთ-ერთ აგურის შენობაში იყო საერთო დარბაზი - დიდი ოთახი ესტრადით, სადაც ტარდებოდა „შეხვედრები“ პოლიტრუქთან. იქვე ასევე გამოდიოდა პატიმრების მიერ შექმნილი მუსიკალური ჯგუფი. მას ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა, ნაწილობრივ პროფესიონალური. ამ 15 კაციანი მსახიობთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო რუსი - ალექსანდრე ბასოვი, მსახიობი ლენინგრადიდან. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ორი ლატვიელი (მათ შორის ედუარდ სილინიში), სომეხი - ბორის სარქისოვი - ბალეტმეისტერი და რუსი - სონია მიხაილოვნა. იმავე ეროვნების იყო მსახიობი - ვოლგა. პოლონურ მხარეს წარმოადგენდნენ: კრისტინა ტრუსკოვსკა, სტეფანია რუდაკი, ფრანჩიშეკ ჩესნოვიჩი, ალბერტ ნარკევიჩი, კაჟიმეჟჟჟენკევიჩი, ქ. კაჟიმერა ვარშავიდან (განათლებით ქორეოგრაფი). მონათხრობის თანახმად საბჭოთა მსახიობები ომის დროს მუშაობდნენ ვენის თეატრში და შემდეგ დაკავებულნი იქნენ შონსახკომის მიერ⁸⁹.

ჯგუფს ერქვა „ანსამბლ პესნი ი პლიასკი“ (სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი). ანსამბლთან არსებობდა გუნდიც. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო. შედგებოდა სკეტჩების, სიმღერების და ლექსებისაგან. ინსტრუმენტები (მათ შორის აკორდეონები, ვიოლინოები, საყვირი, დოლი) - ბანაკის ხელმძღვანელობისგან მიიღეს. დეკორაციები და კოსტუმები წვერებმა საკუთარი ძალებით დამზა-

88 ამ გადანაცვლებების შესრულების შესახებ ცნობილია სამხედრო ტყვეების ტიპური ბანაკების მაგალითიდან.

89 K. Kucharska (ქალიშვილობის გვარი - ტრუსკოვსკა), *Młodość...*, გვ. 5-6;

S. Bortkiewicz. *Wspomnienia...*, გვ. 7; K. Zienkiewicz, *Wspomnienia...*, გვ. 11.

დეს. როგორც წესი „კონცერტები“ რუსულ ენაზე ტარდებოდა, მაგრამ ზოგჯერ პოლონურადაც. სწორედ იგი იწვევდა უდიდეს მლელვარებას მაყურებლებში. ჯგუფი არა მხოლოდ პატიმრების წინაშე გამოდიოდა, არამედ აწყობდნენ ხოლმე გასვლებს ქუთაისის გარეთაც. თავის პროგრამას აჩვენებდა, მათ შორის ცნობილ სანატორიუმში - წყალტუბო, ჯანმრთელობის აღსადგენად ჩამოსულ სამხედროებს⁹⁰. გამოდიოდა ასევე თურქეთის საზღვრის სიახლოვეს დისლოცირებული საჰაერო ჯარების ნაწილების წინაშე. ჯგუფს ყოველი ადგილმონაცვლეობისას თან ახლდა ქალი - შინსახკომის ოფიცერი. ფუნქციონირებდა დაახლოებით ერთი წელი, საბჭოთა მსახიობების მიერ გამამტყუნებელი განაჩენის მიღებამდე.

ბანაკის ცხოვრებისგან მეორე გულის გადასაყოლებელი იყო კინო, რომელიც მოწყობილი იყო საერთო დარბაზში. საკმაოდ ხშირად, ზოგჯერ კვირაში ორჯერ, აჩვენებდნენ ფილმს. ჩვეულებრივ უშვებდნენ (რამდენჯერმე ერთსა და იმავეს) სახალხო - საბჭოთა ხელისუფლების, კოლმეურნეობებში მაღალი მწარმოებლობის და პროდუქტიულობის, „ამხანაგი სტალინის“ და საბჭოთა მეურნეობის წარმატებების მაღივებელ ფილმებს. ჰქონდა ტიპური პროპაგანდული ხასიათი და ბანაკში პოლიტ-საგანმანათლებლო უჯრედის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ჩვენების მიზანი იყო „კონტრევოლუციური ელემენტის“, როგორადაც მიჩნეული იყვნენ პოლონელები, შეგონება. მოგონებების თანახმად, უმეტესად ფილმები იყო „მოსანწყენი და უინტერესო“. მაყურებლებში აღძრავდა დიდ უსიამოვნებას და ბრაზს. იყო ხოლმე საინტერესოც, მაგ.: „გამარჯვების აღლუმი“, „მეფე ივანე მრისხანე“, „ფიცია“. ნაჩვენები იყო ამერიკული ფილმიც კი: „15 წლის კაპიტანი“, „პრიმაბალერინა“ ან „თეთრი ეშვი“⁹¹.

ყველა ეს ღონისძიება მამაკაცებს, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას აძლევდა შეხვედროდნენ და გასაუბრებოდნენ ქალებს, გაეცვალათ ინფორმაცია და უახლესი ჭორები. ამ დროს სავაჭრო გარიგებებიც ხდებოდა.

პატიმართა კორესპონდენცია - პოლონელების ოჯახთან ძალიან გართულებული იყო. ოფიციალურად მათ აკრძალული ჰქონდათ წერილების გაგზავნა. თუმცა ამის არალეგალურად გაკეთების საშუალება არსებობდა, თავისუფლად დასაქმებული მუშების დხმარებით. ამდაგვარი საშუალებით მაგ.: ძმებ გერცევსკებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული ოჯახთან ვილნიუსში უკვე 1945 წლის დეკემბრიდან. ამავე დროს მშობლებისგან, ახალი წლის დამდეგს, ორი ღია ბარათი მიიღეს და სამი ფულადი გზავნილი.

90 მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან საქართველო საბჭოთა კავშირში სამკურნალო და სანატორიუმების ერთ-ერთი ცენტრი გახდა. ზედ კავკასიონის მთისწინეთსა & კოლხეთის დაბლობს შორის შეიქმნა რევმატოლოგიური სანატორიუმების კომპლექსი. დღეს-დღეობით წყალტუბო წარმოადგენს მის ცენტრს. ვრცლად იხილეთ: W. Materski, Gruzja, Warszawa 2000.

91 M. Nowicki, Moja wielka... გვ. 78.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1946 წლის 8 ივნისის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ წერილების - ბარათების ოფიციალურად წერის ნებართვა გასცა, თუმცა მხოლოდ რუსულ ენაზე⁹². ეს მაინც დიდად იყო დამოკიდებული ენკავედისტების განწყობაზე. მაშინ როცა კორესპონდენციის არალეგალური ტრასა, ქართული მოსახლეობის კეთილგანწყობაზე. პოლონელებს შეეძლოთ, ეწერათ წერილები ნათესავებისთვის, მაგრამ არასოდეს იყვნენ დარწმუნებულები, რომ წერილი მიღწევდა ადრესატმდე. ბევრი ხომ ბანაკის ცენზურას ვერ გადიოდა და მის მიერ იქნა დაკავებული. დღემდე, 1946 წლის წერილებზე იკითხება⁹³ „პროსმოტრენო. ვოენნაია ცენზურა 15 456 (ნანახია. სამხედრო ცენზურა).

ძალიან ხშირად საბჭოთა ოფიცრები აგდებდნენ და ანადგურებდნენ წერილებს - ზოგჯერ სპეციალურ ბლანკებს, პატიმრების ნაწერს. ასე ექცეოდნენ ბანაკში მოსულ წერილებს. ბევრი მათგანი ხვდებოდა მაიორ მენთეშაშვილთან - ოჩგ-ს უფროსთან. ტ. კულეშა, რომელიც მის კაბინეტს ალაგებდა, იხსენებს:

„მის ლუმელში ცეცხლის დასანთებად მძღვედა წერილებს, რომლებიც პოლონეთიდან მოდიოდა. გული მეკუმშებოდა, ვხედავდი პოლონურ წერილებს და მარკებს, მაგრამ ის თავზე მადგა და გაიძახოდა: „ბისტრო! ბისტრო!“⁹³.

ქართველი მოსახლეობის დახმარების წყალობით, კორესპონდენციის ნაწილი ადრესატამდე აღწევდა. რადგან თავისუფლად დასაქმებული ქართველები პოლონელებს ართმევდნენ წერილებს და ქუთაისში პირდაპირ საფოსტო ყუთში აგდებდნენ, უფრო მეტიც, ზოგჯერ წერილის თავისი სახლის მისამართზე მიღებასაც კი თანხმდებოდნენ. ასეთი დახმარება აღმოუჩინა პოლონელ ს. ბორტკევიჩს მაგ.: დავით მესხმა, რომელიც „ხე-ტყის საწყობში“ მუშაობდა. თუმცა ეს იყო სარისკო და გაბედულებას მოითხოვდა.

ცხადია, პოლონელები ეძებდნენ ყველანაირ შესაძლებელ გზას სახლში ამბის შესატყობინებლად. ერთ-ერთი იყო წერილების გატანება ბანაკიდან გათავისუფლებული პირებისათვის. იყენებდნენ ასევე ქალაქ ქუთაისში დასაქმებულ პოლონელებს. წერილებს აგზავნიდნენ, აგრეთვე, ჯერ კიდევ ვილნიუსში დარჩენილ ნაცნობებთან, მეზობლებთან. ასეთ საკონტაქტო ყუთს წარმოადგენდა, მაგალითად, გერევესკების ოჯახის ბინა, სადაც მიდიოდა მათი ვაჟიშვილების მეგობრების წერილები, მათ შორის ჩესლავ რუსის, იან რაჯიკოვსკის თუ იან სტანიულის.

ამის წყალობითი შესაძლებლობა ეძლეოდათ ახლობლებისაგან მიეღოთ ცნობები, ამანათები და ფულადი გზავნილები. ფული დიდროლს თამაშობდა, რადგან დამატებითი საკვების შექენის საშუალებას იძლეოდა. ცხადია, ყველაზე ფასეული პური იყო, რომელიც 1946 წლის აგვისტოში კვ 12 მანეთი ღირდა, ხოლო სექტემბრიდან 15-დან 20 მანეთამდე. უფრო ძვირი იყო სიმინდის ფქვილი, რომელიც 20 – 22 მანეთი ღირდა კვ, ხოლო პურის ფქვილი 25 მანეთი. მას იყენებდნენ

92 რ. გერევესკის წერილი მშობლებს 1946 წლის 9 ივნისიდან !. (ასლი ავტორის ფონდში). შეადარე M. Nowicki. *Moja wielka...*, გვ. 80.

93 T. Nowiak (ქალიშვილობის გვარი - კულეშა). *Wspomnienia...*, გვ. 44. ზოგი წერილი საბჭოთა ადმინისტრაციიდან ჩუმად შექონდათ ბანაკში პოლონელ ქალებს რომლებიც თარგმნიდნენ მათ მეგობრებისთვის, ნასაკითხი ღამის განმავლობაში.

არა მხოლოდ მაჭკატების გამოსაცხობად, არამედ „სუპის“ დასამზადებლადაც, ე.წ. გასასქელებლად. ნაკლები ფასი ჰქონდა ბოსტნეულს, მაგალითად, 1კგ ხახვისთვის 12 მანეთი იყო გადასახდელი, ვაშლი 2 – 6 მანეთი ღირდა, პომიდორი 5 – 7 მანეთი. სექტემბრიდან ფასებმა ამ პროდუქტებზე აინია, საშუალოდ 2 მანეთით კილოგრამზე. ასევე შეიძლებოდა სამხრეთული ხილის ყიდვა, მაგ.: ლეღვი 8 – 9 მანეთი 1კგ, ყურძენი 8 – 10 მანეთი, ბროწეული, საზამთრო, ნესვი, მანდარინი, ლეღვი, ატამი, ქლიავი და ხურმა⁹⁴.

სურსათის ამანათები, მიუხედავად ენკავედისტების დარბევებისა, ხშირად პატიმრებს სიცოცხლეს უნარჩუნებდა. ჩვეულებრივი ამბავი იყო მათი შესაფუთი ყუთების კონფისკაცია. ბევრჯერ მათ ხსნიდნენ ადრესატის თანდასწრებით. მიმოწერიდან ჩანს, რომ ზოგიერთს აძლევდნენ იქ აღმოჩენილ ფულსაც კი, მხოლოდ არაუმეტეს 100 – 200 მანეთზე. ამანათების მოპარვის შემთხვევებიც იყო. ეს პრობლემა შეექმნა ლუციან პეტრუშკას, რომელსაც მხოლოდ 1947 წლის 14 იანვარს მისცეს ამანათების მიღების ნებართვა (N 145). მიუხედავად იმისა, რომ დედამისი სისტემატურად უგზავნიდა, მას არცერთი არასოდეს მიუღია⁹⁵.

პოლონეთიდან ფულადი გზავნილის გაგზავნის და მისი შემდგომი ბედის შესახებ ინფორმაციის მიღების ოფიციალური პროცედურა ხანგრძლივი იყო. ამას ადასტურებს კ.ბლონსკის მაგალითი, რომელსაც 1947 წლის მარტში გაუგზავნეს 200 მანეთი. დედამისი შეეცადა გაეგო, მიაღწია თუ არა ამ თანხამ მის შვილამდე. ამ საკითხზე მიმართა (1947 წლის 23 სექტემბერს) პოლონეთის ეროვნულ ბანკს ვარშავაში. საიდანაც 1947 წლის 22 ოქტომბერს მიიღო ოფიციალური წერილი, რომ გაგზავნა განხორციელდა, რის შესახებ შეტყობინება ზემოაღნიშნულმა დაწესებულებამ მიიღო მოსკოვის საელჩოდან წერილობითი ინფორმაციის სახით 1947 წლის 16 აპრილს. ამგვარად, საელჩომ არასრული ერთი თვის განმავლობაში დაადასტურა გზავნილის რეალიზაცია, მაშინ, როდესაც პოლონეთის ეროვნულმა ბანკმა, მიუხედავად უკვე აპრილში მიღებული ინფორმაციისა, მხოლოდ დაინტერესებული პირის ჩარევის შემდეგ გააგზავნა პასუხი. ამასობაში კი ექვსი თვე გავიდა, რომლის განმავლობაშიც ბლონსკის შექმლო მორიგი ფული მიეღო⁹⁶.

⁹⁴ კავკასიური ხურმა - ე.წ. კაკის ლეღვი, ტანინის დიდი შემცველობით. ამ სახეობის ხილი შეიცავს ბევრ „A“ და „C“ ვიტამინებს. ძმები გეჩევესკების მიმოწერა 1946 წლის 17 ივლისიდან, 21 აგვისტოდან, 17 სექტემბრიდან და 7 ნოემბრიდან. (ასლები ავტორის ფონდში); M. Nowicki, Maja ..., გვ. 85-86; S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 105. პოლონელების გამგზავრების წინ საკვები პროდუქტების ფასმა აინია, მაგ.: 1 კგ ფქვილი ღირდა 40 მანეთი და 300 გ პური 8 მანეთი, 1947 წლის 9 მაისი, ძმები გეჩევესკების წერილი (ქსეროასლი ავტორის ფონდში).

⁹⁵ საბუთის ასლი ავტორის ხელშია. ამანათების დაკარგვაზე ინფორმაციას გვანვდიან ასევე ძმები გეჩევესკები, 1946 წლის 2 და 8 აგვისტოს წერილები (ასლები ავტორის ფონდში).

⁹⁶ 1946 წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ვარშავაში ფლობდა ზუსტ ინფორმაციას, საბჭოთა მხრიდან შექმნილ დაბრკოლებების შესახებ, დამხმარე ამანათების გადაცემაში სფზ-ში მყოფ პოლონელებისთვის. 1946 წლის 20 მარტს ხელმოწერილ პოლონურ - საბჭოთა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის საფოსტო და სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის შესახებ, მოიცავდა ის ამანათებს (პრიორიტეტული წერილების ფორმით გაგზავნილი) 2 კილოგრამამდე წონით. პოლონეთის საელჩომ, მოსკოვში, 1946 წლის 23 ოქტომბერს გაუგზავნა საბჭოთა მხარეს სპეციალური ნოტა, შექმნილი სირთულეების ახსნის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი (შემდგომ: სსსა), სვგნ. 27-169, ფურც. 3.

ჩვეულებრივ 1946 წლის შუიდან საბჭოთა ხელისუფლება არ უქმნიდა სერიოზულ პრობლემას ლიტვისა და ბელორუსიიდან ამანათების გაგზავნას. მას სერიოზული შეზღუდვების გარეშე გასცემდნენ. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მათი დიდი ბრუნვა. ამასვე ადასტურებს მ.ნოვიცკის ნაამბობი. ის იხსენებს, რომ 1946 წლის აგვისტოში ოფიციალურად იქნა ნება დართული ამანათების მიღება⁹⁷. თუმცა ვფიქრობ, რომ სავალდებულო შეტყობინების საკითხი ბოლომდე წესიერად არ იყო გარკვეული, რადგან პატიმრების სიტუაცია მიუთითებს, რომ „ცნობები“ იმ საფოსტო განყოფილებებს სჭირდებოდათ, საიდანაც გაიგზავნა ამანათები პროდუქტით. ამის შესახებ გარკვევით წერს ბანაკში მყოფი ვაჟიშვილებისადმი მიწერილ ბარათში ფელიქს გეჩევესკი:

„თუ დეიდა ამანათს ვერ გააგზავნის, ცნობის დაკავება სატირალი იქნება, რადგან ცნობა რომ გვექონოდა, ეს დღევანდელი ამანათი ბევრად ადრე იქნებოდა გამოგზავნილი, სულ ცოტა 10 დღით მაინც. ასე რომ, გვეალებათ, შეეცადოთ ცნობების მოპოვება და გამოგვიგზავნოთ ის ჩვენ. როგორც ვწერდი, თქვენთვის ყოველი ამანათისთვის ცნობაა საჭირო. ფოსტის უფროსი იცინის, რომ თქვენ ვილაც უფროსმა ასეთი მცდარი ინფორმაცია მოგცათ“⁹⁸.

მამის თხოვნის შესაბამისად, ერთ-ერთმა ძმამ მოიპოვა ასეთი ნებართვა, ასევე იქცეოდნენ სხვა პოლონელები (იხ. გვ.129).

გზავნილები არსებობის ნამდვილად სერიოზული წყარო იყო ბევრი პატიმრისათვის. მათში იყო არა მხოლოდ კვების პროდუქტები, არამედ სამრეწველოც. პუზევიჩს გადაუგზავნეს მამა: ლორი, ორცხობილა, ხახვი და ასევე ძაფის დიდი გორგალი, მასში დამალული 800 მანეთით. ამანათში, რომელიც ვილნიუსიდან ნაცნობებმა გაუგზავნეს ლუდვიკ იანკოვსკის, იყო 4 კგ ფქვილი, ლორის ნაჭერი და ასევე თამბაქოს ფოთლები. მ.ნოვიცკის შემთხვევაში პირველი ბარათი და გზავნილი მან ქუთაისში მიიღო 1946 წლის 7 თებერვალს. მარტში არაოფიციალური გზით მას გადევნა დეპუტა ინფორმაციით, რომ ბანაკის მისამართზე მისთვის გაიგზავნა ამანათი. მიიღო მხოლოდ ერთი თვის შემდეგ - აპრილში (!). მაშინ მას გაუგზავნეს ცხიმი, ვიტამინები, ნამცხვრები, კანფეტები, პურანგი, ფანქარი, ქალაღი და ასევე რელიგიური სურათები. საწერი საშუალებები კონფისკაციაში მოხვდა. მეუღლეს სწერდა შესაფუთ ქალაღზე და საპასუხო არაოფიციალურ მისამართზე. ამაში მას კაჟიმეჟ ს. შუამავლობდა, რომელსაც, მის სამუშაო ადგილზე, ადგილობრივი ხალხთან ჰქონდა კონტაქტი.

არაოფიციალური გზით ასევე შეიძლებოდა პოლონური წიგნების მიღება, რაც ნამდვილ ემოციებს იწვევდა პატიმრებში. ამგვარ, ძალიან კარგ, სიტუაციაში კვლავ აღმოჩნდა ნოვიცკი. წიგნებს მას, უპირველეს ყოვლისა, უგზავნიდნენ ვილნიუსელი ნაცნობები, ცხადია, არაოფიციალურად და რამდენიმე ამანათით (37 სხვადასხვა ნაწარმოები). მათ შორის უმთავრესად იან კოხანოვსკის, ანტონი მალცევსკის, ადამ მიცკევიჩის, იულიუს სლოვაცკის, ვლადისლავ სიროკომლას

97 M. Nowicki, *Moja wielka...*, გვ. 80.

98 1947 წლის 24 მარტის წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

ნანარმოებებს. იყო, აგრეთვე, პერბერტ გ. უელსის „მსოფლიო ისტორია“ ორ ტომად, უილიამ შექსპირის „მაკბეტი“, რამდენიმე რელიგიური ნიგნი (მათ შორის ლოცვანი) და ასევე მათემატიკური თემატიკის. მისი მონათხრობის მიხედვით ბანაკში პრესამაც იწყო მოსვლა, ასევე უშუალოდ პოლონეთიდან. მის ამხანაგებს უგზავნიდნენ, ცხადია შემთხვევიდან შემთხვევამდე და ამონაჭრების სახით „ვარშავის საღამო“, „სახალხო დღიური“, „ხალხის ხმა“, „რესპუბლიკა“, „ოდრა“, „ინგლისის ხმა“ (?), „მაზურის ამბები“, „პოლონელი პელიგრამი“, „გლეხის გზა“, „კვირის ამბები“, „კრაკოვის დღიური“, „ბუზი“ და „სარაჭები“⁹⁹.

მოგროვებული ნაამბოვების საფუძველზე ვაფასებ, რომ ეს, ალბათ, იყო პოლონური ნიგნების ერთადერთი და ასე „დიდი“ კრებული „სარატოვის გზის“ ყველა ბანაკში.

ცხადია, როგორც ეს წინა თავში აღვნიშნე, კარგ სიტუაციაში იყვნენ ისინი, ვისაც ჯერ კიდევ ჰყავდათ ოჯახები ვილინიუსის მხარეში. სხვებისთვის, ვისი ახლობლებიც გადასახლებულ იქნენ პოლონეთში, კორესპონდენცია და პროდუქტებით დახმარება გართულებული იყო, ხოლო ბევრისთვის საერთოდ შეუძლებელი. ეს სიტუაცია სრული სიცხადით ჩანს ცხრამეტი წლის ედუარდ დროზდის მაგალითზე.. ამ ჭაბუკმა პირველი წერილი დედისგან ლოძიდან მხოლოდ 1946 წლის ივლისში მიიღო. მასში ვკითხულობთ:

„ჩემო უძვირფასესო პირმშოვ, ერთადერთო შვილო,საყვარელო. მხოლოდ ახლა ე.ი. 26 ივლისს მივიღე შენი წერილი.. (...) ახლა, როცა შენი მისამართი მაქვს, მამიკოს გაუადვილდება შენი ამბების გაგება. მე წამოვედი 1945 წლის 6 აგვისტოს. ჯანმრთელად ვართ, მხოლოდ შენ გვაკლიხარ.

უფლის მფარველობაში გადაგცემ, დაე, უწმინდესი დედალვთისა გფარავდეს და ყველაფერი კარგად იქნება“¹⁰⁰.

დროზდი განუწყვეტილვ ეძებდა კონტაქტს ოჯახთან. მან მოახერხა დაენერა ლია ბარათი 1946 წლის 8 ნოემბერს, მაგრამ საბჭოთა ცენზურამ დაიჭირა. ვფიქრობ, დედამისმა ვერასოდეს წაიკითხა მისი შინაარსი:

„ჯანმრთელად ვარ და ცოცხალი ვარ. ვმუშაობ ქუთაისში, ბანაკში. ჯანმრთელად ვარ, მაგრამ მშვიერი, რაც უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობდი, რომ ველარსად ვიპოვიდი საშველს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემმა საყვარლებმა იპოვეთ შვილი, რომელიც საერთოდ აღარც ფიქრობდა, რომ იპოვიდა რაიმე კონტაქტს სახლთან. ჩემო საყვარლებო, ამ წერილის მიღების შემდეგ ტელეგრაფით შემატყობინეთ, აღწევს თუ არა ჩემი წერილები და მომწერეთ, როგორ ცხოვრობთ. ჩემო საყვარლებო, თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ ფულით, გამომიგზავნეთ რაღაც 300 მანეთი, რადგან პოლონეთიდან ამანათის გამოგზავნა არ შეიძლება. ჩემო საყვარლებო, ნუ გაგიკვირდებათ, მაგრამ მშვიერს თავში პური უტრიალებს“¹⁰¹.

99 M. Nowicki, *Moja wielka...*, გვ. 90-91

100 ლსა. პს. 9226, ფურც. 23. ე. დროზდი დაიჭირეს 1944 წლის ნოემბერში, როცა ის 17 წლის იყო. ეს ტექსტი გადათარგმნილია რუსულ ენაზე და დართულია პერსონალურ საქალაქდემში.

101 იქვე, გვ. 10. ვფიქრობ, რომ ამ წერილმაც ვერ ჩააღწია პოლონეთამდე. გადაითარგმნა და დაერთო პერსონალურ საქალაქდეს. ე. დროზდმა ბანაკებში გაატარა ოთხი წელი. 1947 წ. გა-

თავისი ჯანმრთელობის და პოლონეთში ოჯახთან კონტაქტის პრობლემების შესახებ, ვილნიუსის საკონტაქტო მისამართზე წერდა მორიგი პატიმარი ჩესლაგ რუსისი:

„პატივცემულო ბატონო!

დიდად მადლობელი ვარ ბარათისათვის. ჩემი ჯანმრთელობა ძალიან სუსტია. საღამოობით აბსოლუტურად ვერაფერს ვხედავ. ძალები მეცლება. დისტროფია და ავიტამინოზი. ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს.

ცხოვრების პირობებზე ლაპარაკი არ არის საჭირო, რადგან თქვენ ისედაც კარგად იცით. მშობლებისგან ღია ბარათი გასულ წელს მივიღე [1946 წელს - დ.რ.]. შემთხვევით მივიღე, რადგან მისამართი არასწორი იყო. გთხოვთ, მათ მისწეროთ ჩემ შესახებ. მომწერონ და თუ შეუძლიათ, როგორმე დამეხმარონ. დახმარება ძალიან მჭირდება“¹⁰².

სერიოზული პრობლემა ყველასთვის იყო ფულადი გზავნილის საკითხი, რომელიც თვეში ერთხელ იყო ნებადართული. არარეგულარულად უხდიდნენ და მხოლოდ 150 მანეთამდე.

ყოველი პატიმარი ცდილობდა უახლოესი ნათესავებისთვის შეეტყობინებინა თავისი სიტუაციის შესახებ. გაუარესებული ფიზიკური მდგომარეობის შესახებ წერდა სახლში საექიმო კომისიის მიერ უკვე გათავისუფლებული კაჟიმეჟ შინიციკი:

„საყვარელო ტოშო!

უნდა წამოვსულიყავი ბატონ ბუეჟინსკისთან ერთად, მაგრამ, როგორც ყოველთვის, რალაც მამორებს შენგან და შეერთებას გვიშლის. ამ ბოლო დროს დიარეა დამემართა. არ ვიცი, გამოვძვრები თუ არა აქედან. ავადმყოფობა ძლიან მქანცავს და ძალები ცოტა მაქვს. ბედის ანაბარა ვარ დარჩენილი. უკანასკნელი თხოვნა: ილოცეთ“¹⁰³.

წერილობითი კონტაქტი ძალზედ მნიშვნელოვანი იყო პოლონელებისთვის და ბევრს აძლევდა სასიცოცხლო ძალებს. აი, ფრაგმენტი მეჩისლავ კლეჟკოვსკის წერილიდან ოჯახისადმი, დათარიღებული 1948 წლის 21 აგვისტოთი:

„მომწერე შენი ჯანმრთელობის შესახებ, ბავშვები როგორ არიან. საწყალი ტაჯიო, ამდენი უნდა იზრომოს, ვინმე ხომ არ უშავებს რამეს? კრიშია როგორაა და პატარა ლუნია. ალბათ უკვე დადის. ძალიან მენატრებით, თითქოს ათი წელი არ მენახოთ“¹⁰⁴.

ანნესეს შემდეგ ბანაკში - სტალინინგრადში, საიდანაც დაბრუნდა პოლონეთში 1949 წლის იანვარში, უკვე როგორც 22 წლის მამაკაცი. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

102 1947 წლის 23 მარტს გაგზავნილი წერილი ფელიქს გეჩევსკისთან, ძმები გეჩევსკების მამასთან. აღსანიშნავია, რაც უკვე ვახსენე ტექსტში, რომ სწორედ მათ სახლში მოწყობილი იყო საკონტაქტო პუნქტი. „სარატოვის ხაზის“ ბანაკებიდან გათავისუფლებული პირებისთვის და მათი ოჯახებისთვის. იქ აწვდიდნენ ინფორმაციებს სხვა პატიმრებზე და აქედან იგზავნებოდა წერილები პოლონეთში მყოფი ოჯახების მისამართზე.

103 ოცდაცხრამეტი წლის კ. შინიციკი ვერ ეღიროსა ქუთაისიდან გათავისუფლებას და ველარასოდეს ნახა ცოლი. 1946 წლის 10 მარტს გარდაიცვალა ქუთაისში, ბანაკიდან გამგზავრებამდე ცოტათი ადრე. Surwitlo, Rachunki.... გვ. 130.

104 მ. კლეჟკოვსკი გარდაიცვალა 1947 წლის 19 ივნისს, ოფიციალური ვერსიით ასტრახანში, ქლექით, იქვე. გვ. 151.

ადამიანებს ნოსტალგია ეუფლებოდა და ფიქრებში ოჯახს იხსენებდნენ . მიუხედავად მრავალი მძიმე დღისა, არ ივიწყებდნენ საოჯახო დღესასწაულებს. სწორედ დედას, დაბადების დღეს, გაუგზავნა წერილი ერთმა ქალიშვილმა:

„ჩემო შორეულო დედიკო!

გიგზავნი გამხმარი იების თაიგულს, მიიღე ეს მოკრძალებული საჩუქარი. ეჰ, ამ ყვეალებს, რომ შეეძლოს გაიმბოს ყველაფერი, იტყოდი, რომ ეს არის უდიდესი და ყველაზე გულწრფელი საჩუქარი, რაც კი ოდესმე მიგიღია. ნეტავ იცოდე, რა ხდება ჩემს გულში, როცა გხედავ შენ სადღესასწაულოდ გამოწყობილს უახლოესთა სასიამოვნო გარემოში, რომელშიც ოდესღაც მეც ვიყავი. ეჰ, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის, ამას ადამიანები ვერც კი ხედებიან“¹⁰⁵.

თითქმის ყველა იმედოვნებდა, რომ დაბრუნდებოდნენ და სჯეროდათ ასეთი შესაძლებლობის. თუმცა ბევრს მაინც ჰქონდა სისუსტის წუთები და აპათია. ასეთ დროს მიღებული კორესპოდენცია და ამანათი სახლიდან აუმჯობესებდა მათ ფსიქიკურ მდგომარეობას, ამავე დროს, ამტკიცებდა ოჯახურ კავშირებს. უმეტესად წერილები იწვევდა განცდებს და ბედნიერი წუთების მოგონებებს:

„მხოლოდ ცრემლებმა ყელი შემიბოჭა, თვალებზე ნისლი გადამეკრა. ღმერთო, მე, ჩემს ასაკში [22 წელი - დ.რ.], ვსაჭიროებ უახლოესი ადამიანები შევანუხო - ვსაჭიროებ დახმარებას, ნაცვლად იმისა, რომ იქით დავეხმარო მათ. უძვირფასესებო, იქნებ ღმერთმა ინებოს და შევერთდებით ოდესმე. ასე სამუდამოდ ხომ ვერ იქნება. მას აუცილებლად ესმის ჩვენი ოხვრა, ლოცვა და ვაების ხმები, რომელიც ევედრება უდანაშაულოთა დახმარებას.

უძვირფასესებო, ისე ძალიან ვცდილობ, შევიწარჩუნო სულის სიმტკიცე და ისეთი ძალიან მძიმე წუთებია ხოლმე, რომ მეტი აღარ შემიძლია, და მხოლოდ საყვარელ ადამიანებზე ფიქრი მაძლებინებს, მკრთალი ღიმილი გადამივლის სახეზე. იმედის ნაპერწკალი გაჩნდება გულში, უნდა დავბრუნდე“¹⁰⁶.

როგორც წარმოდგენილი კორესპოდენციიდან ჩანს, ბევრისთვის კონტაქტი ოჯახთან ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დადებითად მოქმედებდა პატიმრების ფსიქიკურ მდგომარეობაზე. მუდმივი წერილობითი კონტაქტის დამყარებისას პატიმრები აცნობიერებდნენ, რომ ახლობლებს ახსოვთ ისინი და ელოდებიან მათ დაბრუნებას.

საჭიროა, ყურადღება მიექცეს ურთიერთობას პატიმრებსა და ბანაკის მცველებს შორის. მოგონებებიდან ცნობილია, რომ ზოგიერთი ამავე ბანაკის ყოფილი საბჭოთა პატიმრები იყვნენ¹⁰⁷.

105 1947 წლის 19 მარტის ტ. ნოვიაკის (ქალიშვილობის გვარი - კულეშა), წერილი. (ასლი ავტორის ფონდში).

106 1946 წლის 13 აგვისტოს ვ. კოზაკიევიჩის (ქალიშვილობის გვარი - რომანოვსკა) წერილი ემიგრაციაში მცხოვრებ მშობლებს (ასლი ავტორის ფონდში).

107 ამ ფუნქციას ასრულებდა ადამიანი ვილნიუსის ნაკადიდანაც კი - ფიოდორ ს.

ჩატარებული გამოძების - „ფილტარაციის“ შემდეგ რუსებს ამწესებდნენ ბადრაგებად. სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ, დანარჩენების ფონზე, განსაკუთრებული სიმკაცრით ბარაკებში ჩატარებული ჩხრეკების და პატიმრების ბანაკის ტერიტორიაზე შესვლის დროს. მრავალი მათგანი აზიური წარმოშობის იყო, სახის დამახასიათებელი გამომეტყველებით. ვფიქრობ, მათი საქციელი გამომდინარეობდა უბრალო მიზეზიდან: უნდა დაემსახურებინათ და მოეპოვებინათ ნდობა. სხვა დანარჩენი დაცვა პოლონელების მიმართ გულგრილი იყო. მათი მხრიდან არ ხდებოდა განსაკუთრებული სისასტიკე ან ძალმომრეობა. ზოგიერთი პატიმრებთან სავაჭრო ურთიერთობაში ებმებოდა, ან საშუალებას აძლევდნენ, არალეგალურად შეესრულებინათ მცირე ხელოსნური სამუშაოები. მათი მატერიალური მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა საკვების მხრივ, ასევე მძიმე იყო.

გამოყენებული წყაროების საფუძველზე ძირითადად შეიძლება ითქვას მხოლოდ ერთი პიროვნების შესახებ, რომელიც პოლონელების მიმართ მტრობას ავლენდა. ეს იყო ბანაკის დაცვის უფროსი - ლეიტ. ჯიქია, ქართველი. ხშირად დილის ამოკითხვაზე აგრესიული იყო პატიმრების მიმართ. მათი მისამართით იყენებდა უცენზურო, ვულგარულ სიტყვებს.

ხაზგასმას იმსახურებს პოლონელების კარგი ურთიერთობა ქართულ მოსახლეობასთან. მათთან დაამყარეს გაცხოველებული სავაჭრო კონტაქტები, რომელსაც ორმხრივი სარგებელი მოჰქონდა. ეს გაცვლა ხშირად ხორციელდებოდა საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე მუშაობის დროს. როგორც უკვე ადრე აღვნიშნე, ადგილობრივი საზოგადოება დადებითად იყო განწყობილი პოლონელებისადმი. მათდამი შეიძლება ითქვას ჰქონდა გულითადი, კეთილი დამოკიდებულება. კ.უენკევიჩი ასე იხსენებს ერთ შემთხვევით შეხვედრას:

„ერთხელ ვთხოვეთ ჩვენს ბადრაგს, ნება დაერთო წავსულიყავით ქართველებთან და გვეთხოვა რამე საქმელი. დაგვთანხმდა და ერთ ეზოში შევედით. იქ ხის ქვეშ იდგა საქმელით სავსე მაგიდები. გვინდოდა სწრაფადვე უკან წამოვსულიყავით, მაგრამ გაგვაჩერეს და გვკითხეს, ვინ ვიყავით. ვუპასუხეთ, რომ პოლონელები ვართ. იქ იყო ოფიცერი ფორმაში და თქვა: როცა პოლონეთის თავზე დამჭრეს, პოლონელები დამეხმარნენ და დამმალეს“. იმ ხალხმა მოგვცა ბევრი ხილი, ხორცი და დიდი ჭიქა არყით გაგვიმასპინძლდნენ“¹⁰⁸.

მრავალი ბრიგადა ასრულებდა სამუშაოებს ქართველების ხელმძღვანელობით, რომელიც პატიმრებისთვის ხელსაყრელად აფასებდა მათ ნამუშევარს. ცხადია, შეიძლება მომხდარიყო ნეგატიური კონტაქტებიც, მაგრამ ასეთები შემთხვევითი იყო.

ამ ბანაკშიც ასევე ხდებოდა გაქცევები. გაანალიზებული დოკუმენტების საფუძველზე და საუბრებიდან შეიძლება დავასკვნათ, მათი რიცხვი მეტი იყო, ვიდრე იელშანკაში. უეჭველია, ასეთი სიტუაციის მიზეზი რამდენიმე იყო და ყოველი გაქცეული პატიმრისთვის სხვადასხვა.

პირველი - პოლონელებს აღარ სჯეროდათ უფროსობის ხშირი დაპირებების სწრაფი გათავისუფლების შესახებ. უმეტესობისთვის უკვე სრულდებოდა პირველი წელი მათი დაპატიმრების მომენტიდან, ოჯახთან განშორების და უკან დაბრუნების ბუნდოვანი პერსპექტივის. მეორე - ბევრი ვერ ეგუებოდა ბანაკის ცხოვრების არსებულ პირობებს. ნათელია, თითქმის ყველასთვის რთული იყო ამასთან შეგუება. ზოგიერთები დეპრესიაში ვარდებოდნენ, რაც მათ სიკვდილს იწვევდა, ხოლო სხვები იბრძოდნენ გადარჩენისათვის და ფუნქციონირებდნენ არსებულ სინამდვილეში. გაქცევის მიზეზები შეიძლება დავინახოთ ადამიანების განსხვავებულ ხასიათსა და პიროვნებაში. ეჭვს გარეშეა, ბევრ მამაკაცს აღეგებდა ვილნიუსის მხარეში დარჩენილი, ან პოლონეთში გადასახლებული ოჯახის ყოფითი სიძნელეები. გაქცევის გადანწყვეტილებაზე გავლენას ასევე ახდენდა ახალგაზრდობა, პარტიზანული წარსული და ჩვეულებრივი ყოყმარობა. ამ, მათვის არახელსაყრელი სიტუაციის შეცვლის, შანს მხოლოდ გაქცევა იძლეოდა.

ყოველი მათგანი აცნობიერებდა ამ რისკზე წასლის შედეგებს. გაქცევის მცდელობისთვის დაჭერილ პატიმარს სცემდნენ, კარცერში ათავსებდნენ და აგზავნიდნენ საჯარო ბატალიონში (ბრიგადაში). გაქცევის დროს ასევე შეიძლება მოეკლათ, ან შემთხვევით მომკვდარიყო. პატიმრებმა იცოდნენ, რომ კარცერში მოთავსება, მინიმალური საკვებით, იწვევდა ორგანიზმის დასუსტებას და ჯანმრთელობის გაუარესებას. საჯარო ბრიგადაში მუშაობა იყო მძიმე და ქანც-გამწყვეტი. მხოლოდ ძალიან ცოტა ახერხებდა ბანაკიდან წარმატებით გაქცევას. პატიმრებმა იცოდნენ, ვის გაუმართლა, რადგან გაქცეულები, მათი ამხანაგები, აღარ დაბრუნებულან უკან.

წარმატებული გაქცევისათვის არ კმაროდა მხოლოდ გადანწყვეტილება, არამედ მისი სათანადოდ მომზადება და განხორციელებაც იყო საჭირო. უმთავრესი პრობლემა - დიდი მანძილი ვილნიუსამდე. მისი დაძლევა მხოლოდ რკინიგზით იყო შესაძლებელი, სადაც მჭიდრო სამხედრო და მილიციის კონტროლი იყო.

უეჭველად პრიორიტეტული იყო სათანადო საკვები მარაგის მომზადება, ან საკმარისი რაოდენობის ვალუტის თავმოყრა. ორივე ეს საკითხი სირთულეს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ბანაკის საკვები ნორმით თავის გატანა იყო რთული, არა თუ რამის „გადანახვა“, მაგ.: პურის ნატეხის. უფრო ადვილი იყო ვალუტის მოპოვება.

პირველი ხერხი მდგომარეობდა, ცხადია, საკუთარი გარდერობიდან რაიმეს გაყიდვა, მაგ.: პალტო ან პიჯაკი. სანაცვლოდ, ძველი საბჭოთა სამხედრო ფარაჯა ან დაბამბული ქურთუკი, რომელსაც სამოქალაქო მოსახლეობა მასიურად ატარებდა. ფულის მოგროვების მეორე ხერხიც ასევე ვაჭრობის სფეროს განეკუთნებოდა, მდგომარეობდა სხვადასხვა სახის ხელოსნობის ნაწარმის ან დეფიციტური, მათ შორის ქარხნის მშენებლობის ტერიტორიიდან, „საქონლის“ გაყიდვაში. ბუნებრივია, შეიძლებოდა საკვების ამანათებში დამალული ვალუტის მიღებაც.

დილემას წარმოადგენდა ასევე - მარტო გააქცევა თუ ამხანაგთან ერთად. ორივეს ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარეები. მარტოხელა გაქცეული

უფრო ადვილად იმოგზაურებს, დიდად არ გამოიწვევს ეჭვს. მაგრამ ერთად გაქცევა - ზრდიდა გადარჩენის შანსს მაგ.: კონტუზიის ან ავადმყოფობის შემთხვევაში.

თითქმის ყველა ბანაკში (მაგრამ არა ყველაში), უფროსობა ჰქმნიდა სპეციალურ ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფებს¹⁰⁹. მათ საქმიანობას აწესრიგებდა სსრკ-ის შსსკ-ის 1944 წლის ბრძანება N 515. ერთდროულად რამდენიმე დაავადებულს გაქცეულების სავარაუდო ტრასებზე. აკონტროლებდნენ რკინიგზის სადგურებს, გზებს და აგროვებდნენ ინფორმაციას შემოგარენში საექტოების, ახალჩამოსულების შესახებ. ბანაკების დაცვის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო ასევე გამოეცხადებინა ძებნაში არა მხოლოდ შს ადგილობრივ ორგანოებში, არამედ გაქცეულების მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. ყოველ შეტყობინებაში იყო გაქცეულის ძირითადი პერსონალური მონაცემები და აღწერილობა.

ქუთაისიდან პირველი გაქცევა მოხდა ჯერ კიდევ კარანტინის დროს. მ.პრეცკალის თანახმად, მაშინ ათი პატიმარი გაიქცა, მათ შორის ორი მისი მეგობარი (ძმები ჰენრიკ და ვოიჩეხ ბალცევიჩები). ინფორმაცია მათ შესახებ „სარატოვის მარშრუტის“ სხვა ბანაკებიდან არ არსებობს, რაც მიუთითებს, რომ ისინი არ დაუჭერიან¹¹⁰.

პირველი ჯგუფური გაქცევა, დადასტურებული საბჭოთა დოკუმენტებში, მოამზადეს 1945 წლის დეკემბერში: ედუარდ ლაბინიჩმა (დაბ. 1915 წ.), ედუარდ პეტუიკმა (დაბ. 1917 წ.), იუზეფ ნოვოშელსკიმ (დაბ. 1903 წ.), ჰენრიკ ვერტინსკიმ (დაბ. 1920 წ.) და სტანისლავ ანტონი ოპონოვიჩმა (ან სტანისლავ აპანოვიჩმა)¹¹¹. გაქცევის თარიღად დათქმული იყო 1945 წლის 28 დეკემბერი, მაგრამ კიდევ ერთი მონაწილის, ჰენრიკ კამოკინის, დაბეზლების შედეგად ყველანი დააპატიმრეს. რადგან მან შეატყობინა N1 ქვებანაკის უფროსს - სიმონიანს. კამოკინის ვრცელი ჩვენებების საფუძველზე ცნობილია, რომ პოლონელები გასაქცევად მონდომებით ემზადებოდნენ. აპანოვიჩს ჰქონდა გაქცევის გეგმა, ფული და ოქრო. მან ის დაჭერამდე ნოვოშელსკის გადასცა. გამომძიებელთან საუბრისას - უფ.ლეიტ. გაღიჩევსკი, კამოკინმა შეატყობინა, რომ ჯგუფში უფროსი არის ლაბინიჩი, ხოლო ფინანსურ მხარეს აპანოვიჩი უძღვებოდა. აპირებდნენ რკინიგზით მგზავრობას და პროდუქტების შექმნას ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

კამოკინმა ასევე დაასახელა ორი სხვა პოლონელი, რომლებიც ფიქრობდნენ ქუთაისიდან გაქცევას. დაასახელა მე-7 ბატალიონის მე-3 ასეულიდან ვრუბლევსკის და მე-8 ბატალიონიდან ბარტულევიჩის გვარები¹¹².

109 ბევრ სფბ-ში სერიოზულ ნაკლოვანებებზე სამძებრო დანაყოფების ორგანიზების პაკითხში ნათქვამია სსრკ შსს გულაგების დაცვა და რეჟიმის გაუმჯობესის ხელმძღვანლის ს.კ. ი. სმირნოვის ნერილი, რფსა, სვგნ. 9414-1-2529, ფურც. 49

110 M. Preckalto, Wspomnienia..., გვ. 10. სამწუხაროდ, მათი შემდგომი ბედი უცნობია, მაგრამ მათი გვარები არ ჩნდება შემდეგ ბანაკებში.

111 ერთ საბუთში არის ნახსენები გვარი ოპონოვიჩი, მეორეში კი აპანოვიჩი. პერსონალური საქაღალდეების ხელმოწვევდომლობა მოსკოვის არქივებში ართულებს გვარის დაზუსტებას.

112 მათი შემდგომი ბედი განსაზღვრულად განვითარდა: ე. ლაბინიჩი გაათავისუფლეს ქუთაისიდან 1946 წ. ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო. ი.ნოვოშელსკი და ს. ოპონოვიჩი გააძინეს ბოროვიჩის ბანაკში, საიდანაც პირველი გაათავისუფლეს 1958 წ., მეორე კი მხოლოდ 1949 წ. ასტრახანში მოხვდა პ. ვერტინსკი - გაათავისუფლებული 1948 წ. და ე. პიეტმიკი, სა-

ამ საქმეზე 1945 წლის 29 დეკემბერს უმც. ლეიტ. თვალჭრელიძის მიერ პ.ვერტინსკი დაკითხული იქნა როგორც ეჭვმიტანილი. ვერტინსკი კატეგორიულად უარყოფდა გაქცევის გეგმის ცოდნას და ამტკიცებდა, რომ არავისთან ჰქონია საუბარი ამ თემაზე, ხოლო მისი ჩხრეკისას აღმოჩენილი საევაკუაციო რუკა (სავარაუდოდ, ვილნიუსიდან გამოგზავნილი) გამოყენებას არავითარი მიზნით არ აპირებდა¹¹³.

შემდეგი ჯგუფური გაქცევის მონყობას აპირებდნენ 1946 წლის 23 მაისს რომულად იაცკევიჩი (დაბ. 1924 წ.) და ედუარდ ბუოზოვსკი (დაბ. 1923 წ.), რომლებიც 1-ლი დივიზიონის სამხარეულოში მუშაობდნენ. ამ ინციდენტის შესახებ ოჩგ-ს (Оперативно-Чекистовский отдел) უფროსს მენთეშვილს მოახსენა უმც.ლეიტ. თვალჭრელიძემ. დასახელებული პოლონელები, სავარაუდოდ, 21 მაისს ცდილობდნენ მათთან ერთად მომუშავე ახლო ამხანაგის დაყოლიებას. იგი აღმოჩნდა შეკრული აგენტი, ფსევდონიმით „ოსიპოვი“. მან 22 მაისს საბჭოთა ხელმძღვანელობას მოახსენა, მისთვის შეთავაზებული გაქცევის წინადადების შესახებ. მოხსენებაში განმარტა, რომ იაცკევიჩი და ბუოზოვსკი აპირებდნენ ღამით გაქცევას, სამხარეულოში მუშაობის დროს. ამ მიზნით მოიმარაგეს დიდი რაოდენობით ფული, რომელსაც იაცკევიჩი ატარებდა ჯიბის შიგნით დამალულ ტომსიკაში, ხოლო ბუოზოვსკი - კისერზე ჩამოკიდებულში. მათთან ერთად ბანაკის დატოვებას აპირებდნენ ჰენრიკ ჩიჟი, სოსნოვსკი, ოსიპოვიჩი, ბოლესლავ ჩეხოვიჩი (დაბ. 1926 წ.) და ორი მამაკაცი გვარად მაჩკა და იასკა¹¹⁴. პოლონელების გეგმების შესახებ დაბეზლებით გაფრთხილებულმა საბჭოთა უფროსობამ მოამზადა ოპერატიულ ჩეკისტური დანაყოფი. უპირველეს ყოვლისა, მიზნად დასახული იყო დაედგინათ გაქცევის ორგანიზაციის მეთაური, ორი უცნობი გვარის დადგენა და ეჭვმიტანილების სისტემატური თვალთვალის დანეხება და გაქცევის მიმართულების დადგენა. გამოყენებულ საშუალებებში ასევე შედიოდა: ქვებანაკის ხელმძღვანელობის გაფრთხილება და ჩხრეკის ჩატარება, რომლის მიზანი იყო ფულის ჩამორთმევა. ამ დავალებების შესრულების შესახებ ჩვენთვის გარკვეულწილად ცნობილია, რამეთუ 1946 წლის 23 მაისს ღამით იაცკევიჩი და ბუოზოვსკი

იდანაც გაიქცა 1947 წლის ოქტომბერში. სტანისლავ აპანოვიჩი გაამწესეს სტალინინგრადში. კამოკინის ბედი, რომელიც იცნობდა პოლონელებს ჯერ კიდევ სარატოვიდან (სავარაუდოდ რუსი) და მისი ქმედებების მიზეზები ჯერ არ არის ცნობილი. ლსა, პს. 26500. ფურც. 24. ნიშანდობლივია, რომ კამოკინის დაკითხვის ჩანაწერი და ინფორმაცია, დაგეგმილი გაქცევის შესახებ, შენახულია პეტშოკის პერსონალურ საქაღალდეში. თუმცა მისი დაკითხვის ოქმი იქ არ არის. ზუსტად იგივე მდგომარეობაა ლაბინჩთან. ვინაიდან მისი დაკითხვის ოქმი არ არის მის საქაღალდეში თუმცა არის პ. ვერტინსკის დაკითხვის ოქმი. რთულია ამ სიტუაციის ახსნა. Uwzięni w Donbasie -ს ამონაწერში.....გვარი ბარტულევიჩი არ არის.

113 ლსა. პს. 33361. ფურც. 4-5

114 ბანაკში იმყოფებოდა რამდენიმე სოსნოვსკი: სტანისლავი (დაბ. 1908 წ.), ფრანჩიშეკი (დაბ. 1921 წ.), ლეონი (დაბ. 1919 წ.) და ძმები სტანისლავი (დაბ. 1923 წ.) და მიხალი (დაბ. 1928 წ.). ყველანი შემდგომ გაამწესეს ასტრახანის ბანაკში. რთულია იმის გარკვევა, თუ ვის ეხება ეს პატიკი. მსგავსი სიტუაცია ეხება ოშიპოვიჩებს: ფელიქს (დაბ. 1896 წ.), ბრონისლავს (დაბ. 1924 წ.) და მარიანს (დაბ. 1925 წ.). ვვარაუდობ, რომ ლაპარაკია ორ ახალგაზრდა მამაკაცზე, რომლებიც გაამწესეს ბანაკში, ბოროვიჩებში, Uwzięni w Donbasie.... გვ. 241-242, 230, 272.

გულდასმით გაჩხრიკეს. იპოვეს ტანსაცმლის შიგნით დამალული 1570 მანეთი და პირდაპირ კარცერში გაამწესეს. დანარჩენები საჯარიმო ბატალიონში გააგზავნეს. ოპერატიულ - ჩეკისტური განყოფილების უფროსის შემდგომი, 23 მაისის, მითითებანი ეხება აგენტურული საქმიანობის გაძლიერებას, დამუშავებას და გაქცევების თავიდან აცილებას¹¹⁵.

თუმცა პოლონელები მაინც ახერხებდნენ ბანაკის ხელმძღვანელობის გაცეზებას, როგორც, მაგალითად, ჰენრიკ ჩიჟის (დაბ. 1925წ.) შემთხვევაში. როგორც ადრინდელ საქმეში ეჭვმიტანილი გააგზავნეს საჯარიმო ბატალიონში, მაგრამ იქედან გაიქცა უკვე 1946 წლის 27 მაისს. ჩიჟის ამ საკმაოდ თავლსაჩინო და, რაც მთავარია, წარმატებული საქციელის შესახებ N 1 ქვებანაკის უფროსმა სიმონიანმა პატაკში მოახსენა მაიორ მენტეშაშვილს. მოხსენებიდან ირკვევა, რომ 26 მაისს შეიცვალა N 1 ქვებანაკის მდებარეობა და მასში არ იყო „საჯარიმო იზოლატორები“ და ასევე ცალკე ოთახები სადამსჯელო რაზმეულისათვის. იქ მყოფებს არ ეძლეოდათ სამუშაო ბანაკის ტერიტორიის გარეთ, რომლის დატოვებაც ეკრძალებოდათ. გაურკვეველი მიზეზების გამო, როგორც ამას უწოდებს სიმონიანი, ჩიჟი არ იყო იზოლირებული, მან მოახერხა შეერთებოდა სამუშაოზე გამსვლელ ბრიგადას. ამის წყალობით იგი გაიქცა სამუშაო ადგილიდან ე.წ. ვოდოპრავოდზე. სწორედ იქედან და იმავე დღეს, შეიძლება ჩიჟთან ერთად, გაიქცა მეორე პოლონელიც - ვაცლავ კურკული (დაბ. 1927 წ.). ჩატარებული გამოძიების შედეგად 29 მაისს დაიკითხა სამი ბადრაგი, რომლებიც ყარაულში იყვნენ იმ დროს: ქართველი - ვაშლი ჟორჟოლიანი, უკრაინელი - იაკობ პრინუცკი და რუსი - სერგეი ლუჩინინი. სახასიათოა, რომ რუსი ფილტარაცია გამოვლილი იყო - 1946 წლის 8 აპრილს (!) N3 სვბ, N 0331 ქვებანაკში. შეიძლებოდა მისი პოლონელებისთვის გაქცევაში დახმარებაში ეჭვის შეტანა¹¹⁶.

სამი გაქცეულის, მათ შორის ჰენრიკ ჩიჟის შესახებ, რომელმაც მოახერხა გაქცევა, ისაუბრა მისმა თანაპატიმარმა შმეჟხალსკიმ. მისი სიტყვებით, ერთი გაქცეული მუშაობდა ბანაკს გარეთ, ოფიცერთა სამზარეულოში, ამიტომ მოახერხა საკვების მოგროვება¹¹⁷.

მესამე დასაბუთებულ გაქცევას ქუთაისიდან პოლონელები ამზადებდნენ 1946 წლის ივლისში. მის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია მოგვეპოვება, ერთი პოლონელის - ა.გ.-ს დაკითხვის ოქმიდან. იგი არ იყო განდობილი დეტალებში, თუმცა იცოდა სამზადისის შესახებ. მისი სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მთავარი ორგანიზატორები იყვნენ ბრონისლავ ბარანოვსკი (დაბ. 1914 წ.), ალფონს ცერნის (დაბ. 1913 წ.), ალექსანდერ ნონევიჩი (დაბ. 1918

115 ლსა, პს. 13659, ფურც. 9. ეს არის საბჭოთა ოპერატიული განყოფილების ერთ-ერთი იმ მცირე ოდენობის საბუთებთაგანი, რომელიც მოვიპოვე. რომულდ უაცკევიჩი (დაბ. 1924 წ.) იმყოფებოდა ასტრახანში 1948 წლამდე. ედვარდ ბეოზოვსკი (დაბ. 1923 წ.) კი გაამწესეს სტალინგრადში, საიდანაც ისევე გაიქცა 1947 წლის ივლისში.

116 ლსა, პს. 13659, ფურც. 10-14. გამოძიების შემდგომი ბედი უცნობია. ვ. კურკული (დაბ. 1927 წ.) გაქცევა წარმატებული იყო. ის დოიჭირეს და გაამწესეს ბანაკში ბოროვიჩებში, საიდანაც გაათავისუფლეს 1948 წლის 31 მარტს

117 J. Smierczalski, Wspomnienia... გვ. 17.

ნ.) და ასევე ანტონი ლავრინოვიჩი (დაბ.1908 წ.)¹¹⁸. დაკითხული აღიარებდა, რომ 1946 წლის 4 ივნისს სალამოს ბანაკში ორგანიზირებულ იქნა კრება. მასში მონაწილეობდნენ ასევე ზონის უფროსები: შიუტა (მიხალა), იაკელი (ბრონისლავი) და სხვები, ვისი სახელებიც მოწმეს არ ახსოვდა. კრების დროს ისინი ამტკიცებდნენ, რომ პოლონელების მთელი კონტიგენტი მეორე დღეს, ე.ი. 5 ივლისს, გადაყვანილი იქნება მცირე ჯგუფებად შემდგომ ბანაკებში და გამწესებული კატორღულ სამუშაოებზე. ნონევიჩმა კიდევ დაამატა, რომ „ბანაკიდან გაქცევა საჭირო, რადგან ხვალ ყველას მძიმე სამუშაოებზე გააგზავნიან და ჩვენი დასასრული დადგება და ველარასოდეს ვნახავთ სახლს“. სალამოს ისევ ყველანი შეიკრიბნენ, გამოგლიჯეს ფიცრები საკუთარ ზონებში და ლამის 12 საათზე შევიდნენ საერთო ზონაში.

როგორც ოქმიდან ირკვევა, იმ ღამით ჯგუფურად გაიქცა სულ მცირე ოთხი პოლონელი. დაკითხულ პატიმარს ნება არ დართეს, მათ შეერთებოდა. თუმცა მან გადაწყვიტა ამხანაგების კვალზე გაქცეულიყო და ნორბერტ შიშლოსთან ერთად წავიდა. მაგრამ ძალიან მალე, უკვე მეორე დღეს (ე.ი. 5 ივლისს) დააკავეს¹¹⁹.

ქალების ერთადერთი გაქცევა N1 ქვებანაკიდან ორგანიზირებულ იქნა 1946 წლის 13 აგვისტოს: საბინა ჟუკოვნას (დაბ.1927 წ.), ანა ჟუკოვსკას (დაბ. 1920 წ.) და ირენა ოშტუვნას (დაბ.1921 წ.) მიერ¹²⁰. ორი მათგანი ბანაკს გარეთ დამლაგებლად მუშაობდა, სამკერვალოში. ბადრაგის გარეშე შეეძლოთ ბანაკის დატოვება, მხოლოდ საშვების საფუძველზე. საჭრო თანახა 1000 მანეთის ოდენობით გააჩნდა მხოლოდ ს. ჟუკს. მან ის ბანაკის ხელმძღვანელობისგან მალულად მოიპოვა. პოლონელი ქალები მონდომებით ემზადებოდნენ გაქცევისათვის. მოირგეს და შეივსეს სათანადო ტანსაცმელი, ხოლო ი. ოშიტმა, რომელიც სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას, მოიპოვა ინფორმაცია გაქცევის ტრასის შესახებ. იგი ასევე ფლობდა კონტაქტების დამყარების უნარს, რაც მათ შემდგომ უადვილებდა მგზავრობას. შემთხვევითი სატიერთო მანქანით ჩავიდნენ ქალაქ ზუგდიდამდე - 120 კმ ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით. იქ სასაფლაოზე გაათენეს ღამე და მეორე დღეს ჩააღნიეს სოხუმამდე, იქედან კი მესამე დღეს - სოჭამდე. იქ შეიძინეს, ი.ოშიტას რუსულის ცოდნისა და საბჭოთა ოფიცრის თავაზიანობის წყალობით, მატარებლის ბილეთები მოსკოვამდე. სამწუხაროდ, აქ დააპატიმრეს ქუთაისის ბანაკიდან ჩამოსულმა ჯარისკაცებმა. საოცარია, რომ 300 კმ-ის დაშორებით ისევ გრძელდებოდა მათი ძებნა. თუმცა პოლონელი ქალების გაქცევის ეს მიმართულება მიჩნეული იყო ყველაზე სავარაუდოდ. უკვე დაბრუნების დროს ი.ოშიტმა მოახერხა ბილეთების ჩადება ნაყიდ პომიდორებში და დამამძიმებელი საბუთის გადადგება. ბანაკში დაბრუნებულები კარცერში გააგ-

118 ოთხივე პოლონელი დაიჭირეს და გააგზავნეს ასტრახანის ბანაკში, საიდანაც ისევ (!) გაიქცნენ 1947 წლის ივნისში. მათზე კიდევ ვისაუბრებ მოგვიანებით.

119 საგამომძიებო ოქმი შეადგინა 1946 წლის 5 ივლისს უმცროსმა ლეიტენანტმა საეინიხმა, ლსა (არ ვამჟღავნებ პერსონალური საქალაქის ხელმოწერას)

120 იმავე დღეს, რამდენიმე მამაკაცის პარალელურ გაქცევას იხსენებს თავის წიგნში M. Nowicki, *Moja wielka...*, გვ. 80.

ზავნეს და დაკითხეს. იქ წინასწარ მომზადებული პასუხები გასცეს. უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებდნენ, რომ არ აპირებდნენ გაქცევას, მხოლოდ სურდათ ლამაზი საქართველოს დათვალიერება. რადგანაც ვერ დაუმტკიცეს გაქცევის სურვილი, ა. შუკოვსკა და ს. შუკუნა მოათავსეს კარცერში 14 დღით. მეგობრების მხარდაჭერით, რომლებიც მათ საკვებს აწვდიდნენ, გაუძლეს. ფეხის ტრილოზის გამო ოპიტი გაგზავნილი იქნა საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ საჯარიმო ბრიგადაში, სადაც ღამით ტანსაცმლის შეკეთებით იყო დაკავებული¹²¹.

ანტონი პუზევიჩის (დაბ. 1925 წ.) ნაამბობის მიხედვით, ცნობილია ქუთაისის ცენტრის ქვებანაკიდან მისი, სტანისლავ გილდევესკისთან (და. 1927 წ.) და ვიტოლდ ბორუშევიჩთან (დაბ. 1924 წ.) ერთად, გაქცევის შესახებ. ეს მოხდა 1946 წელს. წინასწარ არ იყო დაგეგმილი და საგზალი არ იყო მომზადებული. ერთ-ერთ გაქცეულს ძაფის კოჭაში გამოუგზავნეს 800 მანეთი. გაქცევის დროს ჭამდნენ უმნიფარ სიმინდს, რომელსაც აგროვებდნენ ყანაში და ლევს. მიდიოდნენ მხოლოდ ღამით და საცხოვრებელ უბნებს გვერდს უვლიდნენ, ოთხი დღის განმავლობაში ქუთაისს 100 კმ-ზე დაშორდნენ. მალე ისინიც, ს. გოლდევესკის გარდა, მილიციამ დაიჭირა. რამდენიმე დღის ადგილობრივ კომისარიატში გატარების შემდეგ, გადაიყვანეს ბანაკში. 20 დღე კარცერი მიესაჯათ. იქ 200 გრ პური და ერთი პორცია წყალი ეძლეოდათ მთელი დღის განმავლობაში. პუზევიჩს ბედი არ სწყალობდა, რადგან სასჯელის მოხდის შემდეგ იგი „აკრძალულ ზონას“ მიუახლოვდა და მას კიდევ 10 დღე კარცერი მიუსაჯეს¹²².

სავარაუდოდ, ინდივიდუალური და წარმატებული გაქცევა 1946 წლის 5 იანვარს მოაწყო ბენედიკტ იარმულკოვიჩმა (დაბ. 1922 წ.), სრული დარწმუნებით 1946 წლის ივლის - აგვისტოს მიჯნაზე გაიქცა, ალბათ, წარმატებით, ბრიგადირი ალექსანდერ ჯიკევიჩი (დაბ. 1908 წ.)¹²³. წარუმატებელი გაქცევა მოაწყვეს: მეჩისლავ გრინცევიჩმა და ანტონი მიხნევიჩმა. მელიორაციული არხით გაიქცნენ, მაგრამ მისი ბოლო დალუქული იყო ცხაურით. შემდეგ დაიმაღლნენ მანქანის ყუთებში, მაგრამ აქ ისინი იპოვეს¹²⁴. როგორც ზემოთ აღმისწავლი მასალიდან ჩანს, გაქცევები ქუთაისში ბევრად მეტი იყო, ვიდრე იელშანკაში. ეს ფაქტი ერთი შეხედვით უცნაურად გამოიყურება, თუნდაც იმის გამო, რომ ქუთაისის ვილნიუსიდან უფრო შორსაა. თუმცა ვფიქრობ, რომ ამაზე დიდ გავლენას ახდენდა სახლში დაბრუნების რეალური პერსპექტივის არ არსებობა. ბანაკში მოარულმა ჭორებმა, მაგალითად პოლონელების სხვა ბანაკებში გადაგზავნის შესახებ, ეს შეგრძნება რამდენჯერმე გაზარდა.

საბჭოთა ხელმძღვანელობა აცნობიერებდა გაქცევების პრობლემას. მათი უმეტესობა ყარაულის და ბანაკის საერთო დაცვის უყურადღებობის შედეგი იყო.

121 I. Osit, Wspomnienia..., გვ. 12; S. Zak „Witamina”, Wspomnienia z łagru, გვ. 3-5; ისტორია მონოდებულ ჰ. კრიშაკის მიერ (ავტორის ფონდში).

122 A. Puzewicz, Wspomnienia. Gryciun, Mejszugola... გვ. 76-84.

123 Uwięzieni w Donbasie..., გვ. 105. რ. გეჩევსკის 1946 წლის 8 აგვისტოს წერილი (ასლი ავტორის ფონდში). ვაცლავ პუიშნო წერს კუტცეკის გაქცევის წარუმატებელ მცდელობაზე, J. Surmiłło, Rachunki..., გვ. 144. მაგრამ „Uwięzieni w Donbasie...” აღწერაში ეს გვარი არ არის ნახსენები.

124 M. Grynecwicz. Wspomnienia z... გვ. 4.

გაქცევების თავიდან ასაცილებლად გულაგმა გამოსცა მთელი რიგი ბრძანებები და განკარგულებები. ერთ-ერთი მათგანი (15 თებერვალი 1946 წ.), სხვათა შორის, მოვალეობებს ეხებოდა. ნათქვამი იყო, რომ ბევრი ჯარისკაცი, რომელიც გადის ლამის დამატებით ყარაულში, არის გადაღლილი და სრულყოფილად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. იგი ავალდებულებდა ხელმძღვანელობას, სრულად დაეცვა სამსახურეობრივი წესები, მათ შორის, დასვენების საკითხში და სრულ შვიდ საათიან ძილს ჯარისკაცებისთვის¹²⁵.

მომდევნო პრობლემა, გულაგის მიერ მითითებული და სფბ-ში გამოაშკარავებული, იყო „სპეცკონტიგენტის“ გადაცემა სამეურნეო სამუშაოებისთვის, ყოველგვარი ბადრაგის გარეშე. ასეთი ხალხი იღებდა მხოლოდ სპეციალურ გამათავისუფლებელ საბუთს, კონკრეტული შესასრულებელი დავალებების (ჩამონათვალის) გარეშე. ეს პრობლემა ქუთაისში, სავარაუდოდ, დიდად არ არსებობდა, თუმცა პატიმრების ნაამბობიდან ცნობილია ამდაგვარი ცალკეული შემთხვევების შესახებ¹²⁶.

ბანაკში ყოფნა იწვევდა იმას, რომ უფრო დიდ მნიშვნელობას (ვიდრე ნორმალურ პირობებში) იძენდა სადღესასწაულო პერიოდი. საჭიროა, ყურადღება კიდევ მიექცეს ქუთაისის ბანაკში პატიმრების მიერ ქრისტიანობის დღესასწაულის აღნიშვნას 1945 და 1946 წლებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მათ მონოტონურ და უფერულ ცხოვრებაში. ახსენებდათ და უმტკიცებდათ პოლონურ ტრადიციებს . ამავე დროს:

„განუზომლად იზრდებოდა ოჯახზე, სახლზე, სამშობლოზე ნოსტალგიის შეგრძნება. ლამლამობით მოგონებები და ფიქრები უტრიალებდათ თავში და ძილს უფრთხობდა. ადრინდელი წლების სურათები ცოცხლდებოდა: ბავშვობა, ქრისტიანობა, ნაძვის ხე, საშობაო საღამო და სიმღერები ... ახლა კი არ იყო არც ოჯახი, არც სახლი, არც სამშობლო, არც ტაძარი, არც საშობაო სიმღერები, საჩუქრები, ობლაცი. სასონარკვეთისაგან გაგიჟება შეიძლებოდა“¹²⁷.

სადღესასწაულო პერიოდში, ადამიანებში, ერთგვარი გამოცოცხლება ისადაგურებდა. ზოგიერთი მამაკაცი, ამ გარემოებათა გამო, სპეციალურად ემზადებოდა, მაგ.: რეცხავდნენ და წესრიგში მოჰყავდათ ტანსაცმელი. გარეგნობას ინესრიგებდნენ, იკრეჭდნენ თმებს, იპარსავდნენ წვერს. ეს მოქმედებები, ცხადია, ვითომ უმნიშვნელო იყო, მაგრამ ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში უდიდეს როლს ასრულებდა. ქალებისთვის ეს საქმიანობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ხოლო სამზადისი ბევრად ადრე იწყებოდა. ცდილობდნენ, რომ

125 დავალება გასცა სსრკ შსსკ გულაგის უფროსის მოადგილემ გენერალ-მაიორმა გიორგი დებრინინმა

126 რფსა, sygn. 9414-1-2529, ფურც. 50

127 I. Perepeczko, W Iagrach..., გვ. 141-142.

თუნდაც საშობაო ვახშამი ყოფილიყო განსაკუთრებული. საბჭოთა უფროსობა თანხმდებოდა ასეთ საღამოს კაცებისა და ქალების მცირერიცხოვან ერთობლივ შეკრებას. მისი მიმდინარეობა აოცებდა კაცმონანილებს, რადგან:

„არ აღიარებდნენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ რალაც თავიანთი ნივთებიდან და პური გაცვალეს ფქვილზე და ხილზე. იქ იყო უგემრიელესი, რაც კი მანამდე და მას შემდეგ ცხოვრებაში მიჭამია, გემრიელი სიმინდის ან სოიოს ფქვილის კვერები, ხილით მორთული. იყო ასევე ფსევდო ნაძვის ხე, სანთლებით. მეცხრე ცაზე ვიყავით, მხოლოდ ტილები გვკბენდნენ. ფხანა კი უადგილო იყო“¹²⁸.

ცხადია, ყველას არ ჰყავდა ჯერ კიდევ ვილნიუსიდან ნაცნობი მეზობელი ან მეგობარი ქალი. ბანაკში დედამამშვილებიც იყვნენ, რომელთათვის ეს დღესასწაულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. აქ ერთად აღმოჩნდნენ მაგ.: კაჟიმეჟა უუკშტა და მისი ძმა ბოლესლავი, ანელა ოგანოვსკა და მისი ნახევარძმა ანტონი მიხნევიჩი.

ჩვეულებრივ დღესასწაულები აღინიშნებოდა მცირერიცხოვან მეგობრულ წრეში, საკუთარ ბარაკებში. განწყობა სუფევდა დათრგუნული და მშობლიურ მხარეზე ნოსტალგიით. წყაროების მიხედვით, 1945 წელს, ქრისტეშობის წინა პერიოდში (დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში), პატიმრები საერთოდ არ ლებულობდნენ პურს¹²⁹. თუმცა, მხოლოდ პოლონელები 24 დეკემბერს, ნაშუადღევს შემდეგ და დღესასწაულის პირველ დღეს, გაათავისუფლეს სამუშაოებისაგან. ისინი არც 1946 წლის აღდგომაზე არ გაუგზავნიათ სამუშაოდ. მაგრამ ანესრიგებდნენ ბანაკის ტერიტორიას.

1946 წლის დღესასწაულები ცოტა განსხვავებული ხასიათის იყო, ვიდრე ადრინდელი. ეს იმ ფაქტიდან გამომდინარეობდა, რომ ბანაკში უკვე ჩამოყალიბდა მეგობრული ერთობლივი ჯგუფები და ურთიერთობებიც გაიბა. მეორეც - საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება პოლონელების მიმართ შემსუბუქდა. ასევე, იმავე დროს ზოგიერთმა ბრიგადამ მიიღო პირადი თეთრეული და ზოგიერთმა თივის ლეიბები. პატიმრებს, აგრეთვე, საკვების მოპოვების მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. ამ განსაკუთრებული პერიოდისთვის მომჭირნეობდნენ და ინახავდნენ პროდუქტებს, რასაც ხაზი უნდა გაესვა დღესასწაულების განსაკუთრებულობისათვის. ზოგიერთი ქალი ხელმისაწვდომი ინგრედიენტებისაგან ამზადებდა ოლადების და ნამცხვრების მსგავსს. ნაჩუქრებს ჩუქნიდნენ ერთმანეთს, მაგ.: ბლუზებს, საკვებს ან საკუთარ ნახელავ ვერილმან სუვენირებს. 1946 წლის შობის საღამოს ადმინისტრაციამ პოლონელებისათვის კინოსეანსი მოაწყო, რომელზეც გაუშვეს ამერიკული ფილმი „თხუთმეტი წლის კაპიტანი“. ამ დღეს ასევე გასცეს პროდუქტების ამანათები, რომლებიც ბანაკში დიდი რაოდენობით მოვიდა წინასადღესასწაულო პერიოდში. საღამო გაატარეს მეგობრების

128 S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 79.

129 მაშინ გარდაიცვალა ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით ლატვიელები, ი.გერეჟსკის 1946 წლის 17 ივლისის წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

და ამხანაგების წრეში. ასე მოაწყვეს შობა ძმებმა გერევესკებმა და-ძმა ბარტა-შევიჩებთან და მათივე ბრიგადიდან კიდევ ექვს მეგობართან ერთად. სიმინდის ფქვილისგან მოამზადეს „ბაბკა“, ვაშლის კომპოტი და პური სალამოს ნორმიდან. იმ სალამოს ატმოსფეროს გადმოსცემს წერილის ფრაგმენტი:

„განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი იყო წამი, როცა ობლატებს ვტყებდით და ერთმანეთს ვუსურვებდით უსწრაფეს დაბრუნებას. ძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი, მაგრამ როგორღაც არ ვტიროდით, რადგან ისედაც ბევრი ცრემლი იღვრება, ხოლო ჩვენი მშობლები ალბათ ტიროდნენ იმ წუთებში. ვფიქრობდით მხოლოდ, რა გვექნა, რომ მომავალ თაობებს არ გადახდომოდათ ჩვენი ბედი.

ასე გავატარეთ დღესასწაული ჩვენ, მაგრამ იყვნენ ისეთები, ვისაც მხოლოდ ხმელი პური ჰქონდათ და ნარებზე მხოლოებს ობლატებზე მხოლოდ ოცნება შეეძლოთ“¹³⁰.

1946 წლის 26 – 31 დეკემბრის პერიოდში ბანაკში თითქმის ყოველ სალამოს უშვებდნენ ფილმს, ხოლო ახალ წელს თეატრალური წარმოდგენაც კი დადგეს. 1946 წლის ბოლო ორი დღე და 1947 წლის 1 იანვარი უქმედ გამოცხადდა და ნება დართეს, ქალები მოენახულებინათ. ზოგიერთმა მაშინ პატარა წვეულებაც კი მოაწყო.

სტანდარტული ჩხრეკის გარდა, რომელიც ბანაკში შესვლისას პატიმრებს უტარდებოდა, ეს პროცედურა უფრო ფართო მასშტაბიანიც იყო. იგი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ტარდებოდა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დიდი დღესასწაულების წინ. აქ მხედველობაში მაქვს 1 მაისი და ოქტომბრის რევოლუცია.

ყოველ ამ დღესასწაულს წინ უძღოდა ბანაკში კონტროლის და დაცვის უჩვეულო გამკაცრება. ამას აწესრიგებდა გულაგის უფროსის გენ.მაიორ ნასედკინის სპეციალური და ძალიან დანვრილებითი მითითებები. ორ მათგანს, რომელიც 1946 წელს ეთანადებოდა, საბჭოთა არქივებში მივაგენი. ერთში, რომელიც 19 ექვებუნქტისგან შედგება, საუბარია 1 მაისის დღესასწაულზე, ნათქვამია, არაუგვიანეს 20 აპრილისა ლიკვიდირებულ იქნას ბანაკის გარე დაცვის, განათების, მაგ.: ელსადგურის და სიგნალიზაციის, ყველა ნაკლოვანება. მოთხოვნილია, გაძლიერდეს დაცვა უმთავრესი და დივერსიული თვალთახედვით ყველაზე საშიში ობიექტების, მაგ.: ელექტროსადგური, რადიო და სატელეფონო კვანძები. იკრძალებოდა 30 აპრილიდან 3 მაისამდე მნიშვნელოვანი ობიექტების და გაქცევისთვის ხელსაყრელ ადგილებში დასაცავად ყოფილი პატიმრების და გამოუცდელი ბადრაგის გამწესება. სავალდებულო იყო ასევე (არაუგვიანეს 28 აპრილისა) სამდღიანი საკვები მარაგის მომზადება. 30 აპრილიდან 3 მაისამდე იკრძალებოდა პატიმრების ქალაქის ქუჩებში გატარება.

¹³⁰ ი. გერევესკის 1945 წლის 30 დეკემბრის წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

მე-9 პუნქტი მოითხოვდა, 29 და 30 აპრილს, პატიმრების, საცხოვრებელი და სანარმოო ნაგებობების საყოველთაო და გულმოდგინე ჩხრეკას. პატიმრებს უნდა ჩამოერთვას გადანახული და აკრძალული ნივთები. ამავე დროს, სავალდებულო იყო ზონის ტერიტორიის სკრუპულარული კონტროლი და მათი განთავისუფლება ყველა იმ ნივთისაგან, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო გასაქცევად. ან სხვა სახის დანაშაულისთვის. სხვა პუნქტი ეხებოდა სიფხიზლის გაძლიერებას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, სპეციალური მორიგეობის დანიშვნას ბანაკის მეთაურებისთვის, იარაღის და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების კონტროლს.

პრაქტიკულად იგივე დადგენილებები, ერთი პუნქტით გავრცობილი, ეხებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის უსაფრთხოებას. მხოლოდ მე-13 პუნქტი იქნა გაფართოებული და პატიმრების ნებისმიერი ნედლომა იარაღთან სრულიად გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ახალი მე-14 პუნქტი ითვალისწინებდა აგენტურულ ქმედებების გაძლიერებას დაკავებულებს შორის. ასევე რეკომენდირებული იყო მათთვის სადღესასწაულო დღეებში კულტ-მასობრივი ღონისძიებების მოწყობა¹³¹.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების რეალიზაცია, სფბ N0331 ხელმძღვანელობის მიერ, დასტურდება მოწმეების ნაამბობებით. აი, მაგალითად რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად ყველანი გათავისუფლებული იყვნენ სავალდებულო სამუშაოებისგან. აღნიშნულ დღეებში „მონაპოვარის“ მქონე პატიმრებს გულმოდგინედ ითვლიდნენ და ბანაკის გარეთ გაჰყავდათ. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული გულმოდგინებით ტარდებოდა ბარაკების ჩხრეკა. ნარებს აბრუნებდნენ, იატაკიდან ფიცრებს გლეჯდნენ. შემდეგ ჩხრეკდნენ მწკრივად დაწყობილ პატიმრებს. მათ ართმევდნენ წერილებს, პრიმიტიულ დანებს. განსაკუთრებული ჩხრეკა უტარდებოდა უპირველეს ყოვლისა პატიმრების პირველ მწკრივებს. რაც უფრო ხანგრძლივი იყო იგი, მით უფრო ილღებოდა დაცვა. ბოლოს უკვე ძალიან ზერელედ ჩხრეკდნენ.

მძიმე სიტუაცია ბანაკში და ბედნიერი დაბრუნების პერსპექტივის არარსებობა ზოგიერთ პატიმარს გადარჩენის იმედს უკარგავდა. ასეთ დროს ტყდებოდნენ და მალე კვდებოდნენ. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ეხებოდა გლეხებს ვილნიუსის სოფლებიდან. დეპრესიას განიცდიდნენ და ხშირად დათრგუნულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ამავე დროს ამჟღავნებდნენ შიმშილისადმი ნაკლებ გამძლეობას. ცდილობდნენ, მეტი ემუშავათ და მიეღოთ დამატებითი საკვები. მაგრამ ამას მათი ფიზიკური კონდიციის გაუარესება მოსდევდა. საკვების „სტახანოვური“ ნორმები ხომ ვერ ანაზღაურებდა დახარჯულ კალორიებს. სოფლებების წრიდან ბევრი იყო „მენარცხე“.

¹³¹ სავარაუდოდ, ეს იყო ერთ-ერთი ბრძანება რომელსაც ზედმიწევნით ასრულებდნენ ბანაკების უმრავლესობაში.

ცალკე წრეს წარმოადგენდა გლეხები ბელორუსიის სოფლებიდან. მათ „ჰანაკებს“ ეძახდნენ (მომდინარეობს მათ მიერ გამოყენებული სიტყვიდან „ჰანი“). ისინი ბევრ საკვების ამანათს და ფულად გაზავნილს იღებდნენ. მონმეთა სიტყვებით ისინი გამოირჩეოდნენ, დანარჩენი პატიმრების ფონზე, კარგი ჯანმრთელობით და ფიზიკური გარეგნობით. მათი უმეტესობა სათანადოდ იყო ნაკვები (ამანათების წყალობით), ხოლო ბევრმა საბჭოთა მოქალაქეობა მიიღო.

ბანაკის ცხოვრების კიდევ ერთი ასპექტი შეიძლება გამოიყოს. მონათბრობებიდან გამომდინარეობს, რომ ინტელიგენციისთვის გადარჩენის შანსს წარმოადგენდა გონებრივი სამუშაოს შოვნა. თუ ასეთი შესაძლებლობა, არ იყო, ასეთები მალევე კარგავდნენ ჯანმრთელობას. თუმცა, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ნერვული გატყდომისა და აპათიისადმი გამძლე ჯგუფს წარმოადგენდნენ.

გარკვეული განსხვავება, რა თქმა უნდა, განათლებული და დანარჩენი ხალხის ბანაკში ქცევის მიხედვით არსებობდა. გამოიხატებოდა ეს, სხვათა შორის, პირადი ჰიგიენის, თუნდაც მცირე დონით, დაცვაში, სათანადო მეტყველებაში, მეგობრულ დახმარებაში. აქ აშკარა სხვაობა არსებობდა ქალებსა და კაცებს შორის. ქალებს შორის შედარებით დიდი იყო ვილინუსელი გიმნაზისტი, ან უკვე უმაღლესდამთავრებული - მომსახურე გოგონების ჯგუფი. მათ „კანაფის ინტელიგენტებს“ ეძახდნენ. ისინი ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად ეზრუნათ საკუთარ გარეგნობასა და ჩაცმულობაზე. ცხადია, მათ ამაში, ეხმარებოდა მათი სამუშაო, მათ შორის ტანსაცმლის სანყობებში, საიდანაც იპარავდნენ ტანსაცმელს. მათი ნაწილისაგან, დარღვევის შემდეგ, ამზადებდნენ ბლუზებს და სვიტერებს. მრავალი მათგანი ზღუდავდა თავის საკვებ რაციონს, რათა ამ ნაწილით ეყიდა საპონი. მაგრამ მაინც არსებობდა მცირე ჯგუფი, რომლიც უკვე ვახსენე წინა თავში, მეძაგების, რომელთაც „ჰარლაპანებს“ ეძახდნენ. ისინი ჩაკეტილ, მაგრამ საკმაოდ მყვირალა, ჯგუფს ქმნიდნენ. იქცეოდნენ საკუთარი „წესების“ და მცნებების მიხედვით, მეტყველებდნენ მკვახედ და უწმინაურად. თუმცა მათ საქციელი დანარჩენებში ინვევდა ძლიერ გაოგნებას:

„ზოგიერთი ქალები მუშაობდნენ ადმინისტრაციაში. ხოდა, ერთმა მათგანმა, რომელსაც ჰქონდა წვდომა კორესპოდენციასთან, უახლოესი მეგობრისთვის გამოგზავნილი ფული მიითვისა. როცა ეს გამჟღავნდა, დიდი აღშფოცება იყო. ქალებმა მას ბოიკოტი გამოუცხადეს, მეგობარი ქალი კი იყო განწყობილი ეპატიებინა, მაგრამ მათი ჯგუფის წევრებმა საკუთარი სამართლით განსაჯეს და დასაჯეს: ქურდი ყოველმა მათგანმა საჯაროდ გაასილაქა და ამასთან, ცხადია, არც სათანადო ეპითეტი დააკლო. ხოლო დაზარალებული თავისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ მოაქციეს, შემწეობასაც დაჰპირდნენ, მაგრამ პატიების გარეშე, რადგან მათი წარმოდგენით ქურდობის პატიება შეიძლება, მაგრამ არა ლალატის“¹³².

132 S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 98—99.

ამ ჯგუფის ქალებს კარგი და ახლო კონტაქტები ჰქონდათ ბანაკში სათანადო თანამდებობაზე მყოფ ხალხთან, მათ შორის მზარეულებთან და სანყობში დასაქმებულებთან.

„ერთხელ ერთი ჩვენი ქალებთაგანი (სხვათა შორის, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ლამაზი) გამოიჭირეს არაორაზროვან სიტუაციაში ერთ რუსთან. როცა ამის შესახებ ჩვენმა კაცებმა გაიგეს, მას საჯარო დემონსტრაცია მოუწყვეს. გზის პირზე ერთად შეკრებილებმა (დაახლოებით 200 კაცი), როცა მან გაიარა, სალანძღავი სიტყვები და დამამცირებელი მეტსახელები უძახეს. მოუწია ამდენი შეკრებილი კაცის წინ ასე გაეგლო“¹³³.

ასეთი მოვლენები სპორადული იყო. ხოლო თუ ხდებოდა, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო ახალგაზრდული ტემპერამენტით.

ძირითადად ქალი-პატიმრები შეიძლება დახასიათდეს, როგორც ჯგუფი უფრო ფხიანების, ვიდრე კაცი-პატიმრები. უკეთესად იტანდნენ და ეგუებოდნენ ბანაკის პირობებს. ამასთან ერთად მათი ორგანიზმი შიმშილისადმი უფრო მდგრადი იყო. შეიძლება ამის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ არ მუშაობდნენ ისე მძიმედ, როგორც კაცები. მუშაობდნენ, მაგალითად, ტანსაცმლის, სურსათის სანყობებში, სამზარეულოსა და საავადმყოფოებში. ეს მათ დამატებითი საკვების, ან სხვა რამის, მოპოვების საშუალებას აძლევდა, რასაც შემდეგ სავაჭრო გარიგებითვის იყენებდნენ. ამის წყალობით მათი გარეგნობა (ტანსაცმელი) მკვეთრად განსხვავდებოდა კაცებისაგან. ასევე მიმაჩნია, რომ ბევრად უფრო გამძლე იყვნენ ფსიქიკურად და უკეთ ახერხებდნენ თავიანთი „თავისუფალი დროის“ ორგანიზებას. ისე ხშირად არ ტყდებოდნენ ნერვიულად, როგორც კაცები.

თითქმის ყველას სწყუროდა სახლში დაბრუნება. თუმცა ზოგიერთი, როგორც უკვე აღვნიშნე, ტყდებოდა და კვდებოდა. ისინი, ვისაც სჯეროდა სახლში დაბრუნების, ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ოპტიმისტებად და პესიმისტებად. პესიმისტებს ბანაკიდან სახლში დაბრუნება „მომაკვდავად“ (დოხოლიაგა) წარმოედგინათ - IV კატეგორიის ჯანმრთელობის ადამიანად, შრომისუუნარო, სრულიად გამოფიტული ორგანიზმით, რომელსაც „მუსულმანს“ ეძახდნენ. თვლიდნენ, რომ, თუ ვერანაირი სამუშაოს შესრულებას ვერ შეძლებდნენ, გამოუსადეგარნი იქნებიან და საბჭოთა ხელისუფლება სახლში გაუშვებდა.

ზოგერთი შიმშილით შეგნებულად იკლავდა თავს, სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ ორგანიზმის გამოსაფიტად, მაგ.: სჭამდნენ საპონს, სვამდნენ გადაუდებლებელ წყალს, ენეოდნენ დიდი რაოდენობით პაპიროსს, ელოდებოდნენ გამომფიტავ ფალარათს - „პანოს“. თუმცა დიდი მასა ფაქტიურად თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას მხოლოდ ბანაკის პირობებს „ემადლეერებოდა“. პატიმრები ისე იყვნენ დაუძლურებულები, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ. კვდებოდნენ

133 M. Nowicki, Moja wielka..., გვ. 97.

ზედ წასვლის წინ, მაგ.: სუფთა ტანსაცმელის მიღებისას, ნაკადულში ბანაობისას, გზაში უკან დაბრუნებისას. მაგრამ მაინც უმეტესობა ყოველი ძალით იბრძოდა გადასარჩენად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

სვბ 0331-ის შემთხვევაშიც, ბანაკის ანგარიშის ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო, ძნელია იქიდან გათავისუფლების საკითხის სრულად დადგენა. მხოლოდ რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ლას-ში ჩატარებული შეკითხვების საფუძველზე.

პირველი, გათავისუფლების პროცესი N1 და N3 ქვებანაკებში ერთდროულად ხორციელდებოდა. ეფუძნებოდა სსრკ შსსკ 1945 წლის 11 აგვისტოს N135-ე დადგენილებას (მსგავსად სვბ 0321). მას ავსებდა სვბ 0331 გამგეობის 1945 წლის 23 აგვისტოს ბრძანება, ხოლო შემდეგ 1946 წლის 25 მაისის N3. მათ საფუძველზე შექმნილი ჯანმრთელობის კომისია ფუნქციონირებდა 1945 წლის დეკემბრიდან და ათავისუფლებდა პატიმრებს 1947 წლის თებერვლამდე. ის ეხებოდა მხოლოდ ხანდაზმულებს, ან ჯანმრთელობის III კატეგორიას და ასევე ორსულ ქალებს (ორსულობის მე-6 თვიდან). ერთ შემთხვევაში გაათავისუფლეს პოლონელი ქალი, რომელიც გათხოვდა სომეხ პატიმარზე.

პირველ პერიოდში გათავისუფლდნენ ლიეტუელები, არა მხოლოდ ვილნიუსიდან, არამედ დანარჩენებიც (ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად). ეს დაკავშრებული იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის აპრილის N 843-34235 დადგენილებასთან. ის შეავსო სსრკ შსსკ 1946 წლის 19 აპრილის ბრძანებამ, რომელშიც ნათქვამი იყო „ ლატიველების, ესტონებისა და ლიეტუელების დაბრუნების შესახებ“¹³⁴. როგორც ვიცე-პოლკოვნიკ ალექსინსკის, გულაგში მოთავსებულთა აღწერისა და რეგისტრაციის განყოფილების უფროსის, ინფორმაციიდან ცნობილია, 1946 წლის 10 მაისის მდგომარეობით ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლობაზე იმყოფებოდა 1031 ადამიანი, ნახსენები სამი ეროვნების. საკონტროლო ვადის დასრულების შემდეგ ისინი ბანაკიდან უნდა გაეთავისუფლებინათ და გაეგზავნათ, როგორც თავისუფლად დასაქმებულები, სამუშაოზე, რასაც შეასრულებდნენ ბანაკში („საკუთარ ქვეყანაში“ გაგზავნის პერსპექტივით)¹³⁵.

ზემოაღნიშნული ბრძანებების შესაბამისად ვილნიუსის ნაკადიდან გათავისუფლდნენ და გააგზავნეს ქუთაისის მშენებლობის მე -11 გამგეობის „კადრების განყოფილებაში“ (კგ) მაგ. 1946 წლის 16 ივლისს - იოუზას ვინიავიჩუსი (დაბ. 1927 წ.), 29 ივლისს - ფრანჩიშეკ ტიზენჰაუზი (დაბ. 1928 წ.). სავარაუდოდ, იმავე გადანყვეტილების ძალით ვილნიუსში, უკვე მაისში, გააგზავნეს- გიენა გაიდამოვიჩუტე (დაბ. 1922 წ.) და, სრულიად სარწმუნოდ, 30 აგვისტოს შემდეგ - სტანისლავ საულენსი (დაბ. 1919 წ.)¹³⁶.

134 რუსეთის სახელმწიფო სამხედრო არქივი (მემდგომ: რსსა)

135 რფსა sygn. 9414—1-1248, ფურც. 57.

136 ლსა, პს. 11768, ფრც. 4; პს. 9533, ფრც. 6; პს. 38672, ფრც. 17; პს. 18983, ფრც. 10.

გათავისუფლების საკითხს სრულიად ადასტურებს შემონახული კორესპონდენციები და პატიმრების მოგონებები. ცნობილია, რომ 1946 წლის ოქტომბერში გაიგზავნენ ლიეტუველები ჯანმრთელობის IV (III) კატეგორიით. ბანაკში უკვე სერიოზული ცვლილებები იწყებოდა, ხოლო აგვისტოში;

„ლიეტუველები და ლატვიელები მალე წავლენ და უკვე ბევრი გაემგზავრა. მოლდოველები გავიდნენ სამუშაო ბატალიონში. ლიეტუველები ბადრაგის გარეშე დადიან, მაგრამ ბანაკში სძინავთ“¹³⁷.

მთელი ეს პროცესი, როგორც წყაროებიდან ირკვევა, 1946 წლის ოქტომბერში დასრულდა. გასამგზავრებელ პატიმრებს ახალ ტანსაცმელს და ფულს აძლევდნენ. ზოგიერთ მათგანს პოლონელები გადასაცემ წერილებს ატანდნენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ქმედებები რუსი და კავკასიელი ეროვნების დანარჩენ პატიმრებზეც ვრცელდებოდა. სავარაუდოდ, ერთდროულად მიმდინარეობდა, მაგრამ ცნობილია მხოლოდ, რომ:

„ამ დღეებში (1947 წლის თებერვლის დასაწყისი - დ. რ.) რუსების ნაკადი (1290 ადამიანი) შუა აზიაში, სტალინბადში (ახლანდელი დუშანბე - დ. რ.) გაემგზავრა. ყოველდღე თავისუფლდებიან შრომითი ბანაკიდან“¹³⁸.

ამ ადამიანების უმრავლესობა, როგორც თავისუფლად დასაქმებულები, ქუთაისში დარჩა. ზოგიერთი მათგანი ბადრაგის ფუნქციას ასრულებდა ყოფილ "თავის" ბანაკში. ეს ირიბად გამომდინარეობდა 1946 წლის 20 აპრილის სსრკ-ს შსსკ დირექტივიდან. იგი ეხებოდა იმ რეპარტიანტების ფილტრაციის დასრულებას, რომლებიც გერმანიის ფორმირებებში 1946 წლის 1 ივნისამდე მსახურობდნენ და მათ სპეცდასახლებაში გადაეცემას. ასეთი ყოფნის ხანგრძლივობა ექვსი წლით განისაზღვრა. კანონის თანახმად, როგორც დოკუმენტშია განმარტებული, ისინი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდნენ, მაგრამ, გერმანიაზე გამარჯვების გამო, მათ მიმართ გულმონყალება გამოიჩინეს. თითოეული მათგანი, მუშაობაზე უარის თქმის, რეჟიმის დარღვევის და ბანაკიდან გაქცევის შემთხვევაში, ექვემდებარება სასამართლო პასუხისმგებლობას და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს“¹³⁹.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლონელებს ზოგადად შსსკ-ის 1945 წლის N 135-ე ბრძანება ეხებოდათ. გათავისუფლება 1946 წლის იანვარში დაიწყო და გამომდინარეობდა სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილებიდან. პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა და მოიცავდა თითქმის მხოლოდ ჯანმრთელობის სერიოზული გართულების მქონეთ, ძირითადად, ხანდაზმულ ადამიანებს. ცნობილია, რომ: 1948 წლის აგვისტოში ბანაკი დისტროფიის გამო დატოვა ფრანჩიშეკ ბივან-მა (დაბ. 1903 წ.) და ჩესლავლ რეკშიშა (დაბ. 1899 წ.). III კატეგორიას მიაკუთვნეს

137 ძმები გერეესკების 1946 წლის 21 აგვისტოს წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

138 ძმები გერეესკების 1947 წლის 2 და 6 თებერვლის წერილები (ასლი ავტორის ფონდში).

139 სავარაუდოდ, მათი უმრავლესობა იმყოფებოდა ქუთაისში ასეთი წესების გათვალისწინებით, მაგრამ ნაწილი ნაიყვანეს საბჭოთა კავშირის სიღრმეში. პატიმრების ამ კატეგორიას შეეხო კიდევ რამდენიმე სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის გადაწყვეტილება და შსსკ-ს ბრძანებები.

ასევე ევგენიუმ ხელინსკის (დაბ.1915 წ.), გაათავისუფლეს 1947 წლის თებერვლის ბოლოს. სავარაუდოდ, იგი ეკუთვნოდა ქუთაისიდან მარტის აჯანყებამდე, წამსვლელი უკანასკნელი პოლონელების ჯგუფს¹⁴⁰.

ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენდა გრეგოჟ კობოცკი (დაბ. 1921 წ.), რომელიც 1925 წლის 10 იანვარს გაათავისუფლეს, როგორც ყარაიმი (ის არ იყო დისკროფიული).

საბჭოთა ხელისუფლების ზემოთ აღწერილი მოქმედებები გასაგებია. უპირველეს ყოვლისა, მათ სურდათ მუქთა მუშახელის მაქსიმალური რაოდენობა. მეორეც, მძიმე ავადმყოფების გაგზავნით ბანაკში სიკვდილიანობა მცირდებოდა. ქუთაისში კი ეს მაჩვენებელი სულაც არ იყო ყველაზე დაბალი. რა თქმა უნდა, ისინი ცდილობდნენ სავადმყოფოებში ემკურნალათ, მაგრამ, როგორც ცნობილია, მათი შესაძლებლობები შეზღუდული იყო. მაშინ, როდესაც, პატიმრის გარდაცვალება, უკან სახლში დასაბრუნებელ გზაზე, ბანაკის ადმინისტრაციას აღარ ეხებოდა.

თავდაპირველად, ათავისუფლებდნენ უფრო დიდ ჯგუფებად. მოგვიანებით, ეს უკუაგდეს და ინდივიდუალურად ან რამდენიმე ადამიანს ერთად აგზავნიდნენ. ამის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ბანაკში, ერთ-ერთ შეკრებაზე, პოლიტოფიცრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია:

"მოსკოვიდან მოვიდა ამბები, რომ სტალინმა აკრძალა ავადმყოფი პოლონელების ბანაკებიდან გათავისუფლება, რადგან ჩონჩხებს ჰგვანან, ხოლო მოსკოვის გავლით მგზავრობისას პოლონეთის საელჩოში შედიოდნენ დახმარების სათხოვნელად და მოსკოვის ქუჩებში თავისი გარეგნობით სტალინის ხელისუფლებას ამხელდნენ იმაში, თუ როგორ ეპყრობა უდანაშაულო პოლონელებს"¹⁴¹.

ვფიქრობ, რომ ამ გამონათქვამში მცირე სიმართლე უნდა იყოს - პატიმრების გარეგნობისა და პოლონეთის საელჩოსთან მათი კონტაქტის შესახებ. ამავე დროს ეს არის იდეალური საბაბი ბანაკში პოლონელების დატოვების, მიუხედავად იქიდან სხვა ეროვნების ჯგუფების გაგზავნისა.

არსებობს ინფორმაცია იმ ხალხის გათავისუფლების შესახებ, რომლებიც დათანხმდნენ, მიეღოთ საბჭოთა მოქალაქეობა და დარჩენილიყვნენ სსრკ-ს ტერიტორიაზე. თუმცა მონაცემების არ არსებობის გამო შეუძლებელია, განისაზღვროს ამ ჯგუფის ოდენობა. მაგალითად, შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ლ.გ.¹⁴² - პროფესიით ჟურნალისტი, გათავისუფლებული ქუთაისიდან 1947 წლის თებერვალში მთავარი დისციპლინარული კომისიის (მდკ) 1945 წლის 18 აგვისტოს N 9871 დადგენილება და სსრკ შსს 1946 წლის 20 აპრილის N 97 დირექტივები.

140 ლსა, პს. 10422, ფურც. 6.

141 A. Puzewicz, Wspomnienia... გვ. 86.

142 ვინაიდან ჩათვალეს რომ ლ. გ. გაიარა ფილტრაცია პირველი კატეგორიის მიხედვით, როგორც საბჭოთა მოქალაქემ. გაუშვეს ერთთვიან სამუშაოდ GUAS მშენებლობის მე-11 ZARZĄD-ის კადრების განყოფილებაში. მისი განთავისუფლების ბრძანებას ხელი მოაწერა, 1947 წლის 31 იანვარს, მაიორმა მიენტიეშაშვილმა და დაამტკიცა 5 თებერვალს OCZO UITK-ს უფროსმა პოლკოვნიკმა მელაქემ. მისი შემფგომი, 1947 წლის მარტიდან, აგენტურული საქმიანობის გამო არ ვამყლავნებ ლსა-ს საარქივო სიგნატურას

ზემოაღნიშნული დადგენილება ეხებოდა „მრეწველობის მუდმივი კადრისთვის“ გერმანელთა ტყვეობიდან გათავისუფლებული და ფილტრაცია გავლილი ყოფილი წითელარმიელების გადაცემას და ასევე გარკვეული კატეგორია საბჭოთა რეპატრიანტებისა დასავლეთ ევროპიდან. პოლონელებიდან ეს ეხებოდა იმ პირებს, ვინც საბჭოთა მოქალაქეებად ითვლებოდნენ¹⁴³.

გამოყენებული წყაროები მიუთითებენ, რომ 1946 წლის ბოლომდე და 1947 წლის დასაწყისში, ზოგადად, ბანაკიდან იგზავნებოდნენ ავადმყოფი და ხანდაზმული ხალხი. სავარაუდოა, რომ ეს იქნებოდა 350-ზე მეტი ადამიანი.

ასევე ქუთაისში, პოლონელების ყოფნის პერიოდში, არ წყდებოდა შუამდგომლობები, პატიმრების ოჯახების თხოვნები - ბანაკიდან მათი ნათესავების გათავისუფლების შესახებ. რა თქმა უნდა, "საჩივრის" პროცედურა რთული იყო. წერილები, როგორც წესი სტალინისადმი მიმართული, გადიოდა სტანდარტულ სამსახურებრივ პროცედურას და მასთან არასოდეს აღწევდა. ხვდებოდა სამდივნოში და შემდეგ კი მოსკოვის შსსკ გულაგის ოპერატიულ განყოფილებაში. იქიდან ხელმოწერილი, სხვათა შორის განყოფილების უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ კოგენმანის და ასევე ამ განყოფილების მე-7 ფილიალის უფროსის მოადგილის, უფ.ლეიტ. სადიკოვის მიერ, იგზავნებოდა შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც ბანაკები იყო განთავსებული. ისინი ეგზავნებოდნენ შტაბს ოჩგ -ის ხელმძღვანელებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ პოლკოვნიკი მელაძე იღებდა თბილისში. გაცნობის შემდეგ, ცნობისათვის შესაბამის ბანაკებში გადასცემდნენ ადგილობრივი ოჩგ ორგანოებს.

სწორედ ასეთი გზა გაიარა პოლონეთიდან 1946 წლის 2 დეკემბერს გაგზავნილმა სამოცდათექვსმეტი წლის ფრანჩიშეკ ჰ-ს თხოვნამ, მისი შვილის ალფონსის საკითხთან დაკავშირებით. მამის წერილი, საგსე სინანულით, შემფოთებითა და შვილზე ზრუნვით, რომელიც ასახავს ოჯახისა და მოხუცი მშობლების მძიმე მდგომარეობას, ვერ მოიტანდა სასურველ შედეგს¹⁴⁴.

ოჯახების უმრავლესობა პასუხად ლებულობდა მხოლოდ მაგ.: მათი შვილების დაკავების მიზნის განმარტებას. ასეთ სიტუაციას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, გერევესკების ოჯახში. ფ.გერევესკის თხოვნა, მისი ორი ვაჟის საქმეზე მიუვიდა საქართველოს სსრ შსს შტაბს პროკურორს, სასამართლოს უფროს მრჩეველს კადუგინს. ბანაკის ხელისუფლების მიერ გაგზავნილი წერილი განმარტავდა, რომ რომუალდ და იულიუს გ. გადიან სახელმწიფო შემონმებას (სახელმწიფო ფილტრაციას) და მისი გავლის შემდეგ, გაუშვებენ სახლში¹⁴⁵.

ცხადია, ქუთაისის ბანაკში, ისევე როგორც უწინდელში, ტარდებოდა პატიმრების დაკითხვები. რაც, სავარაუდოდ, დაიწყო პოლონელების აქ ჩამოყვანიდან

143 ამ გადანაცვტილებას ეხებოდა ასევე 1945 წლის 8 სექტემბრის შსსკ-სუსკ და „სმიერშ“-ის საერთო ბრძანება N 001027/00381/00169 s"cz".

144 ლსა. პს. 23947, ფურც. 8—10.

145 საბუთი ხელმოწერილია 1946 წლის 28 აგვისტოს, სფბ N0331-ის ხელმძღვანელობის უფროსის მოადგილის, უმც. პოლკოვნიკი კობეშავიძეს და რეგისტრაციის განყოფილების უფროსის, ლეიტ. სიერენკოს მიერ. საბუთებში არ არის ჩანანერი თუ როდის დამთავრდა ფილტრაცია.

მოკლე ხანში. უმთავრესად ივსებოდა ანკეტები „სმერშ“-ის - კონტრდაზვერვის განყოფილების, რომლის უფროსი N1 ქვებანაკში 1945 წლის დეკემბრამდე იყო კაპიტანი დოლგი, ხოლო ოპერატიული თანამშრომელი უფ.ლეიტ. კონიუხოვი. სვბ N0331 ოჩგ-ს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი 1946 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე იყო მაიორი სუჯიაშვილი, ხოლო შემდეგ მაიორი მენტეშაშვილი. ამას გარდა ოჩგ თანამშრომლები იყვნენ: უფ.ლეიტ. სკვირა, ასათიანი, თვალჭრელიძე, უმც.ლეიტ. სავინიხი და უფ.სერჟანტი ტულიანი.

ერთ-ერთი პირველი დაკითხული (უკვე 1945 წლის 31 ოქტომბერს) იყო ფელიქს უტოროვიჩი. გამოძიების პროცესი მდორედ მიმდინარეობდა. სერიოზული ცვლილება და დაკითხვების სიხშირის ზრდა დაიწყო 1946 წლის დამდეგიდან. განსაკუთრებით გახშირდა თებერვლიდან, როდესაც, სავარაუდოდ, ჩამოვიდა კომისია სულ მცირე რამდენიმე გამომძიებელი ოფიცრის შემადგენლობით. ისინი ალბათ ატარებდნენ პატიმრების უმრავლესობის „გამოკვლევას“. ისევე, როგორც წინა ბანაკებში ავსებდნენ პერსონალურ კითხვარებს და დამატებით ანკეტებს. იძლეოდნენ სტანდარტულ კითხვებს სამამულო არმიისა და ახლო ნათესაეების შესახებ. ზოგიერთს ეკითხებოდნენ უკან დაბრუნების გეგმების შესახებ (ვილინიუსში ან პოლონეთში გამგზავრება). ამას სრულად ადასტურებს ლსა პერსონალური საქმეების საარქივო გამოთხოვნები. განსაკუთრებით ეს ეხება ქალებს. აქედან გამომდინარეობს, რომ გამოძიება მიმდინარეობდა თებერვლიდან მარტის ბოლომდე. მაგრამ ამ პერიოდის საბუთებში ვერ აღმოვაჩინე დაკითხვის ოქმები.

გამოძიების დამთავრების შემდეგ - 1946 წლის აპრილი - მგონი (?) გადაწყდა, რომ პოლონელების მთელი კონტინგენტი გათავისუფლებას ექვემდებარებოდა¹⁴⁶. როგორც საბჭოთა წყაროებიდან გამომდინარეობს, 1946 წლის დამდეგიდან გაძლიერდა მეორე ჯგუფის ფილტრაციის პროცესიც. ვვარაუდობ, რომ მასში აღმოჩნდნენ პოლონელებიც. ძნელია ამ წუთას მტკიცება, იყო თუ არა ეს დაკავშირებული პოლონელების საერთო „ფილტრაციასთან“ და ითვალისწინებდა თუ არა რაიმე სახის ცვლილებას ამ ჯგუფისთვის. ქალების იმ ათეულ შემთხვევაში, როდესაც ანკეტები შევსებული იქნა 1946 წლის მარტში, მათი ბანაკიდან გათავისუფლება ხდებოდა 1946 წლის აპრილ - ივნისის პერიოდში. თუმცა მიმაჩნია, რაც ზემოთ აღვნიშნე, რომ ეს უკავშირდებოდა მათი ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, დაკითხვები გრძელდებოდა და ზოგი ადამიანის მიმართ უფრო გაღრმავებულ ხასიათს იღებდა. მაგალითად გამოდგება, გრეგოჟ კობცკის საქმე, რომელიც, როგორც ყარაიმი, სავსებით და სრულიად თავს პოლონეთის მოქალაქედ თვლიდა. მან ასევე მოტივირებული წერილით, 1946 წლის 25 მაისს,

146 რფსა sygn. 9401-1-173, ფურც. 38. ეს ასე იქნა ჩამოყალიბებული პოლონელების 1947 წლის 28 მაისის წერილში, უკვე შემდეგი ბანაკიდან - ასტრახანიდან, შსს-ს მინისტრს - კრუგლოვს. თუმცა ავტორი ეჭვობს, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ კომისიას მიეწოდებინა ასეთი დასკვნები პატიმრებისთვის.

მიმართა ბანაკის ხელმძღვანელობას. კობეცკის საქმეზე გამოძიებამ რამდენიმე ადამიანი გამოკითხა. კითხვები, მისი საქმიანობის შესახებ, გერმანული ოკუპაციის პერიოდში, თანაპატიმრებს დაუსვეს 1946 წლის 14 და 30 ოქტომბერს, მაგ.: ბოლესლავ გლოვაცკის და ჩესლავ ნარუცკის, ვისთან ერთადაც კობეცკი ვილნიუსში მუშაობდა. 1946 წლის 16 და 19 ნოემბერს დაკითხვები ჩაატარეს ასევე ვილნიუსის უშიშროების ორგანოებმა. იქ დაკითხა კობეცკის ოჯახის თავისუფლებაში მყოფი სამი წევრი, მათ შორის მისი და ოლგა (კობეცკა) იუტკევიჩი. კობეცკის უკანასკნელი „კვლევა“ ჩატარდა 1946 წლის 24 დეკემბერს და ვერ გამოვლინდა ვერანაირი „მაკომპრომენტირებელი“ მასალა¹⁴⁷.

ბევრი პატიმრის შესაფასებლად, ბანაკის ხელმძღვანელობისთვის, სავარაუდოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორ საბუთს. ისინი ჩნდება, როგორც ნყარო, მხოლოდ 1947 წლის დასაწყისიდან. პირველი - ე.წ. სანარმოო დახასიათება (პროოზგოდსტვენნაია ხარაქტერისტიკა), ხელს აწერენ კაპ. ქაჯაია და ასევე ბანაკის უფროსის მოადგილე პროდუქციის საკითხში უფ. სერჟანტი კნიშოვი. ეს არის პატიმრის მიერ ბანაკში შესრულებული ფუნქციების მოკლე აღწერა, განმარტავს მის დისციპლინირებულობასა და მასზე დაკისრებულ სანარმოო ამოცანებს.

მეორე - არის „სპრავკა“ (ცნობა) სრული პირადი მონაცემებით, შესრულებული, ჩვეულებრივ „დახასიათების“ ხელმოწერის შემდეგ, რამდენიმე დღეში, ხელმოწერილი მაიორი კალანტაროვის მიერ. მასში აღწერილი იყო მოცემული პატიმრის წარსული და ბანაკში გამწესების საფუძველი (მაგ.: მისი ჩინი და საქმიანობა აკ-ში, ეჭვები გესტაპოსთან თანამშრომლობის შესახებ, წითელ არმიასი სამსახურისგან თავის არიდება, მისი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ა.შ.). შეიცავს ინფორმაციას გამოძების მიერ შეგროვლი მასალების „ხარისხის“ შესახებ - უმეტესად „მაკომპრომენტირებელი“ მტკიცებულებების არ არსებობას, ასევე პოზიტიურ ან ნეგატიურ ზოგად „ადმინისტრაციულ დახასიათებას“. ეჭვს გარეშეა, კალანტაროვი იძულებული იყო პერსონალურ საქმეში არსებული გამოძიების მასალები გულდასმით შეესწავლა. შეიძლება ამაში მას ეხმარებოდა კაპ. ქაჯაიას ინფორმაცია. თუმცა ძნელია, განისაზღვროს მომზადებული საბუთების ფაქტიური მიზნები და ბანაკის ხელისუფლების მიერ მათი გამოყენების ხარისხი¹⁴⁸.

ასევე საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს ბანაკში აგენტურულ საქმიანობაზე. ზოგიერთი ასპექტი წარმოვადგინე გაქცეულების საკითხის განხილვისას. ამ საფრთხის ლიკვიდაცია, გაქცევის ვადაზე ადრე გამოაშკარავება, წარმოადგენ-

147 კობეცკი გაანთავისუფლეს 1947 წლის 10 იანვარს და სავარაუდოდ გაემგზავრა პოლონეთში. მისი ოჯახის უმრავლესობამ, გარდა ცოლისა, დატოვის ვილნიუსს უკვე 1945 წ. ლსა, პს. 9881. ფურც. 23, 33—44.

გლოვაცკი (დაბ. 1906 წ.) მოხდა 1947 წ. ასტრახანის ბანაკში და ჩ. ნარუცკი (დაბ. 1912 წ.) ბოროვიჩების ბანაკში. პირველი გაათავისუფლეს 1948 წ., ხოლო მეორე - 1949 წლის დასაწყისში. Uwzięni w Donbasie..., გვ. 187, 271. მათი შემდგომი ბედი ჩემთვის უცნობია.

148 ვერანაირი დამატებითი ინფორმაცია ვერ ვიპოვე მაიორ კალანტაროვზე, რომელიც გვევლინება როგორც საკმაოდ იღვწალი პიროვნება. მის გეგარს არ ახსენებენ მონემები და არც სხვა საბჭოთა საბუთები.

და დაზვერვის ჯგუფის მთავარ ამოცანას. ამაზე განსაკუთრებით მიუთითებდა ორგ უფროსი მენტეშაშვილი. დამსმენების საქმიანობის სხვა ასპექტს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების საკითხი და მისდამი მტრულად განწყობილების გამოვლენა. 1945 წლის 11 მარტის ერთ მოხსენებაში ასეთ საქმეზე ინფორმაციას იძლეოდა „დარკუს“ (ორიგინალური დამწერლობა);

„აგენტი იტყობინება, რომ სვბ 0331-ში ცხოვრობენ მ.ვ. და მ.ლ. ისინი დები არიან. მ.ვ. მტრულადაა განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას, აქებს ფაშისტურ წესებს და ამბობს, რომ „გერმანულენის დროს კარგად ვცხოვრობდი, ისინი ჩვენ გვაჭმევდნენ, გვაცმევდნენ, გვაძლევენ თავისუფლებას.“ (...) ჩვენ აქ შიმშილით ვკვდებით, ტიტვლები და ფეხშიშველები დაგვივართ“¹⁴⁹.

ასეთი სახის მოხსენება არ წარმოადგენდა ცალკეულ შემთხვევას. მსგავსი შინაარსისაა აგენტი იაკუბოვის 1946 წლის 20 აგვისტოს მოხსენება:

“1946 წლის 12 აგვისტოს აგენტი ელაპარაკა „მეორე ობიექტის“ კანტორაში ლ.გ.-ს. მან სთქვა, რომ, თუ მას არ გაათავისუფლებენ ნახევარი წლის განმავლობაში, მაშინ გაიქცევა. აგენტი შეეცადა გაეგო, როდის აპირებს გაქცევას და ვისთან ერთად, მაგრამ გ-მ აღარ გააგრძელა საუბარი.

(...) ლ.გ. სვბ 0331-ის N2 განყოფილებიდან ესაუბრებოდა ვილაც პოლონელს, მაგრამ, როცა აგენტი მათთან მივიდა, ისინი გაჩუმდნენ. გ. იმყოფებოდა „მეორე ობიექტზე“ ტექნიკურ პერსონალთან ერთად. იქ საუბრობდა, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი პოლონეთში, გერმანიაში და როგორ რუსეთში და ერთმანეთს ადარებდა. (...) კარგი ურთიერთობები აქვს ხალხთან და მისი ახლო მეგობრები არიან: ზ.კ., პოპოვი ნ., დიმიტრიევი ა.კ.“¹⁵⁰.

ქუთაისის სვბ 0331-ის აგენტურული ჯგუფის საქმიანობის ზოგადი შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია. საბჭოებმა (დამსმენების მეშვეობით) თავიდან აიცილეს პოლონელების რამდენიმე გაქცევა და განაგრძობდნენ „მაკომპრომენტირებელი“ მასალების შეგროვებას. ძირითადად ეს ეხებოდა საბჭოთა კავშირისადმი მტრულ განწყობას და მასში არსებული ხელისუფლების სისტემის მიუღებლობას. ხელმისაწვდომი საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ ოფიციალურად ბანაკიდან განთავისუფლებული იქნა (ავადმყოფობის გამო) ქალი, ფსევდონიმით „ჩორნაია“.

მინდა ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ ძალიან არსებით და უმთავრეს მოვლენას ბანაკში. მის საფუძველს წარმოადგენდა პოლონელების მდგომარეობა და სიტუაცია. ამ შემთხვევის განვითარებამ სრულიად გააოგნა ბანაკის ხელმძღვანელობა, ხოლო მოგვიანებით თავად პატიმრები.

149 ლსა (არ ვამყლავნებ პერსონალურ საქალაღდეს).

150 ლსა (არ ვამყლავნებ პერსონალურ საქალაღდეს). ლ.გ. განთავისუფლეს 1947 წ., მაგრამ მან თვითონ დაიწყო აგენტურალური თანამშრომლობა ვილნიუსის ერთ-ერთ გაზეტში.

საკითხი ეხება 1947 წლის 24 მარტს ბანაკში დაწყებულ აჯანყებას. რა თქმა უნდა, მისი მიზეზი იყო დაპატიმრებული პოლონელების მზარდი ფრუსტრაცია და დათრგუნული მდგომარეობა.

მრავალი თვის განმავლობაში სიტუაცია ქუთაისში არავითარი გაუმჯობესების იმედს არ უტოვებდა პოლონელებს. თითქმის არავინ გაუთავისუფლებიათ, ხოლო ყოფილი პირობები ბანაკში უმძიმესი იყო. იზრდებოდა პატიმრების აპათია და მოუთმენლობა. მათ შორის მრავლად იყო ნერვული დეპრესიის შემთხვევები. ამავე დროს, 1947 წლის თებერვლიდან, კიდევ უფრო გაუარესდა, თუმცა არასოდეს იყო სათანადო, კვების ხარისხი. ამ მოვლენებთან ერთად, პატიმრების შეკრებებზე და ცალკე ბრიგადირებთან, ოფიცრები საუბრობდნენ პოლონელების ქუთაისიდან მალე წასვლაზე. აცხადებდნენ ასევე შესრულებული სამუშაოსთვის ფინანსური ანგარიშსწორების შეცვლაზე. ერთ-ერთ შეკრებაზე ითქვა, რომ:

„25 თებერვლიდან, შენახვის ხარჯების გამოკლების შემდეგ, ფულს მივიღებთ (პატიმრები - დ.რ.) ხელზე. გარდა ამისა, ისინი მუდმივად "ლაცებობენ", რომ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვტოვებთ საყვარელ ქუთაისს. პოლიტრუკმა ასევე თქვა, რომ შესაძლოა, მოგვიხსნან ბადრაგი. (...) ძვირფასო მშობლებო, ჩაენერეთ პოლონეთში გამგზავრებაზე და დაელოდეთ ჩვენს იქ ჩამოსვლას“¹⁵¹.

ნერილის ამ ფრაგმენტთან დაკავშირებით საჭიროა, განიმარტოს ორი საკითხი. პირველი - პოლონელებს ისევ შეიარაღებული ბადრაგი იცავდა და ისინი ისევ პატიმრობაში იყვნენ. ეს არასოდეს შეცვლილა. მეორე - სამუშაოს ანაზღაურება, ქუთაისის პერიოდში (როგორც მონათხრობიდან ირკვევა), ეძლეოდა მხოლოდ ზოგიერთს. აქამდე მხოლოდ ოთხ ასეთ შემთხვევას გადავანყდი. ვთვლი, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა გონებრივი შრომით დასაქმებულებს და ტექნიკურ ჯგუფს. რა თქმა უნდა, გადახდის საფუძველი იყო უმაღლესი ფაქტორების რეკომენდაცია. სავარაუდოდ, სამუშაოების ხელმძღვანელის თხოვნით, გარკვეული ბრიგადებისთვის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებული მიღწევებისთვის. გადახდა ხდებოდა ალბათ 1946 წლის აგვისტო-სექტემბერში, ერთ-ერთმა პატიმარმა (ხარჯის 209 მანეთის გამოკლების შემდეგ), 1946 წლის ივნისისთვის 90 მანეთი აგვისტოში მიიღო. ხოლო ნოვიცკის სექტემბერში მისცეს 75 მანეთი და დაპირდნენ რეგულარულ სამუშაოს. ვფიქრობ (წყაროებში ინფორმაცია არ არსებობს), რომ ქუთაისში ყოფნისას პოლონელთა უმრავლესობას არანაირი ფული არ მიუღია.

შემდეგი საკითხი, რომელიც ამწვავებდა ისედაც მწვავე განწყობას, დაკავშირებული იყო საბჭოთა მოქალაქეების გათავისუფლებასთან, რომელიც ხდებოდა მთელი 1946 წლის პერიოდში (რაზეც ზემოთ აღვნიშნე). ის ხალხი, ლიტუველები, ლატვიელები, უკრაინელები და, უპირველეს ყოვლისა, სსრკ-ს აზიური რესპუბლიკების მოქალაქეები 1946 წელს სისტემატურად ტოვებდნენ ბანაკს. პო-

151 ძმები გერეუსკების 1947 წლის 25 თებერვლის ნერილი (ასლი ავტორის ფონდში).

ლონელებისთვის ეს სრულიად გაუგებარი იყო, იმათი ნაწილი ხომ პროგრემანულ ნაწილებში მსახურობდა. რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი გამოძიების შემდეგ ღებულობდა სასჯელს და ისინი საბჭოთა სახელმწიფოს სიღრმეში გადაჰყავდათ, მაგრამ ნაწილი იგზავნებოდა მშობლიურ მხარეში.

პოლონელებს უწინდებოდათ კითხვები: რატომ ისინი და არა ჩვენ? კიდე რამდენი ხანი ვიქნებით დაკავებულები განაჩენის ან ბრალდების გარეშე? პირველები ვიბრძოდით გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, არ ვთანამშრომლობდით მათთან და მაინც ჩაგვსვეს ბანაკში. ვმუშაობთ მძიმედ, ბადრაგით და შეიარაღებული დაცვის ქვეშ, ვართ ცუდ ყოფით პირობებში, ვიტანთ გამუდმებულ შიმშილს - რისთვის? ბევრი გარდაიცვალა და თითქმის ყველამ გადაიტანა სხვადასხვა დაავადება - რით დავიმსახურეთ ეს?

ცხადია, აღნიშნულ პერიოდში მრავალი ჭორი ვრცელდებოდა, დაკავშირებული პოლონელების გათავისუფლებასთან. მათი მხოლოდ მცირე რაოდენობა იქნა, ფაქტიურად გათავისუფლებული. კრებებზე, რომლებსაც ატარებდნენ საბჭოთა ოფიცრები, უცხადებდნენ, რომ „რიგში“, ლიტუველების და ლატვიელების შემდეგ, ნამდვილად პოლონელები არიან. მოწმეთა ნაამბობიდან გამომდინარეობს, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ შეხვედრებზე ჰპირდებოდნენ სწრაფ გათავისუფლებას. ძალიან ხშირად ასეთ განმარტებებს აკეთებდა ბანაკის უფროსი.

გავიდა 1946 წელი, მაგრამ პოლონელების სიტუაცია არ შეცვლილა. დადგა შემდეგი - 1947 წელი, მაგრამ მათ ესმოდათ მხოლოდ ადმინისტრაციის ცარიელი სიტყვები. პატიმრებს აღარ სჯეროდათ ეს დეკლარირებული ლოზუნგები და დაპირებები ბანაკის სწრაფი დატოვების შესახებ. მათ შორის იზრდებოდა ბრაზი და მოუთმენლობა. დაიწყეს ლაპარაკი და პოსტულირება კონკრეტული მოქმედებების დაწყებაზე. ადამიანებისთვის უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა შიმშილით მოკვდებოდნენ თუ სხვა რამით.

გამოყენებულ წყაროებში არსებული განსხვავებების გამო დღეს კვლევები გართულებულია და ძნელია დადგენა, რომელმა ჯგუფმა, კაცების თუ ქალების, ¹⁵² დაიწყო პროტესტი. ასეთივე პრობლემა იქმნება ორგანიზატორების და ამბოხების ხელმძღვანელების დადგენაში, თუმცა აქ რამდენიმე გვარი იკვეთება ¹⁵³.

152 ს. ზავისტოვსკი მიუთითებს, რომ 21 მარტს (პარასკევს) საპროტესტო ინიციატივა დაიწყო ქალებსგან, კერძოდ „პოლონელი ქალების ჯგუფიდან, რომელსაც ინტელიგენცია „კოლხოზს“ უწოდებდა. როგორც საზოგადოების ყველაზე მიმწოლი ნაწილი ... მამაკაცები მათ ორშაბათს შეუერთდნენ. S. Zawistowski, Wspomnienia..., გვ. 110. მსგავს ვერსიას იძლევა M. Nowicki, Moja wielko..., s. 95; K. Zienkiewicz, Wspomnienia..., გვ. 13-14; W. Romanowska (ქალიშვილობის გვარი კოზაკევიჩი), Najsmutniejsze wspomnienia..., გვ. 15.

153 პროტესტის ორგანიზატორებად დასახელებული არიან: მიხალ შიმილო, ლეშეკ კოლაკოვსკი, ზავისტოვსკი და ასევე ვრუბელი, P. Szwabowicz, Zachowaliśmy godność, (w:) J. Surwiłło, Ruchunki..., გვ. 42; J. Jankowski, Wspomnienia..., გვ. 21. გამოსაკვლევა, რადგან ნიგნში Uwzięzieni w Donbasie....გამოქვეყნებულ ოფიციალურ სიაში აკლია კოლაკოვსკისა და ვრუბელის გვარები, სტანისლავ ზავისტოვსკი, რადგან, საეარაუდოდ, იგი უნდა იგულისხმებოდეს. თავის მოგონებებში არ ადასტურებს საკუთარ მონაწილეობას.

ამ საკითხში ასევე მითითებული არიან: ევგენიუმ ზამახოვსკი, ედვარდ პნევსკი და ვლადისლავ პივოროვიჩი, რ.გვერდის 2000 წ. ივნისის წერილი ავტორისადმი.

ზოგადად, ამბოხების უმეტესი მონმე საუბრობს პროტესტში ყველა პოლონელის სპონტანურად მონაწილეობის შესახებ. სავარაუდოდ, მისი მიმდინარეობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა. მორიგი, საერთო შეკრება „პოლიტრუკთან“ (1947 წლის 23 მარტი, კვირა), სავარაუდოდ, ქალთა საპროტესტო აქციის გამო გამართა. საუბარი მხოლოდ პოლონეთში დაბრუნების შესახებ იყო¹⁵⁴. დარბაზიდან იკითხეს პოლონელების გათავისუფლებისა და მათი შემდგომი ბედის შესახებ, საბჭოთა ოფიცერმა ბუნდოვნად და მოზომილად უპასუხა. სიტუაცია დაიძაბა, ხალხი ღელავდა. იმ დროინდელ სიტუაციას ბანაკის საერთო ოთახში ბორტკევიჩი ასე აღწერს:

„მაშინ დარბაზიდან გაისმა კითხვა:

- სამუშაო გვაკავებს თუ არა?

ის ცოტა ხნით დაფიქრდა და თქვა:

- სამუშაო არ გაკავებთ.

დარბაზის რეაქცია იყო წამიერი.

- ხოდა, ჩვენ სამუშაოზე მეტი აღარ გავალთ!¹⁵⁵“

მომდევნო დღეს, ორშაბათს, ბანაკის მესაყვირე- კ. ჟენკევიჩმა, სამუშაოზე გასვლის საყვირის შემდეგ, დაუკრა პოლონეთის ჯარის საბრძოლო სიგნალი: „ძმებო, ბრძოლის დრო მოვიდა ...“. სამუშაო ბრიგადებად დამსკრივებული პოლონელები არც კი განძრეულან გასვლის სიგნალზე. ყველა დარჩა თავის ადგილზე¹⁵⁶. თვალის დახამხამებაში მოვიდა ბანაკის უფროსი კაპიტანი ქაჯაია, რომელმაც:

„როგორცკი მოვიდა დაიწყო ყვირილი „მაღე გადით სამუშაოზე. თქვენ რა გგონიათ, რომ თამაშს დაგინყებთ? თქვენ, ერთი მუჭა პოლონელები, გინდათ აუჯანყდეთ საბჭოთა ხელისუფლებას? შეგვიძლია ყველა დაგხვრიტოთ, ჩამოგახრჩოთ და არავინ არ დაგეხმარებათ და არც კი გაიგებენს. თუ გინდათ, იცოცხლოთ, მაღე გაინძერით და წადი სამუშაოზე“¹⁵⁷.

ამ პროტესტის განვითარების ამბები ცნობილია მხოლოდ მონმეების გადმოცემის და იმ დროინდელი მცირე მიმონერის საფუძველზე. ვიცით, რომ შინსახკომელები ძალიან ნერვიულობდნენ. რუსული ბრიგადები ჩვეულებრივად გავიდნენ სამუშაოდ, პოლონელები კი მიმოიფანტნენ ბარაკებში. „კომბატი“, მოადგილეებთან ერთად, შედიოდა მათთან და ცდილობდნენ პატიმრების დაყოლიებას, რომ დაენყოთ მუშაობა. ემუქრებოდნენ კარცერით და საჭმლის გაცემის შეჩერებით. ბანაკის კომენდანტმა, დაშინების მეთოდის წარუმატებლო-

154 თარიღად 1947 წლის 23 მარტს ასევე ასახელებს W. Piworowicz, *Trudno wierzyć w to, co się przeżyło*, (w:) J. Surwiłło, *Rachunki*. ... გვ. 7. მრავალი მონმე ამბოხების დასაწყისად ასახელებს 1947 წლისმარტის ბოლო - აპრილის დასაწყისს.

155 S. Bortkiewicz, *Wspomnienia*..., გვ. 7. იხილეთ: L. Perepeczko, *W łagrach*..., გვ. 168—170.

156 ბერი პატიმრის ნაამბობში ეს განსაზღვრულია გაფიცვად. ჩემი აზრით, გაფიცვა გამოწვეულია სურვილით, რომ გაუმჯობესდეს, მაგალითად, სოციალური ან ანაზღაურების პირობები. პოლონელების შემთხვევაში, ძირითადი მოთხოვნა იყო მათი პოლონეთში დაბრუნების თარიღის დასახელება. ამ მიზეზით, მე ამ პროტესტს ამბოხებას ვუნოდე.

157 A. Puzewicz, *Ucieczka po pobycie w trzech łagrach sowieckich*, „*My Sybiracy*“ 1998, N 9, გვ. 188.

ბის შემდეგ, შეცვალა ტონი და მოლაპარაკებები დაიწყო „აჯანყებულებთან“ და ჰპირდებოდა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, პურის რაციონის მომატებას, მუშაობის სანაცვლოდ ფულს და ძველი ხელფასის გაცემას. სთავაზობდა სამუშაო ნორმების შემცირებას და 5 მანეთს ყოველ ნამუშავერ დღეში. ამტკიცებდა, რომ პოლონელების გათავისუფლება ბანაკიდან - დღეების საქმეა, ვინაიდან საჭირო საბუთები უკვე გადაიგზავნა მოსკოვში. და პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტი. იმ დრომდე ყველამ უნდა იმუშაოს, ვინაიდან ამ სიტუაციამ შეიძლება ეს პროცესი მხოლოდ შეაფერხოს. მსგავს არგუმენტაციას ხმარობდა ქარხნის ხელმძღვანელობის დელეგაციაც, რომელიც, პატიმრების საერთო კრებაზე, ცდილობდა მუშაობის დაწყებაზე მათ დაყოლიებას.

რუსებს ბუნტის ჩახშობა რამდენიმე მიზეზის გამო სურდათ. პირველი - გაფიცული ბანაკის ხელმძღვანელობას შეიძლებოდა სერიოზული პრობლემები შექმნოდა ზემდგომებთან და ფაბრიკის დირექციასთან, სადაც პატიმრები იყვნენ დასაქმებულები. ბანაკი იღებდა ფულს განუხლები სამსახურის სანაცვლოდ და ახლა არ ასრულებდნენ დავალებას. მეორე - სამშენებლო სეზონი მიმდინარეობდა, ბუნტმა კი გამოიწვია სამუშაო ტემპის შენელება, რასაც შეძლება სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა. 1000 მუშის მოულოდნელი დანაკლისი დიდ გავლენას მოახდენდა სამუშაო გრაფიკზე. ამავედროულად, მუშაობის დასრულების, ფაბრიკის ჩაბარების და მისი მთელი კომპლექსის (დამხმარე შენობების) ჩაბარების დროც იწელებოდა. ასეთი სიტუაცია კი საბჭოთა მრეწველობაში მიუღებელი იყო. ფაბრიკის ხელმძღვანელობისთვის საბოტაჟის ბრალდების წაყენებაც კი იყო შესაძლებელი.

მესამე, მნიშვნელოვანი არგუმენტი ეხებოდა პროტესტის გავრცელებას სხვა ეროვნებებზე და მთლიანად რამოდენიმე ათას პატიმარზე. პოლონელების საქციელს და მაგალითს შეიძლებოდა შეუქცევადი შედეგები მოეტანა¹⁵⁸.

ყველანაირი მოლაპარაკებები ბანაკის ხელმძღვანელობასა და პოლონელებს შორის უშედეგო იყო. ისინი ითხოვდნენ კონკრეტული თარიღის დასახელებას და მათი იურიდიული სტატუსის განსაზღვრას (რის საფუძველზე არიან დაკავებულიები და რატომ?). მეორე მათი მოთხოვნა იყო შეიარაღებული ბადრაგის მოშორება.

მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, კომენდანტმა დაიწყო გამოძიება. ეძებდნენ მეთაურებს და პროტესტის ორგანიზატორებს. დაკითხვები დაიწყეს „კომბატი“ და მისი თანაშემწეებით. მაგრამ ამ ქმედებებმა არ გამოიღო შედეგი. მოწმეების გადმოცემით, არავის „ჩაუშვია“. იმიტომ, რომ ყველამ იცოდა, რა ელის ჩამშვებს. უკვე პატარა დანაშაული თანაპატიმრის მიმართ ისჯებოდა „კოცემ“

158 მაგრამ დანარჩენი პატიმრები არ შეურთდნენ გაფიცულ პოლონელებს. საბჭოთა წყაროების მიუხედავად გამო რთულია ამ სიტუაციის ახსნა. ჩემი აზრით, ამაზე დიდი გავლენა იქონია ბანაკის ხელმძღვანელობის ქმედებებმა და პატიმრების დაშინებამ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ შორის არ იყო შეთანხმება და საერთო შეთანხმებული ქმედება. მიმაჩნია რომ ეს გამოწვეული იყო ბანაკში მყოფი ხალხის მრავალფეროვნებით.

- მძიმე ცემით. მართალია, პოლონელებში არ იყვნენ კრიმინალები, რომლებიც სიკვდილით დასჯას ასრულებდნენ, მაგრამ ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. ბანაკში დაძაბულ ურთიერთობებს კარგად აღწერს პატარა ჯგუფის ქმედება:

„გარკვეული დროის შემდეგ ზოგიერთმა დაიწყო გაფიცვიდან გამოსვლა და სამუშაოდ სიარული. მათ [ხელისუფლება] მოისყიდეს, უხდიდნენ 5 მანეთს და აიღეს. ხოდა, ყველას მაგრად გაუერთიანეს თავ-ყბა და აღარ მიდიოდნენ. და ვერც კი გაბედეს ბადრაგის ჯარისკაცებისთვის ეთქვათ. ეშინოდათ, რომ კიდევ უფრო გაილახებოდნენ და იქნებ საერთოდ მოეკლათ კიდევ(...) იქ იყვნენ ისეთები, რომლებიც დაუფიქრებლად ჩაგქოლავდნენ“¹⁵⁹.

ეს საკმაოდ ნათელი მაგალითია დაძაბული ურთიერთობების და პატიმრების მრავალფეროვნების. პირადად მგონია, რომ სინამდვილეში ორგანიზატორები არც იყვნენ და ამიტომ ვერც ვერავინ დაადებდა ხელს. თუ ვინმე იყო, ის ძალიან ღრმა კონსპირაციაში უნდა ყოფილიყო, რაც, იმდროინდელი ბანაკის გარემოებებიდან გამომდინარე, ნაკლებად შესაძლებლად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ამას გარკვეულწილად ადასტურებს თუნდაც აგენტურული დასმენები, ქუთაისიდან გაქცევების ორგანიზატორებზე, რაზეც უკვე ვისაუბრე. შესაძლებელია, რომ არსებობდა რაღაც ჯგუფი, დაკავშირებული ინტელიგენციასთან, რომელიც მართავდა პოლონელების ქმედებებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ბუნტის გეგმები არ მომზადებულა¹⁶⁰.

გაფიცვის პირველ დღეებში, ბანაკში, დამატებით ჩამოვიდა რამდენიმე მაღალი რანგის შინსახკომის გამომძიებელი ოფიცერი. დაიწყო მორიგი დაკითხვები. ამჯერად დაიწყეს მაღალი და საშუალო განათლების მქონე პატიმრებით, ბუნტის ორგანიზატორობის ეჭვით. როგორც მონშეები ყვებიან, იყენებდნენ დაკითხვის ნაცად ხერხს, ღამის დაკითხვას. ღამის შუქით დაბრმავებულ პატიმარს უთვალავ კითხვას უსვამდნენ. სავარაუდოდ, მაინც ვერ დაადგინეს კონკრეტული გვარები, ან რამე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ვინაიდან გაფიცვის მონაწილეები არ ადასტურებენ იმ დროს ბანაკიდან ვინმეს გაყვანას. ყველა სოლიდარულად დუმდა. რა თქმა უნდა, ბევრს ეშინოდა იმისი, თუ რა მოჰყვებოდა მის საქციელს. ეგონათ, ყოველ შემთხვევაში თავიდან, რომ გაფიცულების წინააღმდეგ შეიძლება ძალა გამოეყენათ. შეშფოთებას ინვევდა ციმბირის ბანაკებში გადასახლების პერსპექტივა და, რასაკვირველია, ამ არგუმენტსაც იყენებდა ზოგიერთი საბჭოთა ოფიცერი. ასევე უნდა გვახსოვდეს პატიმრების (პოლონელების) საზოგადოებრივი და ასაკობრივი განსხვავება. უფრო რადიკალური მიდგომით ხასიათდებოდნენ ახალგაზრდები და განათლებულები. მაგრამ გადასახლება შეეხებოდა ალბათ ყველა პატიმარს.

159 S. Tyszkiewicz, *Moja...*, გვ. 6.

160 მონათხრობის გამომდინარეობს, რომ თბილისში მოლაპარაკებებზე დადიოდა რამდენიმე პოლონელი, მათ შორის ზვილავ კამინსკი, R. Krzewska, *Łagrowe...*, გვ. 7.

გაფიცვის მსვლელობისას პატიმრები ღებულობდნენ საქმლის ჩვეულებრივ რაციონს, დამატებითი „სტახანოურების“¹⁶¹ გამოკლებით. ასევე არანაირი ფიზიკური ზენოლა მათზე არ ხორციელდებოდა. სამზარეულო და საავადმყოფო ჩვეულებრივად მუშაობდა. თავისუფალ დროს ატარებდნენ კარტის თამაშში, ან მზეზე ირუჯებოდნენ (აპრილი განსაკუთრებულად თბილი იყო). ქალები ატარებდნენ დილის ვარჯიშს, ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელობით, ფიზკულტურის მასწავლებლის. პატიმრებმა ერთად იზეიმეს აღდგომის დღესასწაული, რომელიც იყო 5 დან 7 აპრილამდე. დღესასწაულის პირველ დღეს ბანაკის ხელმძღვანელობამ ნება დართო ქალებს, რომლებსაც შვილები და ქმრები ჰყავდათ, ერთად ესაუზმათ. მომდევნო დღეს - ჩაატარეს ტრადიციული „დინგუსიც“ კი, რომელიც დროსაც:

„ბანაკი რამდენიმე საათით გაგიჟდა. ვიღებდით ვედროებით წყალს მდინარიდან და ვუნწაობდით. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დავასველეთ ქალები და შემდეგ ყველა, ვინც კი გამოჩნდებოდა. ეს საკმარისი არ იყო და უბრალოდ ტანსაცმლიანად ვაგდებდით ერთმანეთს მდინარეში. ეს არ ასცდა ჩვენს ექიმსაც კი, ლეონარდ პ., რომელიც გამოიყვანეს საავადმყოფოს მიმღებიდან და აბანავეს“¹⁶².

პატიმრებში გაჩნდა საერთო ოპტიმიზმი და იმედი ბანაკის იმდროინდელი სიტუაციის ცვლილების. ამავდროულად, პატიმრებს ადმინისტრაციის ქმედებები ამაში უფრო არწმუნებდა. ძალიან მალე მათ გამოუცვალეს გაცვეთილი ან გაფუჭებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ქალებს დაურიგეს ტიკის ქვედანელი, თასმიანი ფეხსაცმელი და დამატებითი თეთრი მაისურები, რომელსაც სავარჯიშოდ იყენებდნენ. ამის გარდა პატიმრებს დაურიგეს - ლეიბები, ზენრები, მოკლე ქვედა საცვლები და ტიკის შარვალი. ყველას გამოუყვეს 250გ საპონი, შესაძლო იყო აბანოთი სარგებლობა და თეთრეულის გარეცხვა. პატიმრების განწყობა საგრძნობლად გაუმჯობესდა - ყველას საკმაოდ სუფთა ტანსაცმელი ეცვა. კარგი ცვლილებები, თუმცა არც ისე დიდი, მოხდა საკვების საკითხშიც. პოლონელები ღებულობდნენ დღეში ორჯერ წვნიანს, 600გ პურს და რაც მთავარია 14გ შაქარს რეგულარულად. გამოსწორდა ამანათების მიღების სიტუაციაც. აღდგომისთვის ჩამოვიდა 186 ამანათი, მათ შორის იგნაცი ზვოლინსკისა და სტანისლავ ვოინჩისთვის. ასევე შეუზღუდავად გასცემდნენ ფულად გზავნილებს (აქამდე ერთჯერადად გასცემდნენ მხოლოდ 100-150 მანეთს). პოზიტიური ცვლილება მოხდა ბადრაგის ჯარისკაცების ქცევაში:

„ზოგადი რეჟიმი ცოტა შემსუბუქდა. ბადრაგის ჯარისკაცები თითის წვერებზე დადიან. ბანაკის უფროსიც რაღაც მორბილა“¹⁶³.

161 ზოგიერთი მონმის თანახმად, მოკლე ხანში პოლონელებს შეუმცირეს რაციონი, ან სულაც არ ღებულობდნენ. იხილეთ: K. Zienkiewicz, Wspomnienia..., გვ. 1-4; M. Preckaito, Wspomnienia..., გვ. 9; R. Kuligowska (ქალიშვილობის გავარი პაპინსკა), Wspomnienia..., გვ. 7; K. Romeiko, Wspomnienia გვ. 16.

162 M. Nowicki, Moja wielka..., გვ. 97.

163 ძმები გეჩევსკების 1947 წ. 3 და 7 აპრილის წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

ეს ქმედებები გამოწვეული იყო ბანაკის ადმინისტრაციის მიერ და მიზნად ისახავდა პოლონელების განწყობის გამოსწორებას, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით. შესაძლოა, რომ ეს ყველაფერი ნაბრძანები იყო თბილისის ხელმძღვანელობის მიერ. ისინი ჩამოსულები იყვნენ გაფიცვის პირველ დღეებში, განვითარებულ სიტუაციაში გასარკვევად. პოლონელები სპეციალურად დადგნენ კრებაზე განსაკუთრებულ ნყოფაში:

„პირველ რიგში დადგნენ ისინი, ვისაც ყველაზე ცუდი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჰქონდა, ისინი, ვისაც საერთოდ აღარ ჰქონდა ტანსაცმელი და მარტო თეთრეულში გამოვიდნენ და ვისაც დახეული და ბინძური, რომელის გაკერვა და გარეცხვაც შეუძლებელი იყო. (...) ეს იყო სილატაკის და სასონარკვეთილების სურათი“¹⁶⁴.

პოლონელები უმოქმედონი არ იყვნენ საკუთარ, სიტუაციის მიმართ. ცდილობდნენ, საბჭოთა უმაღლესი ხელისუფლების ყურადღება მიექციათ და ინფორმაცია მიეწვდინათ. ძმები გერევესკების შემორჩენილი მიმონერიდან ვგებულობთ, რომ პატიმრებმა გაგზავნეს წერილები - თხოვნები არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის შსს-ში, საბჭოთა კავშირის შსს-ში, არამედ თვით სტალინთანაც კი (არაოფიციალური გზით). მიმართეს „პოლონეთის ელჩს მოსკოვში“¹⁶⁵. ითხოვდნენ არა მარტო ბადრაგის მოხსნას, არამედ ბანაკიდან გათავისუფლების თარიღის განსაზღვრას. რა თქმა უნდა, არანაირი პასუხი არ მიუღიათ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც აღწერს პატიმრების და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების მსვლელობას, არის პატიმრების შემდეგი წერილი 1947 წ. აპრილიდან, რომელშიც ვკითხულობთ:

„განვაცხადეთ, რომ, სანამ არ მივიღებთ პასუხს მოსკოვიდან, არ გავალთ სამუშაოდ და მორჩა. სამუშაოდ წასაყვანად ძალას არ იყენებდნენ. ბანაკის უფროსის სიტყვებიდან ვავიკეთ, რომ 1946 წლის მაისში მოვრჩით „პრავერკას“ და ახლა ვითვლებით ინტერნირებულებად. აღმოჩნდა რომ ამ დროიდან სახელმწიფოს მაგივრად საკუთარ კმაყოფაზე გადავედით, რაც ნიშნავს, რომ საკუთარ თავს და ბადრაგს ვინახავდით. როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი, არ ვიცით. (...) ილოცეთ ჩვენთვის, იმიტომ რომ აქ ჩვენ არ გვაქვს შესალებლობა“¹⁶⁶.

საფუძველი არ მაქვს ვიფიქრო, რომ ზემოაღნიშნული მოგონება არ შეესაბამება იმდროინდელ ვითარებას. მიმაჩნია, რომ მართლა იყო ასეთი დისკუსია პოლონელებთან. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პატიმრების სტატუსი შეიცვალა, თუ კომენდანტის სიტყვებს დავუჯერებთ. აქამდე, რაზეც უკვე ვისაუბრე, ეპყრობოდნენ მათ, როგორც „დროებით დაკავებულებს“ პოლონური წარმოშობის საბჭოთა მოქალაქეებს. ამის საფუძველზე მოხდნენ საგამოძიებო

164 A. Puzewicz, Wspomnienia...გვ. 90.

165 ძმები გერევესკების 1947 წ. 26 მარტის წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

166 ამ პერიოდში, ძმები, ყოველდღე აგზავნიდნენ წერილებს ვილნიუსში. მათში კიდე ერთი წინადადება მნიშვნელოვანია: „გთხოვთ ამ წერილს უპასუხოთ იმის მითითებით თუ რომელი წერილი მოვიდა, რომ ვიცოდე რომ ის მოვიდა, იმიტომ რომ მასში საინტერესო ინფორმაციაა“, ძმები გერევესკების 1947 წ. 2 აპრილის წერილი (ასლი ავტორის ფონდში).

ბანაკებში. სტატუსის ცვლილება ინტერნირებულზე ნიშნავდა მათ ცნობას, როგორც პოლონეთის მოქალაქეების. ამას უნდა გამოეყო შედეგი, კვების საკითხში, მოქცევის და, რაც მთავარია, გათავისუფლების საკითხში¹⁶⁷.

პოლონელების მოგონებებიდან ცალსახად ჩანს, რომ ბანაკში არანაირი ცვლილება არ ხდებოდა. ამ საკითხის დაზუსტება შეუძლებელია იმის გამო, რომ არ გვაქვს ნედრომა საჭირო საბჭოთა საბუთებზე.

ამ რამდენიმე კვირაში, ბუნტის მსვლელობისას, 23 მარტიდან 10 მაისამდე, პატიმრების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ბანაკში საგრძნობლად გაუმჯობესდა. შემცირდა ავადმყოფების რაოდენობა საავადმყოფოში და ბევრმა ადამიანმა წონაში მოიმატა. აღარ ანადგურებდნენ ჯანმრთელობას მუშაობით და ძალებს აღიდგენდნენ. კიდევ დადიოდა ჭორები პოლონელების სწრაფ გათავისუფლებაზე და ხელმძღვანელობამ ოფიციალურად ამცნო ეს პოლონელებს 22 აპრილს. გამოაცხადეს რომ ყველანი დატოვებენ ქუთაისს ჯგუფებად 1 მაისიდან 20 მაისამდე. პირველ ჯგუფში ჩარიცხეს ქალები და კაცები, რომლებსაც ჯანმრთელობის III კატეგორია ჰქონდათ მინიჭებული, რომლებსაც უნდა დაეტოვებინათ ბანაკი 10 მაისამდე. დანარჩენები, ჯანმრთელები, გაემგზავრებოდნენ II ჯგუფში - 20 მაისამდე¹⁶⁸. ბანაკის უფროსი ჯიქია (მე მგონი უფრო ქაჯაია), უბრალოდ თხოვდა, რომ მანამდე ყველანი გასულიყვნენ სამუშაოდ. მაგრამ პოლონელებმა უარი განაცხადეს იმის შიშით, რომ მუშაობის დაწყების შენდეგ გათავისუფლებას გადაადებდნენ¹⁶⁹.

კომენდანტის სიტყვები დაადასტურა მაისის პირველ დღეებში შსს-ს მაღალი რანგის ოფიცერმა - პოლკოვნიკმა, საქართველოს უშიშროების წარმომადგენელმა. მოვიდა ბანაკში და სიტყვით მიმართა პოლონელებს. ამცნო მათ, რომ პოლონურ - საბჭოთა შეთანხმების საფუძველზე დაუყოვნებლივ გაათავისუფლებენ¹⁷⁰. მისცა მათ საბჭოთა ოფიცრის სიტყვა (!), რომ მალე დაბრუნდებოდნენ. ნაუკითხა ბრიგადის მეთაურებს ბრძანება მთელი პოლონური ჯგუფის გათავისუფლებაზე 20 მაისამდე¹⁷¹. მაგრამ უკვე არავის სჯეროდა საბჭოთა დაპირებების. ამჯერად პატიმრების მოსაზრებების საპირისპიროდ დაიწყეს მომზადება გამგზავრებისთვის. ჩატარდა მომდევნო შემონმება პირადი თეთრეულის და ტანსაცმლის და დანაკლისები შეივსო. ჩამოართვეს გაფუჭებული და გაცვეთილი ტანსაცმელი.

167 კვლევების ამ ეტაპზე არ გავაჩნია საბჭოთა წყაროები, რომელიც ახსნიდა პოლონელების სტატუსის შეცვლის მიზეზებს.

168 ძმები გერევესკების 1947 წლის 22, 25, 28 აპრილის და 5 მაისის წერილები (ასლები ავტორის ფონდში)

169 ძმები გერევესკების 1947 წლის 9 მაისის წერილი (ასლი ავტორის ფონდში). წერილში წერია ბანაკის უფროსის გვარი ჯიქია, მაგრამ 1947 წლის იანვრამდე, ქვებანაკ N 3-ს უფროსი ნამდვილად იყო კაპიტანი ქაჯაია. შესაძლოა, რომ შემდგომ პერიოდში იყო ცვლილებები ამ თანამდებობაზე.

170 H. Sipowicz-Bogowski, Droga Łódź 1994, გვ. 135. შსსკ გენერლის ჩამოსვლის სხვა ვერსიას იძლევა ფ. რუქშტა, F. Ruksza, Nasi chłopcy strajkowali w Kutaisi, (w:) J. Surwiłło, Rachunki..., გვ. 34.

171 რფსა sygn. 9401-1473. ფურც. 37; ძმები გერევესკების 1947 წლის 9 მაისის წერილი (ასლები ავტორის ფონდში)

მამაკაცები გაკრიჭეს და გაუშვეს (მათ შორის 5 მაისს) აბანოში, მანამდე კი 200გ საბონი დაურიგეს. ასევე ჩატარდა პატიმრების საერთო დეზინფექცია (7 მაისს). 100 კაციან პატიმრების ჯგუფს მისცეს მათ მიერ 1946 წ. გამომუშავებული ფული. ასე, მაგალითად, რ. გერევესკიმ მიიღო 110 მანეთი, ხოლო მისმა ძმამ იულიუმმა - 212 მანეთი. შეუძლებელია, დავადგინოთ, რის საფუძველზე გამოჰყავდათ ასეთი ციფრები. ვიცით მარტო ის, რომ თეორიაში ყველას, ბუნტის პერიოდის გამო, გამოუქვითეს 10 მანეთი დღეში. ეს იმას ნიშნავს რომ ყველა პოლონელმა 1946 წელს გამოიმუშავა დაახლოებით 500 მანეთი, რაც შემდეგ გაუტარეს საკვების ხარჯში გაფიცვის დროს¹⁷².

პოლონელები დაყვეს სამ ჯგუფად. ძნელია, დავადგინოთ, რის საფუძველზე დაყვეს ხალხი. პოლონელები დარწმუნდნენ სახლში წასვლის შესაძლებლობაში. საბჭოთა ხელმძღვანელობის ქმედებები ოპტიმიზმით მუხტავდა და ნამდვილ გათავისუფლებას კიდევ ადასტურებდა შემდეგი ფაქტი:

„ბანაკში გამოჩნდა ბანაკის ერთ-ერთი ოფიცერი (მაიორი), რომელმაც გაიკითხა, ვინმე ხომ არ არის ისეთი, ვინც ბიდგოშში ბრუნდებოდა. ასეთი კაცი რომ მონახა, გადასცა მას წერილი მეგობრისთვის ბიდგოშშიდან. ეს მეგობარი ბიდგოშში გაიცნო, როგორც ამბობდა, ომის დროს, როცა იქ იმყოფებოდა. მსგავსი წერილები კიდევ რამდენიმეს გადასცეს ოფიცრებმა, ასევე პოლონეთში ჩატანის თხოვნით. ინფორმაცია ამ წერილების შესახებ მომენტალურად გავრცელდა ბანაკში და კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი რწმენა, რომ, ბოლოს და ბოლოს, წავალთ“¹⁷³.

მიმაჩნია, რომ ეს ზემოხსენებული ქმედებები მაგ.: საბჭოთა ოფიცრების პოლონეთში გასაგზავნი წერილების გადაცემა, ასრულებდა მხოლოდ ფსიქოლოგიურ და დამამშვიდებელ როლს. ეს იყო გათავისუფლების ვითარებისთვის ხაზის გასმა, რომ პოლონეთში დაბრუნება უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო. წერილების გადაცემა ძალიან პოზიტიურად მოქმედებდა ხალხში გაღვიძებულ მოლოდინზე. სინამდვილეში ამის მთავარი და ერთადერთი მიზანი იყო პოლონელების დეზინფორმაცია. ჩემი დასკვნები შემიძლია, გავამყარო, სამწუხაროდ, მარტო ერთით, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საბჭოთა საბუთით. ეს არის, სანჯავის საწარმოების მშენებლობის სამინისტროში მინისტრის მოადგილის გენერალ-ლეტიენანტ ლეონ საფრაზიანის წერილი ბერიას¹⁷⁴. ის 1947 წლის 25-26 აპრილს სთხოვდა:

172 ძმები გერევესკების 1947 წლის 9 მაისის წერილი (ასლები ავტორის ფონდში)

173 იქვე, გვ. 98.

174 MS'IP – მინისტერსტო სტროიტელსტვა ტოპლივნიხ პრედპრიატიი (სანჯავის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო) შეიქმნა 1946 წლის 15 მარტს. ხელმძღვანელი ალექსანდრე ზადემიდიკი. გენ-ლეიტ. ლ.ბ. საფრაზიანი თანამდებობაზე დაინიშნა 1946 წლის 5 თებერვალს და მოვალეობას ასრულებდა 1948 წლის 27 დეკემბრამდე. ადრე საფრაზიანი იყო ამის უფროსი და სსრკ უსსკ კომისრისლავრენტი ბერიას მოადგილე ასევე მისი შემცველის სერგეი კრუგლოვის.

„პოლონეთის 1050 მოქალაქის გაყვანას, რომლებიც უარს ამბობენ იმუშაონ ქუთაისის მანქანათმშენებლობის ქარხანაში და ჩანაცვლებას სხვა პატიმრებით“.

ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი გასცეს ვასილი ჩერნიშოვმა და სსრკ-ს შსს-ს უფროსმა სერგეი კრუგლოვმა 28-29 აპრილის პერიოდში. ექვევარეშეა, რომ ბერიამ ყველაფერი იცოდა¹⁷⁵.

ამ დოკუმენტში პოლონელების გათავისუფლება ნახსენებიც კი არ არის. მათ საკითხში გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, მიღებული იქნა აპრილის შუა რიცხვებში, საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს დონეზე, ვინაიდან აუცილებელი იყო, შესაბამისად წინსწრებით განსაზღვრულიყო ბანაკები, იმ მიზნით, რომ გამზადებულიყო ახალი პატიმრების მისაღებად, ტრანსპორტის და ესკორტის მომზადება, საკვების და მომარაგების საკითხების მოგვარება და ხალხის გამზადება „მგზავრობისთვის“. აქედან გამომდინარე საეჭვოა ის ფაქტი, რომ ბანაკში მომსახურე საბჭოთა ოფიცრებს არ სცოდნოდათ პოლონელების გამგზავრების მიზანი.

ბანაკში, პოლონელებს შორის, სახლში დაბრუნების იმედი ძალიან დიდი იყო. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი:

„რუსებში დადის ჭორი, რომ ვითომ ციმბირში მივყავართ, მაგრამ ისინი სპეციალურად აკეთებენ ამას, იმიტომ რომ ისედაც ძალიან დიდი არეულობა რჩება ბანაკში და ქარხანაში, რომ ჩვენ გაფიცვით მოვიპოვეთ გათავისუფლება. ზუსტად სად წავიყვანენ, არ ვიცი. თუ რაღაც გამანაწილებელ პუნქტში, მაშინ მე და რომეკი მივდივართ პოლონეთში, თუ ვილნიუსით, მაშინ, ბუნებრივია, რომ სახლში შევირბენთ, ბოლოს და ბოლოს, დედიკო და მამიკო რომ მოვინახულოთ და მაშინვე მივემგზავრებით.“

(...) ბოლოს და ბოლოს, ახლოვდება ჩვენ მიერ ასე ნანატრი დრო“¹⁷⁶.

მოკლე ხანში ბანაკის უფროსობამ განსაზღვრა პირველი ჯგუფი გასამგზავრებლად. ამან დიდწილად გააუმჯობესა პოლონელების გუნება. ხალხმა დაიჯერა, რომ მათი ოცნებები ახდება.

საბჭოთა დაპირებები, ბანაკიდან გათავისუფლების შესახებ, ისევ მხოლოდ მორიგი დაპირება აღმოჩნდა. პოლონელების ჩასვლას უკვე იზოლაციის სხვა ადგილები ელოდა...

პირველი ჯგუფი ითვლიდა 300 კაცს და ქუთაისიდან გაემგზავრნენ 1947 წლის 11 მაისს ასტრახანის ტყვეთა ბანაკში N204. მეორე, მსგავსი რაოდენობის ჯგუფი, იმავე დღეს - ბანაკ N108 სტალინგრადში (დღეს: ვოლგოგრადი). მესამე, ყველაზე დიდი ჯგუფი - 467 ადამიანი, მათ შორის 134 ქალი, გაგზავნეს ბოროვიჩში. იქ იყო ბანაკების ჯგუფი N270.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ გაფიცვას მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა. იმიტომ, რომ ძალიან იშვიათი იყო, მით უფრო ფილტრაციულ ბანაკებ-

175 რუსეთის უახლესი ისტორიის არქივი, ტ. IV, ლპ. ბერიას განსაკუთრებული საქმე, სსრკ შსსკ შსს სამდივნოს 1946 -1949 მასალებიდან, დოკუმენტების კატალოგი რედ. ვ.ა. კოზლოვი და ს.ვ.მირონენკო, მოსკოვი 1996. ეს დოკუმენტები ინახებარფსა, მაგრამ გასაიდუმლოებულია და უარი მითხრეს მასზე.

176 ძმები გეჩევსკების 1947 წლის 9 მაისის წერილი (ასლები ავტორის ფონდში)

ში. მსგავსი შემთხვევები ხდებოდა ინტერნირებულთა ბანაკებში, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, განაჩენ მისჯილებისთვის განკუთვნილ შრომა-გასწორებით ბანაკებში¹⁷⁷.

თვითონ გაფიცვის მსვლელობა გვაჩვენებს უდიდეს მონდომებას, გაბედულებას და სოლიდარობას, რომელიც იყო პოლონელებს შორის.

